

„ნამდვილი მწერლის ბიოგრაფია სიკვდილის შემდეგაც გრძელდება და ზოგჯერ ცხოვრებისგან განწირული კაცის სახე სრულიად სხვა ელფერს იძენს ჩვენს თვალში. გადის დრო, სინანულის მწუხრი თანდათან შორდება მის ნაკვთებს და ჩვენთან რჩება მხოლოდ მისი მზიური სულის ანარეკლი“ – გ.ასათიანი „თანამდევნი სულელები“.

სარეცელს მიჯაჭვულ გ.ასათიანს საავადმყოფოში გარდაცვალებამდე რამდენიმე დღით ადრე ეწვია საქართველოს რადიოს კორესპონდენტი და ეთერში გადასაცემად მაგნიტოფონზე ჩაინერა მისი

## უკანასკნელი საუბარი

„ვეფხისტყაოსანი“ ისეთივე მნიშვნელობის ნაწარმოებია, ისეთივე მხატვრული ძეგლია კაცობრიობის ესთეტიკური განვითარების გზაზე, როგორადაც ჩვენ წარმოგვიდგება, მაგალითად, „თქმულება გილგამეშზე“, შემდეგ „ილიადა“, „ოდისეა“, „მაჰნამე“, უფრო გვიან, შუა საუკუნეებში, „ღვთაებრივი კომედია“ – ეს არის ერთ-ერთი გზაჯვარედინი კაცობრიობის პოეტური გენიის, მხატვრული გენიის განვითარების მრავლათასწლოვან გზაზე. თუ ჰეგელის ხელოვნების განვითარების ყველაზე უნივერსალურ კლასიფიკაციას დავეყრდნობით, მაშინ, შეიძლება ითქვას, რომ ეს არის ერთ-ერთი ფრაზა, ერთ-ერთი სტადია ამ ევოლუციისა, მაგრამ სიტყვა „გზაჯვარედინი“ ამ შემთხვევაში ჩვენთვის უფრო საინტერესოა და მნიშვნელოვანი, ვინაიდან პოემა სწორედ იმით გამოირჩევა, რომ აქ გადაჯვარედინებულია და ერთმანეთს ერწყმის ის ელემენტები, რომლებიც ჰეგელისეულ ამ სისტემაში სხვადასხვა ფრაზების დამახასიათებელ თვისებებს წარმოადგენენ. მოკლედ შეგახსენებთ: ეს არის – პირველი, ძველადმოსავლური ხელოვნება, რომელსაც ჰეგელი სიმბოლურს უწოდებს; შემდეგ კლასიკური ხელოვნება, ანუ ის, რაც ელინისტურ სამყაროსთან არის დაკავშირებული ანტიკასთან, ანტიკურ კულტურასთან, და შემდეგ რომანტიკული ხელოვნება, ანუ ყოველივე ის, რაც წარმოქმნა ქრისტიანულმა კულტურამ.

„ვეფხისტყაოსანი“ არის ის, თითქმის უნიკალური ნაწარმოები, რომელშიც შუა საუკუნეებში, კერძოდ მეთორმეტე საუკუნეში, ძირითადად თითქმის დაუმახინჯებლად შენარჩუნებულია, კლასიკური სული, ესე იგი ფორმის კლასიკური გაგება. ჰარმონია მატერიალურსა და იდეალურს შორის, პროპორციები და ყველაფერი ის, რაც შეადგენს ამ გაგებით კლასიკური ნაწარმოების პოეტიკას, პოეტური ხელოვნების საფუძველს. ეს მით უფრო განსაცვიფრებელია, რომ ამ ნაწარმოებში ჩვენ უკვე ვხედავთ რომანტიკული ხელოვნების ღრმა ზემოქმედებასაც. რუსთაველის პოემა თავისი მსოფლმხედველობით ქრისტიანულ მოძღვრებას, კერძოდ არეოპაგატიკულ სისტემას რომ ეფუძნება, ეს უკვე დაზუსტებული და დამტკიცებულია, მაგრამ ამ შემთხვევაში საინტერესოა ის, თუ როგორი მხატვრული ფორმით გამოიხატება ასეთი ახლებური მიმართება სამყაროსადმი, სინამდვილისადმი. როგორც უკავშირდება და როგორ არის შეუღლებული ეს ახალი, რომანტიკული პოეტური ხედვა სინამდვილესა და კლასიკურ მხატვრულ მსოფლგაგებასთან.

შეიძლება უბრალო მაგალითით დავიწყოთ: რუსთაველის პოემას, მის სიუჟეტს, ერთ-ერთ მთავარ ხაზად გასდევს ავთანდილის „მოგზაურობა“. ეს არ არის უბრალო მოგზაურობა, ეს არის ძიება. ამ მხრივ ის ენათესავება და მოგვაგონებს, ვთქვათ, „ოდისეას“ ფაბულას. ჩვენს თვალწინ იშლება მთელი რიგი მოვლენებისა, ხიფათებისა, დაბრკოლებებისა, გმირმა რომ უნდა დასძლიოს და შესაბამისად მოცემულია მისი გმირობის, მისი მოხერხების, მისი გამჭრიახობის ამსახველი სურათები. ეს არის, ვთქვათ, ობიექტური პლასტი ნაწარმოების მხატვრულ ქსოვილში; ეს გახლავთ ობიექტური ფენა ამ ნაწარმოების, ასე ვთქვათ, მოქმედებისა. მაგრამ აქვე, ამ პოემაში არის მეორე ფენა, მეორე შრე, ასევე მოქმედების, ეს გახლავთ შინაგანი მოქმედება, ესე იგი ის, რაც ხდება ავთანდილის ცნობიერებაში. აი აქ უკვე იგრძნობა დიდი სიახლე, ვინაიდან, განსხვავებით ჰომეროსისა და ვირგილიუსის გმირებისაგან ყველაფერი, რაც პოემაში ხდება, მდიდარია არა მხოლოდ ამ

საქციელით, ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით, არამედ იმ შინაგანი ქსპრესიითაც, რაც თან ახლავს ავთანდილის სახეს. აქ ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე შეიძლება ითქვას, რომ ეს შინაგანი პერსპექტივა, სულიერი, ინტიმური ცხოვრების მოძრაობა, არანაკლებ საინტერესო და მნიშვნელოვანია, ვიდრე ის ნაბიჯები, რომელსაც გადადგამს ავთანდილი თავისი ძიების გზაზე. სხვათაშორის, გავრცელებულია აზრი, რომ ავთანდილი ნაკლებ ემოციური, ნაკლებ ვნებიანი, ნაკლებ ექსპანსიური გმირია, ვიდრე ტარიელი, მისი მეგობარი. ეს მხოლოდ შეფარდებითი მნიშვნელობით არის სწორი. იმიტომ, რომ ავთანდილსაც ახასიათებს გასაოცარი, შეიძლება ითქვას, რომანტიკული, როგორც ჩვენს საუკუნეში ხმარობენ ამ ტერმინს, „გადავარდნები“. მისი საუბარი ციურ სხეულებთან, მისი სიმღერა, რომელიც საყოველთაო, რაღაც უნივერსალურ ჰიმნად ჟღერს, მისი აღტკინება სიყვარულით, მისი ცნობილი, სულიერი მდგომარეობის ამსახველი, ბრწყინვალე ხატი, როდესაც გაზაფხულზე ის და ბუნება თითქოს ერთად ტირიან რაღაც ახალი შეხვედრის, ახალი პაემანის მოლოდინში. აი რა არის ახალი „ვეფხისტყაოსანში“. ჩვენ პირობითად ამას ვუნოდებთ რომანტიკულ სულისკვეთებას. გმირის სულიერი, შინაგანი ცხოვრების აი, ასეთი ფართო პლანით წარმოსახვა, ეს უკვე ახალი ნიშანია და, შეიძლება ითქვას, რომ ეს წინამორბედი იმ ხელოვნებისა, რომელიც ახალ და უახლეს დროებში იქმნება, კერძოდ, დასავლურ კულტურაში.

ეს ორი ესთეტიკური ასპექტია გმირის ცხოვრების წარმოსახვისა. ვიმეორებ: გარეგანი და შინაგანი თავის გამოხატულებას ჰპოვებს თვით ვერსიფიკაციულ ფორმაში, პოემის ლექსთწყობაში. რუსთაველის სტროფი, საერთოდ, აგებულია ფართო კლასიკურ პერიოდებზე, მაგრამ აქვე ვხვდებით ისეთ სტროფებს, ისეთ უჯრედებს, რომელიც თავის თავში შეიცავს არაერთ წინააღმდეგობას, შეიძლება ასე ითქვას – წყვეტილ მანერას. და ეს დამახასიათებელია განსაკუთრებით იმ ადგილებისათვის, სადაც ასახულია გმირის შინაგანი მდგომარეობა. მხედველობაში მაქვს ნესტანის წერილი საყვარელთან, ასევე ავთანდილის ანდერძი, სადაც ვისმენთ გმირის აღსარებას. აი აქ ემოციური მდგომარეობა ინვესს ერთგვარ უთანასწორობას, ერთგვარ გადახვევებს, ამაღლებას, და მერე უცებ ერთგვარ თითქოს დეპრესიას, რაც არ არის დამახასიათებელი თხრობისთვის, ეპიკური ნაწილისთვის, მაგრამ საინტერესოა ის, რომ დისჰარმონიის ყველა ეს ელემენტი, ყველა ეს უნონასწორობა, დარღვევა, გადახვევა, მომწყვდეულია „ვეფხისტყაოსნის“ სტროფში, რომელიც გამოირჩევა ფოლადისებური ნაჭედობით. ესე იგი, ყოველივე ეს მაინც გამთლიანებულია საბოლოოდ და იღებს კლასიკური დასრულების ფორმას, განსხვავებით, ვთქვათ, ბარათაშვილის „მერანის“ ვერსიფიკაციისაგან. სადაც ყოველი სტროფი მოითხოვს გაგრძელებას, განვრცობას, გადასვლას შემდგომ სტროფში და უკანასკნელი კი თითქოს უსასრულობაში გადადის და რაღაც დიდ სივრცეებს ეტანება.

ეს რომანტიკული ხელოვნების, რომანტიკული პოეტიკის დამახასიათებელი თვისებაა: რუსთაველთან ყოველი აზრი, ყველა გრძნობა, თუნდაც ის იყოს შინაგანად წინააღმდეგობრივი, მაინც დასრულებულია, რაც კლასიკური პოეტური აზროვნების, პოეტური თვითგამოხატვის ნიშანდობლივი თვისებაა. აქ მე ერთ გარემოებას მინდა განსაკუთრებით გაუფსვა ხაზი: „ვეფხისტყაოსანი“ ის ნაწარმებია, იშვიათი ნაწარმოები, რომელიც თავის თავში ითავსებს მრავალ უკიდურესობას. ორი მე უკვე აღვნიშნე – კლასიკური და რომანტიკული, მაგრამ, ასევე „ვეფხისტყაოსანში“ შეთავსებულია ერთმანეთთან წარმართული და ქრისტიანული. ეს თითქმის რაღაც სინონიმური ცნებებია, მაგრამ არის კიდევ ერთი საოცარი და ნიშანდობლივი სინთეზი „ვეფხისტყაოსანში“, ეს არის აღმოსავლურისა და დასავლურის უცნაური შერწყმა, იშვიათი შერწყმა, რამაც, სხვათაშორის, ჩვენს საუკუნეში, ჩვენს დროში მიიპყრო განსაკუთრებული ყურადღება შუა საუკუნეების ლიტერატურისა და კულტურის დიდი სპეციალისტებისა. კერძოდ ცნობილი ინგლისელი ლიტერატურისმცოდნე, ისტორიკოსი და ესთეტიკოსი მორის ბოურა, თავის ფუნდამენტურ გამოკვლევაში – „ხელოვნება და შთაგონება“ წერს, რომ „ვეფხისტყაო-

სანი“ ის ნაწარმოებია, რომელშიც მკითხველი ერთნაირად ხედავს და მოიხილავს, როგორც აღმოსავლეთს, ისე დასავლეთს. ეს აზრი ჩვენშიაც გამოთქმულა, მაგრამ საინტერესოა, რომ ეს სიტყვები ეკუთვნის უკვე არა ქართველ რუსთველოლოგს, არა იმ კაცს, რომელიც, ვთქვათ, გაზრდილია ქართულ კულტურაზე, არამედ ეს არის შთაბეჭდილება გარეშე თვალისა, და ამდენად ასე ცოცხალი და ასე მკვეთრი.

სხვათაშორის, „ვეფხისტყაოსანში“ მიღწეული ეს ახალი ტიპის ჰარმონია, მე ვგულისხმობ ჰარმონიას, რომელიც წინააღმდეგობათა შეუღლებაზე არის დაფუძნებული, შემდგომ საუკუნეებში იმ საერთო დეკადანსის გამო, რომელიც განიცადა ქართულმა კულტურამ, ქართული სულის, შემოქმედი სულის განვითარებამ, ძირითადად ობიექტური მიზეზების გამო, ეს ჰარმონია დაირღვა და ჩვენ უფრო ხშირად ვხედავთ უკიდურესობებს, ერთი მხრივ, აღმოსავლური ნაკადის მომძლავრებას, რომელიც უკვე გადადის სრულ ფორმალიზმში, უაზრობაში, უსაგნობასა და მდარე ეპიგონიზმში, ხოლო, მეორე მხრივ, სასულიერო მწერლობის ზემოქმედება საერო მწერლობაზე, სადაც მატერიალური მხარე – ხორცი, სხეული, მინა უკვე გამოთიშულია ამ სინთეზებიდან და ნმინდა სულიერება იმარჯვებს. საბოლოოდ, მე ვიტყვოდი, რომ თავისი იდეალური სახით ამ სინთეზის აღდგენა ხდება ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში. თუმცა, რასაკვირველია, აკაკისთანაც, ილიასთანაც არის უკვე ამის ტენდენციები და ის ცნობილი ცისა და მიწის ერთიანობა, რაც აკაკის ლექს „პოეტში“ მჟღავნდება. ყოველივე ეს, თითქოს განხორციელებული, განსაგნებული, თავისი სრულყოფილი სახით წარმოგვიდგება ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში. შეიძლება ითქვას, რომ რუსთაველი და ვაჟა – ის ორი შემოქმედიცაა, რომელთა მიმკვიდრეობაში, რომელთა ოსტატობაში, რომელთა მხატვრულ მსოფლმხედველობაში ყველაზე უფრო აშკარად, მკაფიოდ გამოვლინდა ქართული სულის ესთეტიკური ბუნება. ახლა ერთ საკითხზე მინდა კიდევ გავამახვილო თქვენი ყურადღება და მოგახსენოთ, რომ ჩვენ ერთი უკვე ვახსენეთ, ჰეგელის ცნობილი კლასიფიკაცია, რომელმაც მთელი ეპოქა შექმნა. პარალელურად გერმანიაშივე შეიქმნა ხელოვნების მეორე თეორია – შილერს ეკუთვნის. ხოლო ჩვენს დროში, განსაკუთრებით XX საუკუნის დასაწყისში, მთელ დასავლეთ ევროპაში და შემდეგ რუსეთში გახმაურდა და ჩვენამდე მოაღწია ნიცშეს ხელოვნების ფილოსოფიამ. მთელი მისი კონცეფცია აგებული იყო ორ საწყისზე: აპოლონურსა და დიონისურზე. აპოლონური, ნიცშეს გაგებით, ნიშნავს დაახლოებით იმას, რასაც ჰეგელისთვის კლასიკური, ხოლო შილერისთვის მიაშიტური ხელოვნება. ხოლო დიონისური იმას, რასაც ჩვენ, ჩვეულებრივ, რომანტიკული ხელოვნების შინაარსში ვგულისხმობთ. მოკლედ რომ ვთქვათ, აპოლონური არის ყველაფერი ის, რაც დაკავშირებულია ჰარმონიასთან, ნათელთან, ნატიფთან, გონებით განონასწორებულთან, ხოლო დიონისური – ქვეცნობიერთან, დისჰარმონიულთან, მტანჯველთან. თვით ნიცშესთვის აპოლონური საწყისი არის ილუზია. მაგალითად, იგი აცხადებს, ბერძნებმა იცოდნენ რომ ცხოვრება თავისთავად არის სიმახინჯე, ტანჯვა, დისჰარმონია, ამიტომ მათ ამ ნამდვილ ცხოვრებას გადააფარეს თავიანთი ილუზია, ლამაზი ფარდაგი. ეს გახლავთ ოლიმპო, მათ მიერ შეთხზული მშვენიერი სამყარო ლამაზი, ადამიანის მსგავსი სრულყოფილი ღმერთებისა. ხოლო დიონისე ის ღმერთია, რომელიც ჩვენი ნამდვილი ცხოვრების მნუხარებაში, ტანჯვაში, სიმახინჯეში ჰპოვებს შვებას, მაგრამ არა ილუზიის, არამედ თრობის მეშვეობით. ამიტომ ყველამ იცით, რომ დიონისე ღვინისა და თრობის ღვთაებაა, ისევე, როგორც მისი ორეული ბახუსი. უნდა ითქვას, რომ ყველა ასე თუ ისე, განვითარებულ ეროვნულ ხელოვნებაზე ეს ორი საწყისი მოქმედებს, იგი ასევე მოქმედებს ქართულ ხელოვნებაზე, ქართულ ლიტერატურაზეც. ჩვენ თვალნათლივ დავინახავთ ამ ორი ნაკადის ურთიერთ ზემოქმედებას. კერძოდ, რუსთაველის პოემაში მე მოგახსენეთ დისჰარმონიისა და ჰარმონიის ურთიერთმიმართებაზე. მაგრამ ქართული კულტურისთვის, ქართული სულის განვითარებისთვის, მისი რაობისთვის მთავარ ემბლემად ჩემი რწმენით, არც ერთი ეს სახე მაინც არ გამოდგება. ბერძნული პანთეონიდან ჩვენთვის გაცილებით უფრო ახლობელია სხვა სახე – პრომეთეოსის სახე, მისი ლეგენდა, მასთან დაკავშირებული

მითოსი. შემთხვევით არ არის, რომ პრომეთეოსის საბოლოო სამყოფელი კავკასია და ასევე შემთხვევითი არ უნდა იყოს ის კონცეფცია, ის ჰიპოთეზა, რომ ეს ლეგენდა სწორედ ჩვენში დაიბადა და შემდეგ ჩვენგან გადავიდა ელინისტურ სამყაროში. ასე თუ ისე, პრომეთეოსისა და ამირანის სახეების ნათესაობა, თუ იდენტურობაზე არაფერს ვიტყვით, სპეციალისტებში ეჭვს თითქმის აღარ იწვევს. რითი არის ახლობელი ეს სახე ქართული სულის მრავალი თავისებურებისათვის? ეს ამკარად გამოჩნდება, თუ ჩვენ ამ სახეს შევუპირისპირებთ იმავ აპოლონსა და დიონისეს. აპოლონის მსგავსად, პრომეთეოსიც ღვთის შვილია, უკვდავია, მაგრამ ის თავის ღვთაებრივ ხელშეუხებლობას, შეუვალობას ანაცვლებს ადამიანებთან ყოფნას, ადამიანებისთვის ტანჯვას. პრომეთეოსი დაბადებით მეამბოხეა. მე ამას ხაზი მინდა გავუსვა. დაწყებული ესქილედან, შემდეგ, ახალ დროში, შელიმდე, ასე არის გააზრებული ეს სახე თავისუფლების მოყვარული ღმერთისა. ის დაუმორჩილებელი ღმერთია. ის არის პიროვნება, რომლის მოთანგვა, რომლის რაღაც სტერეოტიპად გადაქცევა და, თუ შეიძლება ასე ვთქვათ, ღვთაებრივი მოსახლეობის ერთ-ერთ რიგით ნევრად წარმოდგენა შეუძლებელია. პრომეთეოსი განსაკუთრებით იმით არის ახლო ქართული კულტურის, ხელოვნების სულთან, რომ იგი ერთსა და იმავე დროს, ღვთაებრივი ნატურაც და მიწის შვილიცაა. მისი მონოდება ხომ მიწაზე მოსვლაა, მიწაზე სინათლის მოტანა. ცეცხლის, ღვთაებრივი სითბოსი და სინათლის მოტანაა. ეს არის ერთგვარი ხიდი ზეციერსა და მიწიერს შორის. არ შეიძლება არ გაგვახსენდეს ვაჟას ცნობილი სიტყვები: „ვნუგეშობ იმით მიწას მიწურად, და ცას ციურად მივეთავისე“ და როგორ არის ეს გაბნეული საერთოდ ჩვენს პოეზიაში. ივანე ჯავახიშვილს აღნიშნული აქვს, რომ ჩვენი ისტორიის ოქროს ხანაში, დიდი მოაზროვნენი, მათ შორის დავით აღმაშენებელი თავის „გალობანი სინანულისანში“, ადამიანს წარმოიდგენენ, როგორც ღვთაებრივ არსებას. სწორედ იმიტომ, რომ ის, მათი თვალსაზრისით, არის შემკვრელი გრძნობადისა და გონებისმიერისა; გრძნობადში იგულისხმება ამქვეყნიური, მიწიერი, რასაც ჩვენსა და ჩვენს შეგრძნებებში მივიღებთ, ხოლო გონებისმიერში ის ტრანსცენდენტური, ის მიღმა, მიწიერი სამყარო, რომელიც სწორედ ზეცას, ღვთისმიერს, ღვთაებრივს ნიშნავს. აი ეს სინთეზი სულიერისა და ხორცისმიერის, სინთეზი იდეალურისა და რეალურისა იმავ ვაჟასთან გამხელილია ერთ-ერთ წერილში, სადაც ის ქართული პოეზიის იდეალს სწორედ ასე გამოხატავს. ვაჟას ქართული პოეზიის იდეალად მიაჩნდა ფშავური პოეზია, ქართული ფოლკლორი; ის წერს, რომ ფშავური პოეზიისათვის დამახასიათებელია შერწყმა და შეერთება უკიდურესი იდეალიზმისა უკიდურეს რეალიზმთან. აქ შეიძლება ჩვენ ცოტათი შევყოვნდეთ და ვთქვათ, რომ ეს შერწყმა იდეალურისა და რეალურისა საერთოდ კლასიკური ხელოვნების თავისებურებაა, კერძოდ, მთელი ანტიკური სამყარო, როგორც ძველი საბერძნეთი, ასევე რომი, მათ კულტურასა და ხელოვნებას ვგულისხმობ, სწორედ ამაზეა დაფუძნებული, ფორმისა და შინაარსის, ანუ ხორცისა და სულის ადექვატური ერთიანობაზე. ახალი თითქოს აქ არაფერი არ არის, ერთადერთი სიტყვით გვშველის ჩვენ ვაჟა-ფშაველა, ეს არის სიტყვა – „უკიდურესი“. საქმე ის გახლავთ, რომ ეს არ არის ჩვეულებრივი სინთეზი, ჩვეულებრივი ერთიანობა, ეს არის დრამატული ერთიანობა, აქ ანტიგონისტური სანყისები კი არ ნებდებიან, კი არ უთმობენ ერთმანეთს, რომ მშვიდობა იყოს მათ შორის ან ზავი დადონ, ისინი უკიდურესი სახით მონაწილეობენ ამ ალიანსში. აქ შეიძლებოდა კიდევ ერთი პარალელი გაგვევლო – როგორ ესმის ქართველ კაცს მეგობრობა, კერძოდ, მამაკაცების მეგობრობა. მოგეხსენებათ და ამაზე შემდეგაც ვიტყვით, ქართულ ხასიათს გარდა ღირსებებისა, ბევრი ხარვეზიც აქვს, ნაკლი. ერთ-ერთი ის გახლავთ, რომ ქართველებმა ერთმანეთის მტრობა ვიცით. ყველაზე მეტად ქართველი ქართველს მტრობს, იმასთან სურს მეტოქეობა, თითქოს ძალის მოსინჯვა, მაგრამ, ამავე დროს, ჩვენ ვეკუთვნით მსოფლიო ხალხთა იმ რიგს, რომელსაც განსაკუთრებით აქვს განვითარებული მეგობრობის გრძნობა. თუ შეიძლება ითქვას, უმეგობრო ქართველი, საერთოდ, ქართველი არ არის. ამით ჩვენ გამოვიჩვენებთ და დღესაც შეგვრჩა ეს თვისება, თითქოს უამისოდ

ვერ ვძლებთ, ვერ ვხარობთ, მაგრამ მეგობრობა ჩვენ, სხვათაშორის, თავისებურად გვესმის: ეს მეგობრობა არ ნიშნავს ორი პიროვნების ნიველირებას, რომ ორი ადამიანი თითქოს ერთნაირი უნდა გახდეს. პირიქით, ჩვენ ისეთ კავშირზე ვაფუძნებთ მეგობრობის ჩვენებურ წარმოდგენას, როცა ორი პირი თავისი ხასიათით ერთმანეთს გარკვეული თვალსაზრისით უპირისპირდება. ამისი ცოცხალი ნიმუშია ავთანდილი და ტარიელი, ისინი ნამდვილად განსხვავდებიან ერთმანეთისგან. მართალია, არსებობს აზრი, რომ ორივე იდეალური რაინდები არიან და რუსთაველმა მათში გამოხატა რაინდობის იდეალი, მაგრამ ეს, ასე ვთქვათ საქმეა. რუსთაველი ისე ამუშავებს მათ ხასიათს, ისე დეტალურად, ისე მხატვრულად ხსნის სხვადასხვა სიტუაციებში და სხვადასხვა კუთხით, სხვადასხვა რაკურსით გვაჩვენებს მათი ხასიათის სულ სხვადასხვა თვისებებს, რომ ეს არ შეიძლება ჩაითვალოს რაღაც შემთხვევითობად. ნამდვილად, ტარიელი და ავთანდილი ერთმანეთისგან განსხვავებული ის პიროვნებები არიან, რომლებიც ერთმანეთს ავსებენ და მათი კავშირი სწორედ მათ სხვადასხვაობაზეა დაფუძნებული და არა იმაზე, რომ ისინი იმეორებენ ერთმანეთს.

უსათუოდ უნდა ითქვას ორიოდე სიტყვა და მე ჩემს თავს ნებას მივცემ, მიუხედავად იმისა, რომ სპეციალისტი არა ვარ, მაინც ვთქვა, არსებობს დიდი კავშირი „ვეფხისტყაოსნის“ პოეტიკასა და მისი ეპოქის სახვით ხელოვნებასთან, სახვითი ხელოვნების თავისებურებასთან, ოსტატობასთან, ნამყვან პრინციპებთან. უბრალოდ რომ გავიხსენოთ (აქ აუცილებელი არ არის ხელოვნებისმცოდნე იყო, კერძოდ სახვითი ხელოვნების მცოდნე), გავიხსენოთ იმ ეპოქის ნაგებობანი, კერძოდ საეკლესიო ხუროთმოძღვრება. დიდი რწმენა ადამიანისადმი და ადამიანში ბუნებრივი თვისებების, ბუნებისაგან შექმნილი თვისებების კეთილისმყოფელობისა, ჩემი აზრით, რაც განსაგნებულია „ვეფხისტყაოსნის“ თუ შეიძლება ასე ითქვას, პოეტურ მუსიკაში, ასევე განხორციელებულია ჩვენს შუასაუკუნოვან ტაძრებში. ჩვენ შეგვიძლია ზოგიერთი ამათგანი შევადაროთ, როგორც შორეულ პარალელებს, ასევე ახლომდებარე, მეზობელ კულტურასაც. ქართული ხელოვნებისათვის, ხუროთმოძღვრებისათვის უცხოა დედამიწისგან, ნიადაგისგან ის სრული განლტოვვა, სრული დაცლა ხორცისგან, რაც ახასიათებს თუნდაც გოთიკას – ცისკენ ატყორცნილი ხაზები, სრული დაცარიელება, შემსუბუქება ყოველივე მიწიერისგან. ეს ელემენტი ჩვენშიც არის, მაგრამ ეს არ არის მთავარი. ქართული ხუროთმოძღვრებისათვის ასევე უცხოა მიწაში ჩაბჯენაც, ჩამკვრივებაც. ამავე დროს, ეს ორი ელემენტი მაინც მოქმედებს. თუ წარმოვიდგენთ როგორც ადრეული შუასაუკუნეების, ისე XI-XII საუკუნეების ჩვენს შედეგებს, დავინახავთ, რომ ყოველი ჩვენი კლასიკური ნაწარმოები (ხუროთმოძღვრებას ვგულისხმობ – ტაძრებს, საეკლესიო ნაგებობებს) უსათუოდ არის დაკავშირებული მიწასთან, ნიადაგში ღრმად აქვს ფესვები გამდგარი, საიმედოდ დგას, არ არის ნიადაგს მოწყვეტილი, მაგრამ, ამავე დროს, მთელი მისი ტორსი ზეაღმართულია და მიილტვის ზესკენლისკენ. ასეთია სვეტიცხოველი, ეს სიტყვა შეიძლება სიმბოლურ განსაზღვრებად გამოგვადგეს, იმიტომ, რომ ეს არის ცხოველი სვეტი ზეცასა და დედამიწას შორის რომ უნდა ჩადგეს, ეს არის ხიდი, რომელიც აერთებს ამ ორ სამყაროს, როგორც დავით აღმაშენებელს აქვს ნათქვამი, შემკვრელი ამ ორი რეალობისა, ამ ორი სინამდვილისა. ეს არის ქართული სახვითი ხელოვნების თავისებურება, მე მეტის თქმის უფლებას არ მივცემ ჩემს თავს, ყოველივე ეს თვალთაღ მოიხილება და იგრძნობა, განსაკუთრებით, როცა მას ვადარებთ სხვა ძეგლებს. მე ამით არავის არ ვაკნინებ, არც არვის ვაქებ. ეს არის თავისებურება, სპეციფიკური, რაღაცნაირი ნაირსახეობა. ასევე, როცა ჩვენ პრომეთეოსზე ვსაუბრობთ, ამით არავის არაფერს ვართმევთ. პრომეთეოსი საერთოდ კაცობრიობის, პროგრესის, სინათლის, კულტურის სიმბოლოდ იქცა. უბრალოდ, სასიხარულოა ის, რომ ჩვენს ხელოვნებაში, ჩვენს სულიერ ცხოვრებაში სწორედ ეს სიმი აჟღერდა ასე ძლიერად, სწორედ ამან იმძლავრა. გარდა ამისა, ჩვენი ამირანი უსათუოდ ენათესავება სამყაროს პრომეთეულ გაგებას, პრომეთეულ საწყისს კულტურაში, რაც, დღეისათვის ყოველგვარი უგონოს, ღრმად

მთვლემარე, უსახურის, გარდაქმნის და გაადამიანურების სინონიმად იქცა. გაადამიანურება ერთ-ერთი წამყვანი ტენდენციაა საერთოდ რენესანსული აღორძინების ხანის ხელოვნებისა, მე დასავლეთს ვგულისხმობ. რაოდენ სასიხარულო და ნიშანდობლივია, რომ ეს სულისკვეთება ასე დამახასიათებელია ქართული ხელოვნებისთვის არა მხოლოდ ოქროს ხანაში, ანუ ქართული ნამდვილი რენესანსის ხანაში, არამედ ადრეულ საუკუნეებშიც, იმ დროს, როდესაც, თუ შეიძლება ასე ითქვას, სასულიერო კულტურა სრული ჰეგემონი იყო. მე მხედველობაში მაქვს ისეთი ნაწარმოებები, როგორიცაა „შუშანიკის წამება“, „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“ და სხვ.

ალბათ ბევრს გაუგონია ასეთი სიტყვები – ვიდრე ამქვეყნად ერთი ქართველი მაინც დარჩება, საქართველო იარსებებს. შეიძლება ამ აზრის სხვანაირად შემოტრიალება – საქართველო იარსებებს მანამ, ვიდრე ერთი ქართველი მაინც შეინარჩუნებს თავის ქართველობას, საქართველოს ნამდვილი სიყვარული, ქართველური პატრიოტიზმი უნდა ეფუძნებოდეს არა ჯოგურ გრძნობას, არამედ იმის შეგნებას, რომ ქართულმა სულმა შესძლო მოეპოვებინა მაღალი მწვერვალები, მიეღწია ისეთი დონისთვის, რომელიც დღეს ჩვენ მეტს გვავალებს. ქართველმა ხალხმა ხანგრძლივი ბრძოლის შედეგად გადაარჩინა არა მხოლოდ საკუთარი სხეული, მან ამ ბრძოლითვე შეინარჩუნა და დღემდე მოიტანა თავისი შინაგანი სახე, თავისი სულიერი რაობა. ქართული ბუნება, როგორც მთის ერთი ღვართქაფიანი მდინარე, მუდამ, სადაც კი გასაქანი მისცემია, მედგრად, თავბრუდამხვევი სისწრაფითა და შემართებით მიაპობდა თავის ქარაფოვან კალაპოტს, თუ ერთ მოსახვევში სუნთქვა ელეოდა, მეორეში საოცარი კამარით გადაეველებოდა უფსკრულის პირს. ვახუშტი ბატონიშვილი, საქართველოს ზნეთა და ჩვეულებათა პირველი სისტემატიზატორი, ხაზგასმით აღნიშნავს რამდენიმე წინააღმდეგობას ერთი ეროვნული ხასიათის შიგნით; მისი სიტყვით, ძველმა ქართველებმა „ერთნაირად უწყოდნენ ურთიერთთან მტერობა და მოყურობა, ლხინთა ლხინობა და ჭირთა ჭირობა“. ჩვენი ეროვნული ხასიათის ორი პოლუსია მინდია და მურმანი, ცოტნე დადიანი და ზურაბ არაგვის ერისთავი. ქართული ხასიათის ორბუნებოვანება ერთ საფრთხეს შეიცავს მისი ინტერპრეტატორისთვის. თუ ამ მთლიანობის, ამ წინააღმდეგური მთლიანობის მხოლოდ ერთ მხარეს შეამჩნევ და მხოლოდ მას დაეყრდნობი, ან სრული იდეალიზაციისკენ გიბიძგებს, ან პირიქით, გაიძულეებს ასევე მთლიანად დაგმო ეს ხასიათი, ერთი საქართველო ამქვეყნიურ სამოთხედ წარმოუდგენიათ, მეორენი რალაც უღვთოს ხედავენ ჩვენში, ვინაიდან მათ არ უნდათ შეამჩნიონ, ან არ შეუძლიათ შეამჩნიონ, ამ ხასიათის შინაგანი დრამატიზმი, მისი დიალექტურობა, ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით.

ქართული ხასიათის ღირსებები და ხარვეზები ზოგჯერ ერთმანეთთან არის გადახლართული. და, უფრო მეტიც, ხშირად ისინი ერთმანეთს განაპირობებენ. მე ერთ სისუსტეზე მოგახსენებთ, რომელიც თავისი საფუძველით ძალიან რთულია, ქართველი კაცისთვის დამახასიათებელია უკმარობა, უკმარისობის გრძნობა, რეალურ მდგომარეობასთან შეურიგებლობა და გამარჯვების, მასზე ზეიმის, მისი დაძლევის წყურვილი, რაც ხშირად მცირე, არარსებითი წარმატებით უზომო აღფრთოვანებაში ან ფსევდოგამარჯვებულის პოზაში ვლინდება. ორივე ეს თვისება გარეშე თვალს ამხიარულებს.“ (საუბრის სტილი დაცულია).

## კ რ ი ტ ი კ უ ლ ი დ ი ა ლ ო გ ე ბ ი

### წინათქმა

ეს არის თითქმის სტენოგრაფიული ჩანაწერი რამდენიმე საუბრისა, რომელიც სხვადასხვა დროს შედგა ჩემი თანდასწრებით. სიზუსტისთვის უნდა ვთქვა, რომ ზოგიერთ მათგანს მხოლოდ პირობითად შეიძლება ვუწოდოთ დიალოგი, რადგან ავტორს ფაქტობრივად არარსებული მონინააღმდეგე ედგა თვალწინ.

დიალოგური ფორმა, როგორც აზრის ჩამოყალიბების თავისებური ხერხი, ჯერ კიდევ ანტიკური დროიდან დამკვიდრდა ლიტერატურაში. ცნობილი ლიტერატორი მ.ბახტინი თავის მონოგრაფიაში დოსტოევსკის პოეტიკის შესახებ ამტკიცებს, რომ გასულ საუკუნეში შექმნილი ეპიკური ნაწარმოებების დიდი ნაწილი თავისი შინაგანი აღნაგობით დიალოგურია, რადგან ავტორის წინააღმდეგობრივ თვალსაზრისს, სიმართლის ძიების გზაზე აღმოცენებულ მტკივნეულ გაორებას ასახავს.

ასეთი წინააღმდეგობა, ან როგორც ძველად იტყოდნენ, Pro et Contra თითქმის აუცილებელი პირობაა შემოქმედებით პროცესში, თუ რასაკვირველია, მწერლის მიზანს ქვემარტების მიმართულებით მოძრაობა წარმოადგენს.

დიალოგური ფორმა თანდათან ფესვს იდგამს თანამედროვე კრიტიკაშიც.

დასასრულ, უნდა შევნიშნო, რომ ზოგიერთი საუბრის მონაწილემ არ მოისურვა თავისი პიროვნების გამჟღავნება, რის გამოც მათი სახელი და გვარი ინიციალებით იქნება აღნიშნული.

## **I დიალოგი (ვრცელი რემარკებით)**

– „ეს გულწრფელი წიგნია, მკითხველო“... – ასე იწყებს მონტენი თავის „ცდებს“. რამდენი ქართული წიგნი შეიძლება დაწყებულიყო ასეთი სიტყვებით?

უცნობი გამომცდელი თვალებით მიყურებდა. მე გუნებაში მაშინაღმურად დავინწყე თვლა: ერთი, ორი... ოთხი...

1956 წელს მოსკოვიდან თბილისში ვბრუნდებოდი. აპრილის დასაწყისი იყო, – ქარი, თოვლჭყაპი. გაზაფხული, როგორც ყოველთვის, ნელა შემოდოდა რუსეთის დედაქალაქში. ჰაერი რაღაც უცნაური წინათგრძნობით იყო გაჟღენთილი.

რამდენიმე დღის წინ საკანდიდატო დისერტაცია დავიცავი. გადავწყვიტე საერთაშორისო ვაგონით წამოსვლა, რომ გზაში ცოტა მაინც დამესვენა.

კუპეში ორმოცდაათიოდე წლის მამაკაცი დამხვდა. უკვე მოშინაურებულიყო. თბილი ნულები და ატლასის გრძელი, მწვანე ზოლებიანი ხალათი ეცვა. ჩემი შესვლა მგონი ვერ შეამჩნია. რაღაც ძველებურად გამოცემულ ფრანგულ წიგნს კითხულობდა. მაგიდაზე რუსული სუვენირები ელაგა. მოსკოვის ბაზარზე ნაყიდი რამდენიმე ახალთახალი ცოცხი ბადეზე შეენყო. – უცხოელია, ალბათ, – გავიფიქრე. ჩემოდანი ზემოთ ავდგი და სავარძელზე ჩამოვჯექი. წიგნები, რომლებიც ჩემოდანში არ ჩამეცია, მაგიდაზე დავაწყვე. სიჩუმემ კარგა ხანს გასტანა. რადიოში „ფაუსტის“ მეორე მოქმედებას გადმოსცემდნენ.

სერპუხოვს უკვე გამოცილებული ვიყავით, როცა ვაგონის გამყოლმა ჩაი შემოიტანა.

ჩემს მეზობელს არც მისთვის მიუქცევია ყურადღება. წიგნის კითხვას განაგრძობდა და ხანდახან ჩუმ-ჩუმად ელიმებოდა ულვაშებში. მარცხენა ხელით, რომელზეც ორი მსხვილი ბეჭედი ეკეთა, წამდაუნუმ იწინკნიდა ოდნავ შევერცხლილ ბლანჟეს.

რაღაც ბებერი ვაცისმაგვარი იყო ამ კაცის მთელ გარეგნობაში.

– „ანატოლ ფრანსი ხალათში“ – უნებურად გამახსენდა ერთი პატარა წიგნის სათაური, რომელიც სამჯერ ვიყიდე ბუკინისტთან და სამჯერვე ისე მომპარეს,

წაკითხვა ვერ მოვასწარი. წიგნის ქურდობა სტუდენტობის დროს ჩვენს წრეში, რაღაც კეთილშობილი აბრაგობის მსგავს ვაჟკაცობად ითვლებოდა.

გარეთ უმთვარო ღამე იყო. მატარებელი ზომიერად გვარწევდა და მე თანდათან თვლება მომერია.

...„Чити один кумир священный“ ... მღეროდა რადიოში პიროგოვი.

ბავშვობაში, არდადეგების დროს ერთმა მარტორქისოდენა ვაცმა დიდი შიში მაჭამა ჩვენი სოფლის ორლობეში და ამის შემდეგ ყოველი მოკლენვერიანი მამაკაცის დანახვა ფარულ ძრწოლას მგვრიდა.

გარეთ გამოვედი და სიგარეტი გავაბოლე. გამყოლი რაღაცას ღლინებდა კორიდორში. გვერდით რომ ჩამიარა, მოულოდნელად თვალი ჩამიკრა.

–Ездют всякие, შეთქმულის ინტონაციით წამჩურჩულა ყურში. თვალეხი შესამჩნევად უციმციმებდა.

კუბეში შევბრუნდი. ჩემმა მეზობელმა წიგნი დახურა, რადიო გამორთო და გრძელი, ვერცხლით მოვარაყებული ჩიბუხი ამოიღო უბის ჯიბიდან.

– დაბრძანდით! – მითხრა სუფთა ქართულით, ისეთი კილოთი, თითქოს მასთან საპატიო აუდიენციაზე ვიყავი მისული.

მე რატომღაც შესაფერისი ტონითვე გადავუხადე მადლობა და სავარძელზე ჩამოვჯექი.

მეზობელმა ჩიბუხი დატენა. მკაცრი, ოდნავ ირონიული სახით მათვალისწინებდა. შევეცადე თვალი გამესწორებინა... ამინდზე მინდოდა დამეწყო ლაპარაკი, მაგრამ უცნობი თითქოს მიხვდა, გაკილვის ნიშნად თითი დამიქნია, კიდევ უფრო შეჭმუხნა სქელი წარბები და უცებ კატეგორიული კილოთი დამისვა ის კითხვა:

– ...რამდენი ქართული წიგნი შეიძლება დანყებულიყო ასეთი სიტყვებით?

მე ჯიბიდან ასანთი ამოვიღე, წამოვდექი და ჩიბუხთან მივუტანე ცეცხლი. უცნობმა ისეთი კვამლი ამოუშვა, ერთი წუთით ჩემ თვალწინ ყველაფერი თეთრ ბურუსში დაინთქა. ცხადია, პირდაპირ პასუხის გაცემა გულუბრყვილობა იქნებოდა...

– ქართველ კაცს ყოველთვის უნდა, ცოტათი მაინც მეტი იყოს იმაზე, რასაც სინამდვილეში წარმოადგენს. ეს ადამიანური თვისებაა. – განაგრძო უცნობმა.

– კიდევ კარგი, არ ვუპასუხე! – გამიელვა თავში. – იდიოტურ მდგომარეობაში აღმოვჩნდებოდი. შეკითხვა, რასაკვირველია, რიტორიკული იყო. გარდა ამისა, მე უკვე სამუდამოდ გამოვედი გამოცდების ჩაბარების ასაკიდან. რა ბედნიერებაა! ვინც რა უნდა გკითხოს, შეგიძლია ხმა არ გასცე ან კითხვაზე კითხვითვე უპასუხო. (ასპირანტურის დამთავრების შემდეგ გამოცდები რამდენიმე წელიწადს მხოლოდ სიზმრებში მანუხებდნენ. გამოცდას ყოველთვის ჩვენი კლასის დამრიგებელი, დიდი ხნის გარდაცვლილი ქალბატონი სოფიო იბარებდა. ზუსტად ისეთ ოთახში, ბერგმანის ცნობილი ფილმის ანალოგიური ეპიზოდი რომ მიმდინარეობს. გულის ბაგაბუგით ვიღვიძებდი და ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, როცა საბოლოოდ დავრწმუნდებოდი, რომ უკვე აღარასოდეს, აღარცერთ საგანში აღარ მომიხდებოდა გამოცდის ჩაბარება).

– გარდა ამისა, – განაგრძო უცნობმა, – სიცრუე საფუძვლად უდევს ხელოვნებას, როგორც არტიზიმის განუყრელი თვისება. ეს ტრივიალური ჭეშმარიტება ყოველმა რიგითმა ქართველმა მკითხველმა იცის კონსტანტინე გამსახურდიას „თვალთაჲ“-დან. მაგრამ სიცრუე მხოლოდ ხერხია ხელოვნებაში. შემოქმედების მიზანს ჭეშმარიტებასთან მიახლოება წარმოადგენს. ამ მხრივ კი, ყოველი ახალი ნაბიჯის გადადგმა შესაძლებელია მხოლოდ მაქსიმალური შინაგანი სინრფელის პირობით.

მე უკვე სრულიად დამშვიდებული ვიყავი. თემა, რომელსაც ჩემი მეზობელი შეეხო, სპეციალურად მქონდა დამუშავებული რამდენიმე წლის წინ, როდესაც უმცროსი კურსის სტუდენტებს ვუტარებდი სემინარს.



- სინრფელე, ანუ გულწრფელობა საბჭოთა მწერლობაში თავისთავად ნაგულისხმევი თვისებაა. მომიტევეთ, მაგრამ დღეს ამ საკითხის წამოჭრა, რბილად რომ ვთქვათ, მოკლებულია ყოველგვარ აქტუალობას. - მე თვითონ გამიკვირდა, ისე სწრაფად, ერთი ამოსუნთქვით მივახალე ეს სიტყვები.

უცნობი ჩემს წიგნებს ათვალთქვებდა: „პლენხანოვი ხელოვნების შესახებ“; ფ.მერინგი, „რჩეული წერილები“; ივაშვივა, „XIX ს. დასავლეთ ევროპის ლიტერატურის ისტორია“, ტ. II. უცნობმა უსიამოვნო ღიმილით შემომხედა:

- თქვენ, როგორც ჩანს, ლიტერატორი ბრძანდებით?

- დიახ, კრიტიკოსი... უკვე ორი წერილი დავბეჭდე „მნათობში“. რუსულ ლიტერატურულ გაზეთშიც იყო ჩემი რეცენზია...

- საქართველოში აპირებთ მუშაობას?

- რასაკვირველია.

- ჰმ...

ეს კაცი უკვე აშკარად მაღიზიანებდა. ცხრა წლის განმავლობაში იმდენი ლექცია მოვისმინე ლიტერატურის შესახებ, საერთოდ აღარავის მოსმენა არ შემეძლო. ახლა მე თვითონ მინდოდა მსჯელობა, საკუთარი და სხვისგან შეძენილი აზრების გაღრმავება.

- გაგიჭირდებათ... - ძალიან ჩუმად, თითქმის ჩურჩულით მითხრა უცნობმა, - პროფესიულ კრიტიკას საქართველოში ფაქტობრივად მხოლოდ ერთი საუკუნის ისტორია აქვს. დაფიქრებისხართ ამ ფაქტს?

- ეს ობიექტური მიზეზების ბრალი იყო. კრიტიკის განვითარებისთვის საჭიროა ლიტერატურული პრესის არსებობა, მუდმივი კულტურული დანესებულებები...

საკვირველია, ამ საკითხზე არასოდეს მიფიქრია, პასუხი კი თითქოს მომზადებული მქონდა და, რაც მთავარია, სრულიად კმაყოფილი დავრჩი ჩემი არგუმენტით.

- თქვენ მართლა ფიქრობთ, რომ ეს მხოლოდ ობიექტურმა პირობებმა გამოიწვიეს?

- ცხადზე ცხადია!..

- ჰმ!..

(- რა „ჰმ“, - მწარედ გავიფიქრე გულში, - ეს მაჯლაჯუნა ძილის საშუალებას არ მომცემს ამაღამ! არ გეგონოს, შემაშინებ... შენისთანა ურწმუნოებისთვის ხშირად მოგვიგრეხია კისერი! - არ ვიცი, ვის ვგულისხმობდი, მაგრამ დარწმუნებული ვიყავი, რომ მართლა მქონდა ჩადენილი ამგვარი რამ).

- ზუსტად აღარ მახსოვს, - განაგრძო უცნობმა, - ინდოეთში თუ აფრიკაში ცხოვრობს ერთი კაცი, რომელიც ყველაზე საშინელი ქვენარმავლების შხამს იტანს... ემილ ზოლა ამტკიცებს, რომ ის ყოველ დღით მუშაობის დაწყებამდე ცოცხალ გომბეშოს ყლაპავდა. ქართველმა კრიტიკოსმა, თუ მას სერიოზული მიზნები აქვს მწერლობაში, დაახლოებით ასეთი იმუნიტეტი უნდა გამოიმუშაოს.

- თქვენ სინრფელეზე ჩამოაგდეთ სიტყვა... განაგრძო უცნობმა... გულწრფელობა შემოქმედის შინაგანი თავისუფლების, მისი სულიერი დამოუკიდებლობის პირველი ნიშანია. ნამდვილი გენიოსი ამ თვისებითაც შეიცნობა. თუმცა სინრფელის მოთხოვნილება ყოველთვის როდი წარმოადგენს ზნეობრივი სინმინდის შედეგს. ყველაზე გულახდილ აღსარებებს ის კარისკაცები წერდნენ სიბერის ჟამს, რომელთაც მთელი სიცოცხლე ფარისევლობაში გაატარეს.

უცნობმა ივაშვივას წიგნს დაადო ბეჭდიანი თითი.

- შატობრიანი გაქნილი პოლიტიკოსი იყო, მაგრამ მისი „საიქოს ჩანაწერები“ სავსეა მომხიბლავი უშუალობით. ეს ამ წიგნში არ წერია...

- მე უკვე გამოვთქვი ჩემი აზრი ლიტერატურაში გულწრფელობის შესახებ.

- თქვენი აზრი უთუოდ საყურადღებოა, - რალაც ახალი ინტონაციით განაგრძო უცნობმა, - მაგრამ მე სრულიად სხვას მოგახსენებთ. ყოველი ნამდვილი

მწერალი, ასე თუ ისე, თავისი ხალხის ეროვნულ თვისებებს გამოხატავს, მაშინაც კი, როდესაც სუბიექტურად მათ უარყოფას ცდილობს.

ცნობილია, რომ სტენდალი ვერ იტანდა ფრანგებს, რადგან ისინი მსოფლიოში ყველაზე პატივმოყვარე ერად მიაჩნდა. ფრანგების ზერელე ბუნებას „პარმის სავანეში“ და „ქრონიკებში“ მან დაუპირისპირა იტალიელების წრფელი ნატურა და ვნებათა ნამდვილი სიღრმე. პარიზელ რანტიეთა თვალში ეს სამარცხვინო ღალატი უნდა ყოფილიყო, ეროვნული სიამაყის უპატიებელი შელახვა.

მაგრამ სტენდალი თავისი ერის ნამდვილი შვილი იყო, ისეთივე ღვიძლი, როგორც ვიიონი და ბომარშე...

– სტენდალის მსოფლმხედველობა, – ვთქვი მე საკმაოდ მტკიცე ხმით, – ალბეჭდილი იყო კლასობრივი შეზღუდულობით. ამ შემთხვევაშიც ერთი გარკვეული სოციალური ფენის წარმომადგენელთა დამახასიათებელი ნიშანი მან შეცდომით გაავრცელა მთელ ხალხზე. ლიტერატურულმა ავტორიტეტებმა არ უნდა დაგვაბრძაონ! დასავლეთის ბურჟუაზიული მწერლობის ისტორიაში ბევრი რამ საჭიროებს ფხიზელი თვალით გადასინჯვას ჩვენი მეთოდოლოგიის ძირითადი პრინციპების შუქზე.

უცნობი ახლა აღერსიანი სახით მისმენდა. მზად ვიყავი თვალები გამომეთხარა, ისე მშლიდა ჭკუაზე ეს ყალბი მამაშვილური გამოხედვა.

– დაამთავრეთ? – მშვიდად მკითხა უცნობმა.

– დიალ...

– როდესაც „სიცრუეზე“ ვლაპარაკობდი, მხედველობაში მქონდა ხელოვნების ძველისძველი საიდუმლო, ე.წ. „სიბრძნე სიცრუისა“ და არა ჩვეულებრივი სიყალბე... სიყალბეს მწერლობაში აზრის სიმბდალე ან წვრილმანი ანგარება იწვევს. არის კიდევ ერთი მიზეზი – ზერელე პატივმოყვარეობა...

ყოველთვის იყვნენ და დღესაც არსებობენ მწერლები, რომლებიც მკითხველის გულს ქათინაურებით იგებენ: გამუდმებით პირში ეფერებიან, ქებას ასხამენ, პირფერობენ... დაკმაყოფილებული პატივმოყვარეობა გონებას ადუნებს, ნეტარი უმოქმედობისკენ განაწყობს ადამიანის სულს. ალბათ შეგიმჩნევიათ, როგორი სულელური გამომეტყველება უჩნდება (ჩვეულებრივ ვითარებაში სავსებით ნორმალურ, საღად მოაზროვნე) ადამიანს, როდესაც ქართულ სუფრაზე მის სადღეგრძელოს სვამენ. „უზადო მამულიშვილი“, „სპეტაკი“, „დიდბუნებოვანი“, „მაღალნიჭიერი“ – მთელი ეს სტერეოტიპული ფრაზეოლოგია, რომლისთვისაც ანალოგიურ პირობებში თვითონაც ხშირად მიუმართავს, ერთი ნუთით რაღაც განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს მის წარმოდგენაში და ადამიანს უნებურად გული უჩუყდება... არსებობს სიტყვები, რომლებმაც ჩვენს დროში კატასტროფული დევალვაცია განიცადეს. საჭიროა დიდი დრო მათი ჭეშმარიტი ღირებულების აღსადგენად... იცით, ვინ გადაარჩინა გასულ საუკუნეში ქართველი კაცის შეგნება წვრილმანი პატივმოყვარეობით გამოთაყვანებას?

– ილია ჭავჭავაძემ!

ის იყო პირველი ქართველი პროფესიონალი კრიტიკოსი. – პირველი წარმომადგენელი იმ ჯიუტი თაობისა, რომელმაც თავისი ხალხის გამოფხიზლება მოინდომა, არა მხოლოდ მგზნებარე მონოდებებით, არამედ მწარე, შეუფერავი სიმართლითაც. „კაცია-ადამიანი?!“ ეპოქალური ნიგნია, ისეთივე სასტიკი, როგორიც „პატივმოყვარეობის ბაზარი“, „მკვდარი სულები“ და „პინგვინების კუნძული“. არც ერთ ქართველ მწერალს არ უთქვამს ასეთი საშინელი სიტყვები თავისი ხალხისათვის:

– ჩვენისთანა ბედნიერი განა არის სადმე ერი?

უნყინარი, უჩინარი, ქედდრეკილი, მაღლიერი...

და ეს იმ ერზე, რომელსაც საუკუნეების მანძილზე ანებივრებდნენ რომანტიკული ქათინაურებით, რომლის ნაციონალურ პატივმოყვარეობასაც ამავე წლებში მალამოსავით მოეცხო გრიგოლ ორბელიანის ცნობილი ლექსი:

სხვა საქართველო სად არი, რომელი კუთხე ქვეყნისა?  
ერი გულადი, პურადი, მებრძოლი შავის ბედისა?!

ქართველ კაცს დღემდე გული უჩქროლდება ამ სტრიქონებზე, რადგან პოეზიაში ის, უპირველეს ყოვლისა, მომნიბლავ ილუზიას ეძებს, რომ ლამაზი სიცრუით გაბრუებულმა კვლავ აღიდგინოს სულის სიმშვიდე. და მართლაც, რა საამოა, როცა „გულადი“, „პურადს“ ერთმება, რა ლამაზი გამართლებაა იმისათვის, რომ პატრიოტული აღტკინება სხვა სარბიელის საძებნელად, იქვე, მშობლიური ქართული სუფრის წიაღში დაიხარჯოს...

ილია ჭავჭავაძემ და აკაკი წერეთელმა ქართველ მკითხველს სიმართლის დაკარგული გემო გაუღვიძეს. „სიმართლე, მხოლოდ სიმართლე და არაფერი სიმართლის გარდა!“ – ასეთი იყო მათი მოქმედების წესი. სიმართლის გრძნობას წვრთნა სჭირდება. უპირველეს ყოვლისა, აუცილებელია აბსოლუტურად მართალი იყო საკუთარ თავთან...

აკაკი წერეთელი თავის თავს ქართული მწერლობის უბრალო, „დღიურ“ მუშად თვლიდა. თავისი ლექსების დიდ ნაწილს მხოლოდ „დღიური საჭიროებით“ ამართლებდა. უკვე მოხუცებული, ქართველი მკითხველის მიერ თითქმის გაღმერთებული პოეტი საჯაროდ აღიარებდა, ამ ლექსებს ნამდვილ ხელოვნებასთან არავითარი კავშირი არა აქვსო.

აკაკის რამდენიმე სიტყვა „ჩონგურზედ“ პრინციპული კრიტიკის საუკეთესო ნიმუშია. ეს წერილი ილია ჭავჭავაძის სასარგებლოდ არის დანერგილი – ილიას და მისი თანამებრძოლების შემოქმედებითი პროგრამის დასაცავად. მაგრამ რამდენად მიუკერძოებელია ამ წერილის ავტორი, როდესაც ილია ჭავჭავაძის ლექსების წმინდა პოეტურ ღირსებაზე მსჯელობს!

„ამ ლექსებში, – წერს აკაკი, – პოეზიის ნატამალიც არ იპოვება. ეს არის მხოლოდ ცარიელი რიტორება. ლექსების შემარცვლა უსწორმასწოროა და რითმაც, პირველი სიმდიდრე ჩვენი ლექსისა, არსად ჩანს. ერთი სიტყვით, როგორც ლექსი, სუსტია, მაგრამ ამის ერთ სტრიქონს, ფუთობით რომ მიბოძონ, ჩვენის ბულბულების ნაწერში, რომელშიაც პოეზიაც იქნება, მარცვლებიც და რითმებიც, არ გავცვლი და მიზეზიც ის არის, რომ ამ ლექსებში ოცნებას კი ვერა ვხედავთ, მაგრამ ყოველს დღიურს ჭეშმარიტებას, ჩვენს ნაკლოვანებას და ჩვენს საჭიროებას“...

– ამას თანამედროვე წერს! ილიას სახელი ჩვენთვის, დღევანდელი ქართველი მკითხველებისთვის წმინდა სახელია, ეროვნული შეგნების დროშა! მისი შებლაღვის უფლებას არავის მივცემთ! – აღშფოთებით წამოვიძახე მე.

უცნობი ადგა, საკვოიაჟი გახსნა და რაღაც უცხოური მარკის ბოთლი ამოიღო. მერე პატარა ჭიქებიც ამოალაგა. ორივეში ჩამოასხა სასმელი, მაგრამ ჩემთვის არ შემოუთავაზებია. ჩუმად, დაულოცველად გადაკრა, ტურები მოიწმინდა და ისევ განაგრძო:

– ცოცხალი ადამიანი არ შეიძლება დროშად იქცეს...

არასოდეს არ წამოგცდეთ თქვენს სტუდენტებთან, რომ ილია უნაკლო პოეტი იყო. ამის შემდეგ აღარაფერს დაგიჯერებენ. დაიმახსოვრეთ, – არ არსებობს კეთილი მიზანი, რომლის დასამტკიცებლად სიმართლის ღალატი იყოს საჭირო.

ადამიანების ერთი ნაწილი ვერ ძლებს კერპების გარეშე. როგორც კი ერთი ფეტიში დაემსხვრევა, მაშინვე ახალი სამსხვერპლოს შენებას იწყებს. მაგრამ ჩვენი საუკუნე სიმართლის საუკუნეა – უფრო დიდი და მრავლისმომცველი, მრავალგანზომილებიანი სიმართლისა, ვიდრე ყველა გასული ეპოქა. სამყაროს

სურათის მორიგი გარდაქმნა, რომელიც აინშტაინმა შეძლო, განუზომლად აღემატება მეცნიერებაში მომხდარ ყველა წინამორბედ ნახტომს. აინშტაინის ბიოგრაფები აღნიშნავენ მის თანდაყოლილ „ავადმყოფურ“ მიდრეკილებას სიმართლისა და სამართლიანობისადმი.

„...მეცნიერული გმირობა, – წერს თვითონ აინშტაინი, – შესაძლებელი გახდა მაშინ, როცა მოაზროვნე სავსებით გათავისუფლდა მემკვიდრეობით მიღებული ინტელექტუალური ტრადიციებისგან. ლაპარაკია არა მარტო ეკლესიის ავტორიტეტით ნაკურთხ ტრადიციებზე, არამედ ყველაფერ იმაზე, რაც აზრისა და გამოცდილების მნიშვნელობას ზღუდავს სამყაროს შემეცნებისა და ადამიანთა ცხოვრებაში.

რა უბრალო აზრია თითქოს, მაგრამ ამის განხორციელებას მართლაც ნამდვილი გმირობა სჭირდება! აინშტაინის სახელს ახლა სულ უფრო ხშირად ახსენებენ თქვენი კოლეგები. ათი წლის წინ საბჭოთა ლიტერატურულ ჟურნალებში თქვენ წაიკითხავთ არაერთ წერილს, რომლებიც მისი ციტატებით იქნება აჭრელებული. აინშტაინი ლიტერატურულ მოდად იქცევა...

სხვათა შორის, ქართულ მწერლობაში მისი სახე გაცილებით ადრე ამოტივტივდა. „აჰა, ქალაქთა გვიანი ნებით ბურუსებში ჩანს აინშტაინი“, – წერდა 20-იან წლებში გ.ტაბიძე. მარჯანიშვილის მიერ დადგმულ ერთ ქართულ პიესაში აინშტაინის და კანტის თავები პერიოდულად ჩნდებოდნენ კულისებიდან და ერთსა და იმავე სენტენციებს იმეორებდნენ ჭეშმარიტებათა ფარდობითობის შესახებ.

უცნობი წამოდგა, რამდენიმე ნაბიჯი გადადგა კარებისკენ და უცებ შემოტრიალდა. ის სარკმლისკენ იყურებოდა გაბრწყინებული, თითქმის შეშლილი თვალებით.

მთელ სხეულში ჟრუანტელმა დამიარა. ჩემი მეზობელი თითქოს ვიდაცის სახეს უღიმოდა სარკმლის იქით ტრამალებზე განოლილ უკუნეთ ღამეში...

– ალბათ სასმელი მოეკიდა, – დავიმშვიდე თავი.

უცნობი ნელა დაეშვა სავარძელზე.

– ...მაგრამ დაფუბრუნდეთ იმ საგანს, რომელსაც უშუალო კავშირი აქვს თქვენს ხელოვნებასთან, – წყნარი ხმით განაგრძო მან.

საშინელებაა, როდესაც მწერალს ერთნაირად უქებენ ნაკლს და ღირსებას... ქართველ მკითხველზე ჩვენს დროში ყველაზე დიდი შთაბეჭდილება ორმა მწერალმა მოახდინა: პოეზიაში – გალაკტიონ ტაბიძემ, პროზაში – კონსტანტინე გამსახურდიამ. მოვა დრო, როცა კაცობრიობა გალაკტიონ ტაბიძეს გენიალურ პოეტად აღიარებს, რადგან გენიალობის გარეშე შეუძლებელია იმ ჯადოქრული ზემოქმედების ახსნა, რაც მის ლექსს ახლავს. გალაკტიონ ტაბიძე რევოლუციური ეპოქის პოეტი იყო და თვითონაც ნამდვილი რევოლუცია მოახდინა ქართულ პოეზიაში. ქართული სიტყვის ბგერად მატერიაში მან აღმოაჩინა მანამდე დაფარული სასწაულებრივი ენერგია და მას თავისუფალი მოქმედების ახალი გზები გაუხსნა. მაგრამ გალაკტიონ ტაბიძეს აქვს სუსტი ლექსებიც. მათი უმრავლესობა ლიტერატურული შეგირდობის ან ზერელე გატაცებების ხანაში არის დანერგილი. საშინელებაა, როდესაც ქრესტომათიულ გალაკტიონს სწორედ ამ ლექსებს მიაწერენ. ყოველი პოეტის მემკვიდრეობაში ზედმინევით უნდა გამოარჩიოთ ის, რაც მისთვის მთავარია, ჭეშმარიტია, რაც ნამდვილად მისი შთავგონების ნაყოფს წარმოადგენს.

ალბათ, დამეთანხმებით, რომ ამის გაკეთება სწორედ ქართულმა კრიტიკამ უნდა იდოს ვალად.

რალაც მინდოდა მეპასუხა, მაგრამ თავი ისე მტკიოდა, ხმის ამოღება ვერ შევძელი. კეფაში თითქოს მძიმე უროს მირტყამდნენ.

უცნობმა ჩემი სიჩუმე თანხმობის ნიშნად მიიღო...

– კონსტანტინე გამსახურდია ისეთი ნიჭის მხატვართა რიგს ეკუთვნის, რომლებიც ღრმა გავლენას ახდენენ მთელი თაობების გემოვნებაზე. „ყველა სტილი მისაღებია, გარდა მოსაწყენისა“, – თქვა ერთმა ძველი დროის მწერალმა.

კ.გამსახურდიამ ჩვენი მკითხველის მრავალი საიდუმლო იცის, მრავალი ფარული ხერხი, რომლითაც მისი გულისა და ყურადღების დაპყრობა შეიძლება. უმისოდ ქართულ მწერლობაში დიდი მოწყენილობა დაისადგურებდა.

„დიდოსტატის“ ავტორის შემოქმედება უაღრესად ნაციონალურია თავისი შინაარსით, თემებით, სტილით. ასეთი სტილის ატანა XX საუკუნეში მხოლოდ ქართველ მკითხველს შეეძლო. მაგრამ მკითხველმა არათუ აიტანა – მიიღო და შეითვისა კიდევ ეს სტილი. ცხადია, კრიტიკამ უნდა გაითვალისწინოს ეს გარემოება.

მაგრამ კ.გამსახურდიას თაყვანისმცემელთა ერთ ნაწილს მის შემოქმედებაში განსაკუთრებულ აღფრთოვანებას ჰგვრის არა მხატვრის ნამდვილი ოსტატობა – კოლორიტის გადმოცემის იშვიათი უნარი, დროის სურნელის უმძაფრესი განცდა, ღრმა შინაგანი არტისტიზმი, არამედ ზოგიერთი მისი პერსონაჟის ზერელე „ინტელექტუალიზმი“. მაგალითად, თარაშ ემხვარის პოზიორობა და საკმაოდ ბანალური პარადოქსები, ხელოვნური პარალელები კაცობრიობის კულტურული ისტორიის ქრესტომათიულ სახეებთან, რომელთაც გარდა მიამიტი მსმენელის იმპონირებისა, სხვა არავითარი დანიშნულება არ გააჩნიათ, შინაგანი ფილოსოფია, ყალბი არისტოკრატიზმი და სხვ., ე.ი. სწორედ ის აუტანელი პროვინციული კოკეტობა, რაც თვით „მთვარის მოტაცების“ ავტორმა ასე სასტიკად გაამასხრა ზუგდიდელი ყოყლოჩინა ფილისტერის შარდინ აღშობაიას სახეში.

კ.გამსახურდია ხშირად გაუტარებიათ კრიტიკის ქარცეცხლში სხვადასხვა მიზეზის გამო. მწერლის სასახლოდ უნდა ითქვას, რომ კრიტიკამ, ზოგჯერ საკმაოდ მძვინვარემაც კი, მას ვერც ერთხელ ვერ აცვლევინა ფერი, მაგრამ მე მახსოვს, როგორი ოფლი სდიოდა მწერალს შუბლიდან, როცა ერთხელ, ერთ რესპექტაბელურ დარბაზში, ერთი იმ თაყვანისმცემელთაგანის ქებას ისმენდა.

უცნობი თანდათან მიმორჩილებდა. გადავწყვიტე, ერთხელ კიდევ შევბრძოლებოდი, პირველივე პაუზით ვისარგებლე (უცნობი ამ დროს ჩიბუხს ტენიდა).

– მომიტევეთ, მაგრამ თქვენ კრიტიკის აქტიური როლის გაზიარებას ცდილობთ. კონსტანტინე გამსახურდიას „მთვარის მოტაცებაში“ ჰქონდა პრინციპული ხასიათის შეცდომები. ქართულმა კრიტიკამ თავის დროს გაბედულად მიუთითა მწერალს ამაზე.

– როგორ? – დაინტერესებული სახით მკითხა უცნობმა.

– გაბედულად... და, მე მგონი, ამან დადებითი ნაყოფი გამოიღო.

– რამ?

– მე კრიტიკის აღმზრდელობით როლზე მოგახსენებ...

– აჰა!

– დიახ... კრიტიკის პრინციპული მითითებები აუცილებელია მწერლის სწორი ორიენტაციისთვის. კონსტანტინე გამსახურდია ახლა წერს ახალ რომანს თანამედროვეობაზე. ჩვენი კრიტიკის მზრუნველი ზემოქმედების შედეგად ის უკვე თავისუფალია ზოგიერთი მცდარი შეხედულებისაგან და, მე მგონი, „ვაზის ყვავილობის“ სახით ჩვენ მივიღებთ მაღალმხატვრულ, ჭეშმარიტად იდეურ, ფართოპლანიან, სოციალურ...

უცნობმა პირდაპირ ცხვირში შემაბოლა.

საშინელი ხველება ამიტყდა. სიტყვა ველარ დავამთავრე. სიმწრისგან ტუჩებს ვიკვნეტდი. არ ვიცოდი, რითი გადამეხადა სამაგიერო... უცნობმა კიდევ გადაკრა სასმელი.

– დაამთავრეთ? – მკითხა მშვიდად.

– დიალ.

– თქვენ, ეტყობა, განათლებული ადამიანი ბრძანდებით.

ბრეიგელის სურათი თუ გინახავთ: „მხატვარი და შემფასებელი“?

– არა. – დამოუკიდებელი ტონით ვუპასუხე.

– საინტერესო სურათია. მხატვარი – ბებერი ლომივით ფაფარაშლილი, ჯმუხი მამაკაცი შეშფოთებით იყურება სივრცეში, თითქოს რაღაც უჩინარს, მიუწვდომელს ეძებდეს თვალებით. მის გვერდით შემფასებელი დგას. თხელი ტუჩები სულელური ღიმილით მოუპრუნავს. შემფასებელმა ყველაფერი წინასწარ იცის. ყველაფერი. ასეთია მისი ხელობა. თუ გნებავთ, ჰკითხეთ და ის უმალ დანვრილებით მოგიყვებათ, რაზე ფიქრობს ახლა მხატვარი, რა ეშლება, რას ვერ ხედავს სიბეცის გამო, რა ზომებია საჭირო მის საშველად... შემფასებელს ბავშვივით უყვარს „თავისი“ მხატვარი და დარწმუნებულია, რომ ყოველდღიურად უნდა იზრუნოს მასზე, როგორც უმწეო, ჩვილ არსებაზე. ასეთია შემფასებელთა ერთი კატეგორია. არსებობს სხვა ტიპიც.

ამას წინათ, ერთ რუს მწერალთან ერთად ვისვენებდი ყირიმში. თითქმის დავმეგობრდით. წამოსვლის წინ ერთი გამოუქვეყნებელი მოგონება წამიკითხა „ძაღლების შესახებ“.

ადამიანის ამ ერთგული მეგობრის მრავალი საინტერესო ნაირსახეობა აქვს აღწერილი.

ერთ მათგანს თურმე ომის დროს საშინელი ფსიქოლოგიური ტრავმა მიუღია, როცა ყუმბარის ტალღამ ოთახში სარკმელის მინები შემოლენა. ამის შემდეგ სულ რაღაც საშიშროება ელანდებოდა სარკმლიდან. როდესაც მისი პატრონები სალუტის დროს ფანჯარასთან მივიდოდნენ, საშინელ ყეფას ატეხდა ხოლმე და ოთახის სიღრმისკენ ეზიდებოდა კბილებით.

საცოდავი ვერაფრით ვერ მიმხვდარიყო, რომ ომი უკვე კარგა ხანია დამთავრდა და სარკმელთან მიახლოება არავითარ საშიშროებასთან აღარ იყო დაკავშირებული.

უცნობმა უღვაშებში ჩაიღიმა.

მე ვერაფერს მივხვდი. მაგრამ კითხვა დამეზარა. უცნობს მგონი თემა ელეოდა და შემემინდა, ჩემი შეკითხვით ახალი მასალა არ მიმეწოდებინა.

გადავწყვიტე, ერთი ჭიქა მეც დამეღია, მაგრამ ჭიქაზე ხელი ამიცდა და გადმოვაპირქვავე. სასმისი მაგიდიდან გადმოვარდა და ნაწილ-ნაწილ დაიმსხვრა. იატაკს ყვითელი ლაქა დააჩნდა.

უცნობმა ბადიდან ცოცხი გადმოიღო ნამსხვრევების გასახვეტად.

– ნუ ნუხდებით! – ვთხოვე ჩემი უწესობით შერცხვენილმა, – ახლავე გამყოლს დავუძახებ.

ღილაკზე დავაჭირე თითი...

გამყოლი ბარბაცით შემოვიდა. ეტყობა, მთელი ღამე განუწყვეტლად სვამდა. თან ნვიმაში დასველებულიყო. საშინელი ოხშივარი შემოჰყვა კუბეში.

–Что же вы, граждане, не спите? Скоро петухи будут петть.

უცნობმა დიდი ძენკვიანი საათი ამოიღო ჯიბიდან და შეშფოთებით დახედა.

– მართლაც ძილის დროა...

– მგონი მეშველა, – გავიფიქრე. ახლა იმას ვფიქრობდი, ზედა სანოლამდე როგორ ამეღწია.

გამყოლმა ჭიქის ნამსხვრევები აკრიფა და ღილინ-ღილინით გაჰყვა კორიდორს.

ჩემს მეზობელს დიდი, ახალთახალი ცოცხი ეჭირა ხელში და დაუფარავი სიამოვნებით ათვალიერებდა.

– ტიშინკაზე ვიყიდე ერთი კალუგელი დედაბრისგან...

– კარგი ცოცხია! – დაბნეულად ვუპასუხე.

– იცით, ქართულ მწერლობას ყველაზე მეტად რა სჭირდება დღეს?

მე თავაზიანი ცნობისმოყვარეობით ავაპარპალე თვალები. პასუხის გაცემა უსარგებლო იყო. ახალი მონოლოგის მოსასმენად გავემზადე.

უცნობმა ცოცხი შეათამაშა ხელში:

– წაიღეთ ჩემგან სახსოვრად. მე მეორეც მაქვს. თუ მკლავში ძალა გეყოფ, გამოგადგებათ... მეჯინიბეთა ხელობა არასოდეს ყოფილა დიდ პატივში... მაგრამ თუ ქართულ პეგასს... მაპატიეთ რიტორიკული სტილისთვის, ცოტა მომეკიდა...

უცნობმა კიდევ გადაკრა, მერე ახალი ჭიქა დამიდგა და ბოთლში დარჩენილი სასმელი ისე გაანანილა, ორივეს თანაბრად გვეყო.

– ჰო, იმას მოგახსენებდით... ავგიას თავლა... რუტინა... დრომოჭმული ცრურწმენები... უსათუოდ უნდა მოიგვას... უსათუოდ...

მეტის მოთმენა აღარ შემეძლო, გველნაკბენივით წამოვვარდი:

– თქვენ ქართულ მწერლობას პატივს არ სცემთ! საერთოდ ქართველი არა ხართ!..

– დაბრძანდით.

– ჩვენს მწერლობას საკმარისი მეურვეები ჰყავს... არავის არ მივცემთ ნებას!..

– დაბრძანდით, – მშვიდად გამიმეორა უცნობმა. დიდი ოქროსძენკვიანი საათი მაგიდაზე ედო. დაკვირვებით ადევნებდა თვალს ისრის მოძრაობას.

– ხუთი წუთილა დაგვრჩია... ერთ მოკლე ამბავს მოგიყვებით და მერე დავიძინოთ.

ერთხელ ნაპოლეონთან კაბინეტში სასონარკვეთილი მანდილოსანი შევარდა.

– მონყალება! – კარებიდანვე შესძახა მან ბონაპარტეს.

– დაბრძანდით, – მიუგო ნაპოლეონმა. წინაღლით მან სიკვდილი მიუსაჯა ამ ქალის თანამემამულეებს.

– მონყალებას გთხოვთ, იმპერატორო! – კვლავ შესძახა ქალმა.

– დაბრძანდით! – მშვიდად გაიმეორა ნაპოლეონმა.

– იცით, რატომ ვთხოვთ დაბრძანება? – წერს ბონაპარტე თავის მოგონებებში. – ქალს, როდესაც ის სავარძელში ზის, არ შეუძლია იყოს პათეტიკური...

ერთი ცნობილი საბჭოთა ლიტერატორი თავის ძველ წერილში ამ ამბავს ასეთ რეზიუმეს უკეთებს: როდესაც ჩვენში ვინმე დაუდევარ ახალგაზრდას შეამჩნევენ, მაშინვე სკამს მოუტანენ. – დაბრძანდით, – ეტყვიან ალერსიანად, – ეს თქვენი მაგიდაა. იმუშავეთ, თქვენ საჭირო კაცი ბრძანდებით. მშვიდად, ნუ იხტუნავებთ, თორემ სკამიდან გადმოვარდებით.

უცნობმა ჭიქა მომიჭახუნა. – მე მინდა, თქვენი სადღეგრძელო შევსვა. გაგიმარჯოთ! ერიდეთ რბილ სავარძლებს! ნურასოდეს ნუ შედრკებით, თუ თქვენი აზრი არ დაემთხვა სხვათა შეხედულებას, რადგან „ყველაზე მყარი თვისება ყველა ადამიანური შეხედულების ის გახლავთ, რომ ისინი ერთმანეთისგან განსხვავდებიან“, – ასე ამთავრებს მონტენი თავის „ცდებს“...

უცნობმა თავისი ჭიქა გადაჰკრა, მეც მადლობა გადავუხადე და სასმისი ტუჩებთან მივიტანე.

რალაც ჯოჯოხეთური სასმელი იყო. თითქოს გავარვარებული კუპრი ჩამასხეს პირში. სული ველარ მოვითქვი და თვალთ დამიბნელდა. აღარ მახსოვს, როგორ ავბობლდი ჩემს სანოლზე...

...თვალი რომ გავახილე, ერთხანს ვერ მივხვდი, სად ვიმყოფებოდი. კუპეში საოცარი სინათლე შემოდიოდა ფანჯრიდან. გარეთ გავიხედე. მატარებელი შავი ზღვის პირას მიდიოდა.

წარმოუდგენელი ამბავი მოხდა: ორი ღამე მეძინა ზედიზედ.

ქვევით ჩავაცურე თვალი. უცნობი არსად ჩანდა. არც საკვოიაჟი, არც რუსული სუვენირები... მხოლოდ ერთი ცოცხი იდო ბადეზე.

კორიდორიდან მამაკაცების სიცილ-ხარხარი ისმოდა. უცებ კარები გაიღო და კუპეში გამყოლი შემოვიდა გადაფითრებული სახით. ძლივს იდგა ფეხზე. შუბლი პირსახოცით წაეკრა.

–Что за шум? – შევეკითხე.

–А ну их... смеются надо мной, никто не верит,– სულელური ღიმილით მიპასუხა გამყოლმა.

–Что случилось?

–Так я же собственными видел... В Тихорецкой с перрона глядел. У меня привычка – как поезд станет, выхожу на перрон и смотрю, все ли на месте...

Ну вот гроза была страшная, дождь, туман... глядь из трубы, прямо над нашим купэ искры полетели...

Я крикнуть не успел, как он, этот ваш окаянный, в трубу вылез, сел верхом на свою метлу да как полетит!.. Аж в пот бросило...

გამყოლი შეშლილი თვალებით მიყურებდა. უცებ თავზე წაივლო ორივე ხელი და კუპედან გავარდა.

მე ქვემოთ ჩამოვედი. სარკმელი ბოლომდე ჩამოვნიე, კუპეში შავი ზღვის გრილი ნიავი შემოვარდა. ხარბად დავინყე სუნთქვა.

მზიანი დილა იყო. ზღვა დიდი ღელვის შემდეგ დამშვიდებულიყო და ლაჟვარდი თანდათან სჭარბობდა. მხოლოდ ჰორიზონტზე ღამიდან შერჩენილი რამდენიმე საავდრო ღრუბელი იდგა უძრავად.

## II დიალოგი, რომელიც ფაქტობრივად ჩაიშალა

ამას წინათ ერთ ოჯახში ექვსი შუახნის მამაკაცი ვუსხედით სუფრას: მასპინძელი (ენათმეცნიერი), გ.დ. (პროზაიკოსი), ა.ბ. (ექიმი პარაზიტოლოგი), ე.ვ. (ეთნოგრაფი), ზ.თ. (პოეტი) და მე.

ღვინო საკმაოდ მაგარი გამოდგა. დიასახლისი შინ არ იყო და ამის გამო ზოგიერთ სახიფათო თემაზე თავისუფლად ვსაუბრობდით.

ყველაზე ადრე ღვინო ა.ბ.-ს მოეკიდა. საერთო საუბრიდან გამოერთო. შუა ოთახში დადგა და გადაჭარბებული ქართული აქცენტით, რომლითაც ჩვეულებრივ მე მბაძავდა, დაიწყო ბლოკის ლექსი:

Друг другу мы тайно враждебны,

Завистливы, глухи, чужды...

ამის შემდეგ პოპულარული ოდესური ცეკვის რამდენიმე პა შეასრულა. მერე უცებ გულზე წაივლო ხელი, ძუნძულით მივიდა თავის სკამთან, მძიმედ დაეშვა და თავი უკან გადააგდო. ერთი წუთის შემდეგ ტკბილად ეძინა...

კარებზე დარეკეს. ოთახში ჩვენზე ახალგაზრდა კაცი შემოვიდა. რუხი, საკმაოდ დაძველებული პიჯაკის ქვეშ თეთრი სვიტრი ეცვა. ეტყობა, მასპინძლის ახლობელი იყო. გადაჭარბებული თავაზიანობით მოგვესალმა ყველას.

ერთხანს ჩუმად იჯდა სუფრასთან. ფარული ცნობისმოყვარეობით გვადევნებდა თვალყურს, სადღეგრძელოებს უხმოდ სვამდა. ჩვენ საუბარს განვაგრძობდით. უმრავლესობა ყოფილი თანაკლასელები ვიყავით, დიდი ხანია არ გვენახა ერთმანეთი და ბევრი ინტიმური ხასიათის მასალა დაგვიგროვდა. ახალგაზრდა სტუმარი მოულოდნელად ჩაერთო საუბარში: – თქვენი მოთხრობა წავიკითხე... – მიმართა მან გ.დ.-ს – მაპატიეთ, შეიძლება ამის დრო არ არის, მაგრამ... თუ გნებავთ, ჩემს აზრს გეტყვით.

მასპინძელი შეიშმუნა. გ.დ. დაძაბული ღიმილით უყურებდა სტუმარს: – მადლობელი ვიქნები...

– თქვენი მოთხრობა საზიზღარია... უფრო საზიზღარი, ვიდრე ლიტერატურა, რომელსაც თქვენ უპირისპირდებით. იცით რატომ? ხელოვნებაში



არ არსებობს ნახევარი ზომები. ნახევარი სიმართლე ბევრად უარესია, ვიდრე უხეში ტყუილი...

თქვენ გულწრფელობის პრეტენზია გაქვთ. რალაც შინაგან ტკივილებზე ანიშნებთ მკითხველს. კეთილსინდისიერების პოზიციაზე დგახართ. მაგრამ ნამდვილი, დიდი სიმართლის გეშინიათ. გარდა ამისა, ვნება გაკლიათ. ვნება მთავარია ხელოვნებაში. ჰეგელი ამბობდა, რომ არაფერი ჭეშმარიტად დიადი არ შექმნილა ჭეშმარიტად დიდი ვნების გარეშე. თქვენი გმირები კი კასტრირებულ რეზონიორებს ჰგვანან.

სტუმარი დაგუბული, ყრუ ხმით ლაპარაკობდა. თანდათან სულ უფრო წითლდებოდა, ეტყობა, ბუნებით მორცხვი იყო, მტკივნეულად განიცდიდა ყოველ ნათქვამ სიტყვას და ეს კიდევ უფრო ახელებდა ჩვენ წინააღმდეგ.

– თქვენ ყველანი გარდამავალი თაობა ხართ. არსებითად უნაყოფო. დამოუკიდებლად ვერაფერს პოზიტიურს ვერ შექმნით. ლიტერატურაში გაუბედავი ბუზღუნით კმაყოფილდებით. და, რაც მთავარია, საკუთარ სულში ჩახედვის გეშინიათ... მთელი აქცენტი რალაც ობიექტურ, გადაულახავ პირობებზე გადაგაქვთ, რომ საკუთარი უსუსურობა დაფაროთ.

სტუმარმა შუბლზე ოფლი მოინმინდა, უცებ ადგა და ფანჯარასთან მივიდა. ერთხანს ზურგით იდგა ჩვენკენ. გ.დ. კიბოსავით განითლებულიყო და გაშტერებით იყურებოდა ერთ ნერტილში. მასპინძელმა ღვინო ჩამოასხა.

სტუმარი ნელა შემოტრიალდა, თავდახრილი დაბრუნდა სუფრასთან. ყველანი ჩუმად ვიყავით.

– თუ ნებას მომცემთ, ერთ ამბავს მოგიყვებით, – გვითხრა მან წყნარი, სევდიანი ხმით.

– ბრძანეთ, – თითქმის ჩურჩულით თქვა ზ.თ.-მ (პოეტმა) და სრული ლოიალურობის ნიშნად სკამი მიუჩოჩა.

სტუმარი დაჯდა და უცებ მოულოდნელი მოკრძალებით შემოგვხედა:

– ძალიან გთხოვთ, ყურადღებით მომისმინოთ...

წუხელ, დაახლოებით ამ დროს უცნაური ამბავი შემემთხვა.

მთანმინდაზე ვცხოვრობ. სალამოხანს ქუჩაში მივდიოდი, იქ, სადაც წინათ ნავთის გასაყიდი სარდაფი იყო. უცებ სარდაფის კიბეზე ფეხი დამიცდა, ძლივს შევიკავე თავი, რომ ძირს არ ჩავგორებულიყავი. სარდაფის კარებს მივებეთქე. იდაყვში ისეთი ძალით დამკრა დენმა, ერთი წუთით თვალთ დამიბნელდა.

გონს რომ მოვედი, გამიკვირდა, – შუა სარდაფში ვიდექი. სარდაფის სველი კედლები თეთრად იყო შეღებილი. ელექტრონის ერთადერთი ნათურა თვალისმომჭრელ სინათლეს ჰფენდა ირგვლივ. – სტუმარმა უცებ დაეჭვებული სახით გადმოგვხედა, – თუ არ გაინტერესებთ...

– არა, რატომ... ძალიან საინტერესოა, – სწრაფად მიუგო პოეტმა.

სარდაფის სიღრმეში, ცარიელ მაგიდასთან სამი კაცი იჯდა, – ნელა განაგრძო სტუმარმა, – შუათანა მაშინვე ვიცანი. ჩემი სიყრმის მეგობარი იყო... მარჯვნივ ბრტყელსახიანი ჩოფურა კაცი ეჯდა გრძელი უღვაშებით. სამართებლით გადაპარსულ თავზე პატარა უზბეკური „ტიუბიტეიკა“ ეხურა. მარცხნივ – მელოტი მამაკაცი, რომელიც თევზივით უფერული, გაკვირვებული თვალებით შემომშტერებოდა.

სამივეს თითქმის ერთნაირად ეცვა... რალაც უსიამოვნო თანაგრძნობით მათვალაიერებდნენ, ისე როგორც კონსილიუმზე შეკრებილი ექიმები დასცქერიან უიმედოდ განწირულ ავადმყოფს.

– ახლოს მოდი, – მითხრა ჩემმა მეგობარმა წყნარი, თითქმის ალერსიანი ხმით.

ბავშვობაში განუყრელი ამხანაგები ვიყავით. გულლია და უშუალო ბიჭი იყო. სულ რალაც ოინებს ვუნწყობდით, უწყინარი გული ჰქონდა და ამის გამო კიდევ უფრო გვიყვარდა ყველას.

თვითონაც გულიანად ხითხითებდა, როდესაც მის სასაცილო ფათერაკებს ვუყვებოდით ერთმანეთს.

– დაიჩოქე, – მითხრა ჩემმა მეგობარმა.

ტანდაბალი იყო, გამხდარი. თმები ყოველთვის ზედმინევნიტ დავარცხნილი ჰქონდა, ზუსტად შუაზე გაყოფილი, ხშირად ავადმყოფობდა. ცოტა მშიშარა იყო, მაგრამ თუ ახლოს ვეგულეობდით, უცხო ბიჭებთან ყოყლოჩინობას არ იშლიდა.

ერთხელ განგებ დაფუგვიანეთ მიხმარება და საშინლად გაგვილახეს. ძალიან ბევრი ვიცინეთ იმ დღეს...

ჩუმად ვიდექი მაგიდის წინ და რატომღაც არაფერი არ მიკვირდა.

სარდაფში საშინელი სიციხე იყო. უცებ კეფაზე ტყვიასავით მძიმე წვეთი დამეცა. ნელა ჩამისრიალდა კეფაში. უნებურად ზევით ავიხედე. სარდაფის მთელ ჭერს უშველებელი, მომწვანო ფერის წვეთები ეკიდა.

– დაიჩოქე, – მკაცრად გამიმეორა ჩემმა მეგობარმა. მე ჩუმად ვიდექი.

ბრტყელსახიანმა მამაკაცმა მაგიდას შემოუარა. ნელა მომიახლოვდა და უეცრად წარმოუდგენელი სიძლიერით ჩამკრა ნიხლი მუცელში.

სიმწრისაგან თავბრუ დამეხვა. დავბარბაცდი და მუხლებზე წამოვიჩოქე. ჩემი მეგობარი თვალებში მიყურებდა...

ჩვენ ნამდვილი ამხანაგები ვიყავით. ხანდახან, როცა მარტო ვრჩებოდით, სერიოზულ თემებზეც გვქონდა საუბარი. მაგრამ ჩვეულებრივ ჩვენი მეგობრობა მხიარულ ლაზღანდარობაში მიდიოდა... – ყველაფერს თავიდან მოყევი. – ბრძანების კილოთი თქვა ჩემმა მეგობარმა. მელოტმა რვეული გადაშალა და კალმისტარი მელანში ჩაანო. ხმის ამოღება ვცადე, მაგრამ უეცრად ხველება ამივარდა. პირიდან თქრიალით მომდიოდა სისხლი.

– ხმა ამოიღე, – გამიმეორა მელოტმა.

მგონი, რაღაცის თქმა მოვახერხე, რამდენიმე გაუგებარი სიტყვა წავილულულე და ისევ ხველებამ წამართვა ენა. ბრტყელსახიანი მამაკაცი ფეხსაცმელებს მხდიდა. უცებ საშინელი ტკივილი ვიგრძენი ფეხის ფრჩხილებში. პირქვე დავემხე. ჩემ წინ სისხლის გუბე იდგა. ნავთში არეული სისხლი ელექტრონის შუქზე ლაპლაპებდა. ტკივილი ახლა მთელ სხეულს მოედო, – ასე მეგონა, ჟანგიან ჩანგლებს მიტრიალებდნენ შიგნეულში. მერე ტკივილი თანდათან მიყრუვდა, თითქოს სხეულის ჩვეულ თვისებად იქცა. მივხვდი: გონებას ვკარგავდი.

ჩემი მეგობარი მაგიდიდან წამოდგა. მშვიდი სახე ჰქონდა. მე თავი ჩავეჩინდრე. უკვე ველარ ვგრძნობდი სხეულს.

– გული უნუხდება, – თქვა მელოტმა.

– გაუძლებს...

მეშვიდე კლასი რომ დავამთავრეთ, არდადეგებზე სოფელში წამომყვა ორი კვირით (იმ ზაფხულს დედა ჰყავდა ავად). საღამოობით ძველი ეკლესიის ნანგრევებზე ავდიოდით და რიგრიგობით ვკითხულობდით ჰამსუნის „ლეიტენანტ გლანს“.

სარდაფში საშინელი სიციხე იყო. არ მახსოვს, მგონი ვტიროდი, მაგრამ ამის შემჩნევა არავის შეეძლო, რადგან მთელი სახე სისხლში მქონდა ამოთხვრილი. სისხლი თანდათან მახმებოდა ლოყებზე...

ჩემი მეგობარი ჩემ წინ ჩაცუცქდა და ნიკაპი ამინია. სულ ახლოს მომიტანა სახე. ახლა თვალებში მიცინოდა, მშვიდად, ცოტა სიბრაღულითაც.

– გახსოვს, სკოლის საკუჭნაოში რომ ჩამკეტეთ?..

მე ველარაფერს ვხედავდი. სარდაფში რამდენიმე წუთით ისევ დუმილი ჩამოვარდა.

– განაგრძე, – უთხრა ბრტყელსახიანს ჩემმა მეგობარმა.

რაღაც ბლაგვი, მძიმე საგნით მირტყამდნენ თირკმლებში.

ტკივილს აღარ ვგრძნობდი და, რაც მთავარია, არაფერი არ მიკვირდა. მხოლოდ დახრჩობის შიშმა ამიტანა. იატაკზე ვეგდე თავდაღმა და ნავთიან სისხლში ვიხრჩობოდი. საშინელი მოტკბო სუნი გულს მირევდა.

აუჩქარებლად მირტყამდნენ.

ვცდილობდი, რაც შეიძლება იშვიათად მესუნთქა, რადგან გუბეში სახის შებრუნება აღარ შემეძლო და ნავთში არეული სისხლი ყოველი ჩასუნთქვისას ნესტოებში მეღვრებოდა.

სარდაფში სიჩუმე იდგა. მხოლოდ საათივით ისმოდა დარტყმის ყრუ, მონოტონური ხმა.

სუნთქვა უკვე შეუძლებელი იყო. ვიგრძენი, როგორ დამებერა ფილტვები და გულში გავარვარებული რკინის ბურთივით მომანვა. სიმნრისგან ტუჩებს ვიკვნეტდი.

– იქნებ დამეძინოს, – გამიელვა გონებაში.

– აღარ სუნთქავს... – თქვა ბრტყელსახიანმა.

სარდაფში ვიღაც ძველ, ძალიან ნაცნობ მელოდიას უსტვენდა ჩვენი ბავშვობისდროინდელი კინოსურათიდან.

დარტყმის ხმა თანდათან შეწყდა. სტვენაც. ახლა აღარავინ იღებდა ხმას.

ცივი, ტყვიასავით მძიმე წვეთები ნელა წყდებოდნენ ჭერს. ასე გავიდა ალბათ ნახევარი საათი... მერე ვიღაცამ ფეხებში მომკიდა ხელი და კარებისკენ წამატრია. ერთი წუთით თვალი გავახილე. ჩემი მეგობარი პირსაბანთან იდგა. გულმოდგინედ ისაპნიდა დაკაპინებულ ხელებს და თან მელოტ მამაკაცს უკარნახებდა რალაცას.

მელოტი თევზივით უაზრო, გაკვირვებული თვალებით შემომშტერებოდა.

სუნთქვა უკვე შემეძლო, მაგრამ აღარ ვჩქარობდი. სარდაფის კარი ნელა გაიღო...

არ ვიცი, რამდენმა დრომ გაიარა. გონს რომ მოვედი, იქვე, სარდაფთან ახლოს, პატარა ბაღში ვიჯექი. მთელი სხეული მითრთოდა. ჩემ წინ სარწყავი ონკანი იყო, ავდექი და ხელ-პირი დავიბანე. დიდხანს ვიბანდი. გამვლელები ცნობისმოყვარეობით მათვალაიერებდნენ. მთვრალი ვეგონე.

გადავწყვიტე სახლში დაბრუნება. მაგრამ მარტო ყოფნა არ შემეძლო...

სტუმარმა თავისი ამბავი დაასრულა და გაჩუმდა. ოთახში უხერხული სიჩუმე ჩამოვარდა. ყველანი მასპინძლისკენ ვაპარებდით თვალს. მხოლოდ მას შეეძლო ჩვენი გადარჩენა. პოეტი ადგა და ხველებ-ხველებით გავიდა სამზარეულოში. სტუმარი, მგონი, ჩანგალს ათამაშებდა ხელში. მე მისკენ გახედვა არ შემეძლო.

ბოლოს მასპინძელმა აიღო სიტყვა. დაახლოებით ასეთი საუბარი გაიმართა.

მასპინძელი: – შენ რომ XIX საუკუნეში გეცხოვრა, გარკვეულ ჟანრში იმუშავებდი. იმ დროს მოთხრობებს ჩვეულებრივ კი არ თარგმნიდნენ, აქართულებდნენ.

სტუმარი: ეს ნათარგმნი მოთხრობა არ არის.

ე.ვ.: სულ ერთია! თქვენ ეს ვიღაცის გავლენით მოიგონეთ. ახლა ასეთი სიუჟეტები ჰაერში დაქრიან ბაბუანვერას ბუსუსებივით. ეს ლიტერატურული ატმოსფეროა, უფრო სწორად, შორეული სივრცეებიდან შემოჭრილი ციკლონი...

გარდა ამისა, თქვენი ნოველა ოსტატობის თვალსაზრისით ძალზე სუსტია.

სტუმარი: მეგობრებო, გთხოვთ დამიჯეროთ, რასაკვირველია, ეს ჰალუცინაცია იყო, მაგრამ აბსოლუტურად ცხადი. და, რაც მთავარია, ამას ერთი რამ უძლოდა წინ.

პირს რომ ვიბანდი, მაშინ გამახსენდა. რამდენიმე წლის წინათ ზუსტად ასეთ სიზმარს ყოველთვე ვხედავდი. თითქმის ყოველთვე... წარმოიდგინეთ, მხიარული სერნობის ან რუსთაველზე მეგობრებთან ერთად მორიგი სეირნობის შემდეგ ბრუნდები სახლში და მერე... მთელი ღამე...

დილით რომ ვდგებოდი, ჩემი თავი მძულდა, რადგან ეს ჩემი სიზმარი იყო, მხოლოდ ჩემი, ჩემს მეგობართან მას არავითარი კავშირი არ ჰქონდა.

პირველად რომ ვნახე, მინდოდა იმ დღესვე ყველასთვის მეამბო. რაღაცნაირად შემელამაზებინა, მსუბუქ ანეკდოტად გადამეკეთებინა და ყველასთვის მეამბო. ვერ მოვახერხე...

ხშირად ძილშივე ვხვდებოდი, რომ სიზმარი იყო და ბოლმა მახრჩობდა, საშინელი ბოლმა ჩემს თავზე. ვგრძნობდი, რომ ეს უსინდისობა იყო, საზიზღარი, მდაბალი ძრწოლა ახლობელი ადამიანის წინაშე, ცხოველური უნდობლობის გადანაშთი.

ე.ვ.: მომიტევეთ, მაგრამ ცხოველებთან ამას არავითარი კავშირი არა აქვს. ეს წმინდა წყლის ლიტერატურული კომპარია. კაფკა, ჯოისი, ფელინი. შეიძლება მე ჩამორჩენილი ადამიანი ვარ, მაგრამ ჭირის დღესავით მძულს მთელი ეს ინტელექტუალური ჰალიმანია. უფრო მეტიც, თუ ჩემი შვილის სიჭაბუკეს მოვესწარი, არასოდეს არ წავაკითხებ დოსტოვესკის.

სტუმარი მოთმინებით უსმენდა ე.ვ.-ს, მისი თვალეები ახლა თითქმის ბავშვური ნდობით იყო სავსე. უცებ ჩემკენ გადმოიტანა მზერა.

რატომღაც შევეკრთი და უხერხულობის დასაფარავად საუბარში ჩავერთე:

– მე მგონი, ეს თქვენი სიზმარი არ უნდა იყოს. ვიღაც სხვამ გადმოგდოთ, შეიძლება ახლობელმა. შესაძლოა თქვენს ბავშვობაში ვინმე გამუდმებით ფიქრობდა ასეთ რამეს თქვენ გვერდით...

ამ დროს მასპინძლის ცოლ-შვილი დაბრუნდა შინ. ორმა თითისტოლა ბიჭუნამ ერთ წუთში მთელი ოთახი ბარიკადებად აქცია.

მასპინძლის ცოლი წარმოშობით პოლონელი იყო.

– კომპარ! – თქვა მან და ყველას ხელი გამოგვიწოდა საამბოროდ. მერე მაგნიტოფონი ჩართო.

პარაზიტოლოგს გაეღვიძა. ძუნძულით გავიდა შუა ოთახში და უცებ თითქმის პროფესიული ოსტატობით შეასრულა ქალაქში ახლად გავრცელებული ცეკვა.

მასპინძლის ბიჭები გულმოდგინედ იმეორებდნენ ყოველ მის მოძრაობას. ცეკვის აზარტი თანდათან ყველას გადაგვედო.

დიასახლისმა სკამებიდან წამოგვყარა და ყველანი წრეში დაგვაყენა. მერე ახალგაზრდა სტუმარს დაავლო ხელი, თითქმის ძალით გახადა პიჯაკი და შუა ოთახში გამოაგდო. ვიღაცამ მაგნიტოფონს აუწია ხმა.

სტუმარმა ოფლი მოინმინდა შუბლზე. დარცხვენილი ღიმილით გვიყურებდა...

სუფთად იყო ჩაცმული. თეთრი, თოვლივით ქათქათა სვიტრის ქვეშ საკმაოდ განვითარებული, ნავარჯიშევი მკლავები უჩანდა.

ბოლოს მაინც დაუთმო დიასახლისს და ნელა აჰყვა ცეკვის რიტმს. ლამაზად ცეკვავდა, გემოვნებით.

### III სიტყვა, თქმული ე.წ.

#### „აღმოსავლეთისა და დასავლეთის დიალოგის“ დროს

(თბილისი, 1966 წ. ოქტომბრის 1, უცხოეთთან კულტურული ურთიერთობის საზოგადოების საკონფერენციო დარბაზი).

– გერმანელი პოეტი ჰანს მაგნუს ენცენსბერგერი წინა სხდომაზე ლაპარაკობდა პატარა კაცუნას შესახებ, რომელიც მას მუშაობის დროს გამუდმებით ყურთან უზის და თავისას ჩასჩურჩულებს.

ეს კაცუნა ჩვენი საერთო მტერია და მისდამი შეურიგებელი სიძულვილი შეიძლება ჩვენი დაახლოების, ურთიერთგაგების კიდეც ერთ ხელისშემწყობ პირობად იქცეს.

ეს გახლავთ ობივატელი, ხანუა, ბიურგერი, მეშჩანი, ფილისტერი, რომელიც ხშირად შინაგანი ცენზორის როლს ასრულებს, ხოლო ზოგჯერ ჩვენი შრომის ოფიციალურ შემფასებლადაც გვევლინება.

მე მინდა, რამდენიმე დაკვირვება გაგიზიაროთ ამ სუბიექტის შესახებ და თუ დღეს რუსულად გადავწყვიტე გამოსვლა, იმის გამოც, რომ ქართულ ლექსიკონში არ არსებობს შესაფერისი სიტყვა.

ვ.პერცოვი: – თქვენ ამას სერიოზულად ამტკიცებთ?

– დიალ, არ არსებობს, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ობივატელობა იმპორტირებული საქონელია საქართველოსთვის. ყოველ შემთხვევაში, მას აქ საკმაოდ ნაყოფიერი ნიადაგი დახვდა.

ნება მომეცით, რამდენიმე დაკვირვება გაგიზიაროთ ამ მოვლენის ირგვლივ.

ჩვეულებრივ, ობივატელს საზოგადოების ყველაზე რუტინულ უჯრედად თვლიან. სინამდვილეში ის განსაცვიფრებელი სისწრაფით იცვლის სახეს და ყოველ ქვეყანაში, თითოეული საზოგადოებრივი სტრუქტურის შიგნით სპეციფიკური ნაირსახეობით წარმოგვიდგება.

შეგიმჩნევიათ თუ არა, რომ თანამედროვე ფილისტერის ეპატირება ბევრად უფრო ძნელია, ვიდრე ამას, მაგალითად, ახალგაზრდა მაიაკოვსკი და მისი მეგობრები ახერხებდნენ. ის თითქოს რაღაცას მიხვდა და გაიტვრინა.

თუ ოდესღაც გაცხარებული პარიზელი ბანოვანები ქოლგის წვერებით ცდილობდნენ ედუარდ მანეს შიშველი ქალებისათვის თვალების ამოჩიჩქნას, თანამედროვე ობივატელი ბევრად უფრო თავდაჭერილად იქცევა.

ის სრულიად სერიოზული სახით, ყოველგვარი გრიმასის გარეშე ათვალეირებს აბსტრაქციონისტთა ყველაზე გაბედულ ტილოებს, მან გამოიგონა ყველაზე ლოიალური ეპითეტები.

– ო, ეს უდავოდ საინტერესოა, ამაში ნამდვილად არის რაღაც... ძალზედ თავისებური...

ამ სიტყვების შემდეგ ობივატელს დამთქნარების მეტად ძლიერი სურვილი უჩნდება, მაგრამ ყოველი შემთხვევისათვის თავს იკავებს.

დიალ, თანამედროვე მეშჩანი დღითი დღე იცვლის იერს. ჩვენი ამოცანაა, გამოვავლინოთ მისი ყოველი ახალი ნაირსახეობა, ყოველი ახალი სივერაგე. საჭიროა გვახსოვდეს, რომ ობივატელს აქვს ბევრად მეტი საშუალება საკუთარი მრწამსის „პროპაგანდის“, ვიდრე ჩვენ. რადგან იგი თვით ხალხის ნიაღში იმყოფება. მისი საშუალებები ბევრად უფრო ეფექტურია, რადგანაც ის სრულყოფილად ფლობს ხალხის ენას და ხშირად მისი სახელით გამოდის.

ყოველივე ამას მე ვამბობ არა მხოლოდ ჩვენი უცხოელი კოლეგების გასაფრთხილებლად.

ქართულ კულტურას მეშჩანობამ რამდენიმე შემმუსვრელი დარტყმა მიაყენა ჩვენს საუკუნეში. მთელი რიგი პირველხარისხოვანი ტალანტებისა სამუდამოდ დამახინჯდა იმის გამო, რომ იოლი წარმატების ცდუნებით მოხიბლულ ხელოვანს ძალა არ ეყო, წინააღმდეგობა გაენია მკითხველთა გარკვეულ წრეებში გაბატონებული გემოვნებისათვის.

ასეთი ამბები ჩვენში საუკუნის დასაწყისშიც ხდებოდა, ხოლო რაც შეეხება უფრო გვიანდელ დროს, იყო მთელი პერიოდები, რომლებიც ქართულ ხელოვნებაში მხდალი, უფრთებო ნატურალიზმის სრული კეთილდღეობით აღინიშნა.

მიამიტობა იქნებოდა, ყოველივე ეს მხოლოდ სახელმწიფოებრივი დადგენილებების ზემოქმედებით აგვეხსნა.

საკმარისია გავიხსენოთ, რომ „პუბლიკა“ თავის დროს სულმოუთქმელად ენაფებოდა ისეთ წიგნებს, რომელთაც ახლა ზიზლით აქცევს ზურგს.

დღეს მწერლობის გარშემო სხვა ატმოსფეროა, როგორც იტყვიან, სხვაგვარი „ქროლვა“. ობივატელმა სწრაფად უღალატა თავის ყოფილ კერპებს და

თითქმის სრული ამნისტია გამოუცხადა იმათ, ვინც თავისი გაუგებარი „სიჯიუტით“ წლების მანძილზე შეურაცხყოფდა ხელოვნების მეშჩანურ იდეალებს.

შეიქმნა ისეთი ვითარება, როდესაც ლიტერატურული მოდა იძულებულს ხდის ტრადიციონალიზმის ყველაზე ერთგულ მომხრეებსაც კი ცოტათი მაინც უცნაური, არაორდინარული სახით ეჩვენონ თავიანთ მკითხველებს. მით უმეტეს, რომ ასეთი ზომიერი თამაში დღეს თითქმის უხიფათოა.

ყოველივე ზემოთქმული არ გამოორიცხავს ქართულ მწერლობაში ნამდვილი ძიებების არსებობას.

არ ვიცი, რამდენად ხელსაყრელია ეს კამათის დროს, მაგრამ მე არ ვცდილვარ, დამეფარა ერთი ნაწილი მაინც გარემოებათა იმ უარყოფითი კომპლექსისა, რომელიც გარკვეულ ზემოქმედებას ახდენს თანამედროვე ქართველ მწერალზე.

თუმცა ჩემი გამოსვლის მთავარი მიზანი სრულიად სხვაა და გულწრფელი არ ვიქნები, ეს რომ დავმალო.

შესაძლოა, უბრალო შემთხვევითობას არ უნდა მიენეროს ის ფაქტი, რომ დღეს ე.წ. დიალოგი აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის მიმდინარეობს სწორედ იმ მიწაზე, სადაც ოდესღაც, მრავალი საუკუნის წინათ, მაინც მოხდა სასწაული ორი კულტურის, ორი საპირისპირო მსოფლგაგების გადაჯვარედინებისა.

მშვენიერების გამოვლინების ფორმები უსასრულოდ მრავალსახოვანია და ყოველ ერს სილამაზის საკუთარი იდეალი აქვს.

გადმოცემის თანახმად, წმინდა ნინო, რომელმაც IV საუკუნეში ახალი სარწმუნოება მოიტანა ჩვენში, ვაზის ჯვრით მოევლინა საქართველოს.

როგორც ბერძნებს, ძველ ქართველებსაც ვაზი სიცოცხლისა და ნაყოფიერების სიმბოლოდ მიაჩნდათ.

ასე შეერწყა ერთმანეთს წარმართული რწმენა მიწიერი სიკეთისა და ახალი რომანტიკული სწრაფვა.

რუსთაველის უკვდავი პოემა ამ უჩვეულო ჰარმონიის კლასიკური გამოსახატულებაა...

XIII საუკუნიდან მოყოლებული მთელი ისტორიული ეპოქის მანძილზე საქართველო ნახევრად ბარბაროსულ ტომთა სათარემო მოედნად იყო ქცეული.

პოეზია თავის ბროლის კომპლექსს იავარქმნილი ცხოვრების ნამსხვრევებზე აგებდა.

მაგრამ ქართულ მწერლობას არასოდეს არ შეუქცევია ზურგი სინამდვილისთვის.

თვით ბარათაშვილის ლირიკა, რომლის პათოსს არსებული რეალობის უგუნურ წესთან სამკვდრო-სასიცოცხლო დავა წარმოადგენს, გამსჭვალულია უნივერსალური ჰარმონიის ძიებით, სამყაროს დაუფლებისა და გარდაქმნის უმძაფრესი წყურვილით.

საქართველო ოდითგან დაკავშირებული იყო დასავლურ კულტურასთან. ქრისტიანულმა რწმენამ თავის დროს ჩვენს ხალხს სულიერი განვითარების ახალ საფეხურზე ასვლის საშუალება მისცა.

XIX საუკუნის ქართულ მწერლობაში სიტყვა „ევროპეიზმი“ იხმარებოდა არა მხოლოდ პროგრესული იდეებისადმი ერთგულების, არამედ საერთოდ ფართო სულიერი ჰორიზონტის, ინტელექტუალური სიღრმისა და სიმნიფის სინონიმად...

ბუნებრივია, რომ ჩვენთვის, მათი მემკვიდრეებისათვის, სულერთი არ არის, რა ხდება ამჟამად თანამედროვე დასავლურ ხელოვნებაში.

ევროპული დეკადანსის და მოდერნიზმის ტალღებმა საქართველომდე უმნიშვნელო ინტერვალებით მოაღწიეს.

პირადად მე არ ვიზიარებ მოსაზრებას, თითქოს XX საუკუნის დასაწყისის გამოჩენილმა ქართველმა მწერლებმა მხოლოდ ზერელე ხარკი გადაუხადეს თავისი დროის „მოდურ“ ლიტერატურულ გატაცებებს.

განსაკუთრებით უმართებულოა ასეთი აზრი ქართული სიმბოლიზმის მიმართ.

გალაკტიონ ტაბიძის ადრეულ ლირიკაში პოეტურ სიმბოლოთა ენა აყვანილია სამყაროს მხატვრული წვდომისა და ნათელხილვის ისეთ სიმაღლემდე, რომელიც სამართლიანად აყენებს ამ პოეტის შემოქმედებას ჩვენი ეროვნული კულტურის უმნიშვნელოვანეს მონაპოვართა რიგში.

ბოდლერის „ბოროტების ყვავილებმა“ ნამდვილად შეძლეს გახარება როგორც რუსული, ისე ქართული პოეზიის ნიადაგზე. მაგრამ ჩვენს მწერლობაში მათ არ დაუტოვებიათ ის ლოგიკური განშტოებანი, რაც თანამედროვე დასავლურ ლიტერატურაში შეიმჩნევა.

სიმბოლიზმი, ისევე როგორც საერთოდ მთელი ევროპული დეკადენტური ხელოვნება, იყო გამომხატულება იმ საბედისწერო დაღლილობისა, რისი უფლებაც ქართველ კაცს, სულ ერთია, პოეტი იქნებოდა ის, მეომარი თუ მინის მუშა, არასოდეს არ ჰქონია და, ალბათ, ძალიან დიდხანს არ ექნება.

პასუხისგება ცხოვრების წინაშე, ამქვეყნიური მოწოდების თანდაყოლილი გრძნობა, აი, ის მთავარი, რამაც ქართველ პოეტებს საშუალება მისცა, თავი დაეღწიათ სიმბოლიზმის მომხიბვლელი ჰიპნოზისაგან.

ამ პერიოდში ჩვენს პოეზიას წინ უძღოდა პირველხარისხოვან შემოქმედთა ბრწყინვალე თანავარსკვლავედი.

*(ამ ადგილას შვიდივე იტალიელმა დელეგატმა, რომლებიც ავტორის პირისპირ ისხდნენ, თითქმის ერთდროულად მოიხსნეს რადიოყურმილები. ავტორს, რომელიც პირველად იღებდა მონაწილეობას ასეთი მასშტაბის სიმპოზიუმში, ელდა ეცა... პაუზამ თითქმის 30 წამამდე გასტანა. თავმჯდომარე – ირაკლი აბაშიძე გამკიცხავი სახით იყურებოდა მისკენ. ავტორმა ქვიშაზე ამოგდებული კალმახით გაასავსავა პირი და მერე სუსტი ხმით განაგრძო).*

– 30-იანი წლების საბჭოთა კრიტიკაში არაერთგზის გამოთქმულა განცვიფრება იმის გამო, თუ როგორ პოეზებდნენ ამ დროისათვის თარგმნილი ქართველი პოეტების შემოქმედებაში ყველაზე ამაღლებული, რომანტიკული წარმოდგენები თავის მხატვრულ განსაგნებას უაღრესად მინიერ, მყარ, რეალისტურ სახეებში.

შემთხვევითი არ არის, რომ მათი შემოქმედება ათეული წლების მანძილზე იზიდავდა ჩვენი დროის გამოჩენილ რუს პოეტებს – ბ.პასტერნაკს, ნ.ტიხონოვს, ნ.ზაბოლოცკის...

არ უნდა გაგვიკვირდეს აგრეთვე, რომ დღეს რუსული პოეზიის საუკეთესო ახალგაზრდა წარმომადგენლები ასეთივე გატაცებით თარგმნიან თავისი თაობის ქართველ პოეტებს.

ჩვენი ლიტერატურული ახალგაზრდობის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მისი ერთი ნაწილი დღეს თავისი ნიჭისა და შეძლებისდაგვარად ცდილობს ფსევდოხალხურობისა და ყალბი, პრიმიტიული ტრადიციონალიზმის უკვე გაბზარული ჯებირების საბოლოო გარღვევას.

ლიტერატურულ ცხოვრებაში მნიშვნელობა აქვს არა მხოლოდ ღირსშესანიშნავ პოზიტიურ შედეგებს, რასაც მარტო რჩეული ერთეულები აღწევენ, არამედ განვითარების საერთო ნიშანდობლივ ტენდენციებსაც.

თანამედროვე რეალობის მთელი ობიექტური სირთულით, პოეზიისთვის მისაწვდომი ყველა განზომილებით ასახვის სურვილი, ადამიანის შეგნების ახალ სიღრმეებთან მიახლოება, მოვლენათა გლუვი ზედაპირიდან მათი დრამატული არსისკენ, საგანთა ფარული ბუნებისკენ გადანაცვლება – ჩვენი ლიტერატურული ერის ეს მთავარი პათოსი – კვლავ შედის ძალაში და ქართული ხელოვნების თითქმის ყველა სფეროზე ვრცელდება.

ბუნებრივია, რომ ეს პროცესი უმტკივნეულოდ არ მიმდინარეობს.

ცხარე ლიტერატურული დებატები, რომელთაც თანამედროვე დასავლეთში აქვთ ადგილი, უცხო არ არის ჩვენთვისაც.

თუმცა ასპექტები საკმაოდ განსხვავებულია: ის, რასაც ჩვენთან ზოგჯერ „მოდერნიზმის“ სახელით ნათლავენ, საფრანგეთში ან რომში, ალბათ, ზომიერ რეტროგრადობად მოეჩვენებოდათ.

ამაში შეიძლება დავინახოთ თანამედროვეობის კიდევ ერთი განსაცვიფრებელი პარადოქსი. მაგრამ საქმე ხომ იმ პირობით ნიშნებში არ არის, რომლებიც ჩვენ – კრიტიკოსებს შეგვიძლია მოვლენათა ცოცხალ სხეულზე ამოვშანთოთ.

ლიტერატურული პროცესის ჭეშმარიტი აზრი ყოველთვის როდი შეესაბამება თეორეტიკოსების მიერ წამომართულ ეფემერულ ზედნაშენებს.

სენსაციური მანიფესტები, წინასწარმეტყველებანი, ფუძემდებლური განცხადებები მხოლოდ და მხოლოდ დროებითი, ბრჭყვიალა გარსია, რაც შემდგომ თავისთავად ცილდება ლიტერატურის მნიფე ნაყოფს.

მე მინდა, რამდენიმე სიტყვა მოგახსენოთ იმ დისკუსიებზე, ლიტერატურულ აფეთქებათა იმ თვალისმომჭრელ, ჯაჭვისებურ რეაქციაზე, რაც ზოგჯერ უცნაურ შუქს ფენს თანამედროვე დასავლური ხელოვნების რეალურ ფაქტებს.

შესაძლოა, ჩემი აზრი ზედმეტად სუბიექტური აღმოჩნდეს, მაგრამ მთელ ამ მეტად რთულ და მრავალნაკადოვან მდინარებათა გასწვრივ, მე მეჩვენება ერთი მძიმე ჯაჭვი, რომელიც თანმიმდევრულად გასდევს ყველა სფეროსა და ყველა რგოლს... და მე რატომღაც მაგონდება ჩვენი საუკუნის მიერ მივიწყებული ზოგიერთი წინასწარმეტყველის სიტყვები. როგორც ყოველთვის, დავასახალგაზრდობა იწყებს. თქმულა: „შვილი გასცემს მამის საიდუმლოებას“. – ასეთია ცხოვრების კანონი, რადგან, თუ იბსენის სიტყვებს მოვიშველიებთ, „სიჭაბუკე არის შურისგება“.

„საიდუმლო“, რომელშიც გასული საუკუნის დამლევის ევროპელმა პოეტებმა თავიანთი ხელობა გაახვიეს, სიმბოლიზმის წმინდათა წმინდა საიდუმლო, თვალნათლივ შიშვლდება XX საუკუნის სამოციან წლებში.

პოეზია საერთოდ მიილტვის იდუმალი მინიშნებებისკენ. თვით ბუალოსთანაც კი სიტყვას „poete“ (პოეტი) ერთიმემა „influisse secreta“ (საიდუმლო ზემოქმედება).

მაგრამ იყო პერიოდები, როდესაც პოეზია საკრალური ნიშნების ნაცვლად ცოცხალ სახეებს ქმნიდა. და მაშინ ლაპარაკობდნენ აყვავებაზე, რენესანსზე, შინაარსისა და ფორმის კლასიკურ ჰარმონიაზე.

თვით შუა საუკუნეების პოეტებსაც კი შესწევდათ უნარი, რათა სამყაროს არსი მის ცოცხალ იერში განეჭვრიტათ. ავთანდილისა და ზიგფრიდის სახეებში მხატვრულად განხორციელდა არა მხოლოდ ეპოქის ამაღლებული სულისკვეთება, არამედ ადამიანის მიერ თავისი ამქვეყნიური, მინიერი მისიის ამაყი შეგნებაც, მატერიალურ სამყაროსთან განუყოფელი ერთიანობის ცხოველი რწმენა.

მართალია, ქვეყნის დასალიერი მაშინ ბევრად უფრო მკაფიოდ მოჩანდა.

რუსთაველის გმირებს კიდევ შეეძლოთ ბავშვური ნდობით გაენვდინათ ხელი ვარსკვლავებისკენ. ცის კაბადონი თითქოს დაბლა იწვედა და ადამიანი მთრთოლარე თითებით ეხებოდა მძივებივით ასხმულ ციურ სხეულთა ზედაპირს.

ეს ძველი, თავის თავში მყარად დასრულებული, საიმედოდ დახშული სამყარო დიდი ხანია დაიმსხვრა ჩვენ თვალნინ.

შესაძლოა, არასოდეს არ უგრძენია ადამიანს ასე მკვეთრად მის გარშემო უფსკრულივით გახსნილი უსასრულობის სუსხიანი სუნთქვა.

ეს უკიდევანო სივრცე უკვე აღარ ეტევა ძველი პოეტური სახეების მყუდრო ჩარჩოებში. და აი, ახალი საუკუნის პოეზია, თაობიდან თაობამდე სასონარკვეთილი თავდავინწყებით ეძებს ახალ, მაგიურ ნიშნებს, რათა პირობითად მაინც აღნიშნოს ის, რაც ძველი პოეტური მსოფლგაგების საზღვრებს იქით დარჩა. თითქოს თანამედროვე ფიზიკოსთა მიბაძვით, პოეტები საოცარი სიბეჯითით



შლიან სიტყვებს შემადგენელ ბგერებად, ცნებებს – წარმოდგენების უმცირეს ნაკუნებად, გრძნობებს – უსახო, ქვეცნობიერ იმპულსებად.

ნიშნები დღითი დღე მრავლდება, იხვენება, ახალ, თითქმის წარმოუდგენელ ელფერს იძენს. სიტყვებმა უკვე დიდი ხანია დაკარგეს თავიანთი ჩვეულებრივი, პირველადი მნიშვნელობა. მაგრამ ეს ისევ მხოლოდ და მხოლოდ მკრთალი, მიახლოებითი, ბუნდოვანი მინიშნებებია, რომელთაც არ ძალუძთ მათი წარმომშობი იდეის ხორცშესხმა.

ამგვარი ურთიერთდამოკიდებულება შინაარსსა და ფორმას შორის კლასიკური ფილოსოფიის ენაზე შემდეგნაირად არის ფორმულირებული:

როდესაც თვით იდეა განუსაზღვრელია თავის თავში, ის თავისი შინაარსის გამოსახატავად კმაყოფილდება იდუმალი, არა არსებითი ნიშნებით. მაგრამ ეს ფორმულა პოეზიას რამდენიმე ათასწლეულით ხევს უკან და იმ დროსთან გვაბრუნებს, როდესაც, ჰეგელის სიტყვით, იდეა, მნუხარებით გახელებულ უბინაო მემთვრალესავით ამაოდ დაეძებდა თავის სამყოფელს ბუნების მრავალსახოვან საგნებში და ვინაიდან ვერც ერთ მათგანში ვერ პოვებდა სრულყოფილ განსაგნებას, ძალას ატანდა, ამსხვრევდა, დაუნდობლად ამახინჯებდა მათ ბუნებრივ ფორმებს.

რასაკვირველია, მარტო გონებაშეზღუდულ პედანტებს შეუძლიათ თანამედროვე ევროპული მწერლობის განვითარებაში დაინახონ მხოლოდ და მხოლოდ ანტიჰუმანისტური ან ანტიმხატვრული ტენდენციები.

თომას მანის, პიკასოს, ელუარის, კაფკას, ბერგმანის, ფოლკნერის, ელიოტის ქმნილებები ჭეშმარიტი მწვერვალებია ახალ ზნეობრივ და მხატვრულ ღირებულებათა ძიების გზაზე.

მე მხედველობაში მაქვს მხოლოდ ერთოდოქსულ მოძღვრებათა სახის გაფორმებული უკიდურესობანი, მხოლოდ ქაფი, ზედაპირი, მღვრიე ნაკადი, რომელშიც ხშირად თითქმის შეუძლებელია ნამდვილი ტალანტისა და ჩვეულებრივი ლიტერატურული მისტიფიკაციის გარჩევა.

ამ თვალსაზრისით, მოდერნიზმი, ექსტრემიზმი, ნეოავანგარდიზმი (სულ ერთია, რა ფორმითაც უნდა გამოდიოდეს იგი ამჟამად), როგორც გარკვეულ შეხედულებათა კომპლექსი, მე წარმომიდგება არა ახალი ესთეტიკური სამყაროს დამკვიდრებად, არამედ უკან გადადგმულ ნაბიჯად კაცობრიობის მხატვრული განვითარების გზაზე, რადგან ხელოვნება არის არა მხოლოდ ცხოვრების მკრთალი ანარეკლი, ზუსტი ან მრუდე სარკე სინამდვილისა, არამედ მისი დაუფლების ნადილიც, მატერიალური სამყაროს წინააღმდეგობის დაძლევის, მის ბრმა ქაოსში გონიერი სანყისის, სულისმიერი სინათლისა და ჰარმონიის შეტანის ცდა.

როჟე კაიუა – ცნობილი ფრანგი ესთეტიკოსი, ხელოვნებაში ე.წ. აუტენტურობის პრინციპის მომხრე, თანამედროვე მხატვრის არსებით თავისებურებას ხედავს იმაში, რომ „იგი პრინციპულად უარყოფს გონების ყოველგვარ ჩარევას, ყოველგვარ არჩევანს. იგი მონადინებულია, რომ მისი მოქმედების შედეგი შემთხვევითი აღმოჩნდეს და ამის გამო ცდილობს თავიდან აიცილოს იოტისოდენი ძალდატანებაც კი, რაც შთაბეჭდილებას შექმნიდა, თითქოს მის შემოქმედებაში რაღაცნაირად მაინც მონაწილეობს გონებისმიერი სანყისი“.

ეს მტკიცება მართლაც აუტენტურია, რადგან იგი სავსებით შეესაბამება სინამდვილეს, ე.ი. მრავალი თანამედროვე დასავლელი მხატვრის შემოქმედებით პრაქტიკას.

მაგრამ თავისთავად ზუსტი დაკვირვება აქ აყვანილია ესთეტიკური ნორმის ხარისხში.

ფრანგულ მწერლობაში შემოქმედების პროცესის ამგვარი გაგება სრულ სიახლედ ვერ ჩაითვლება.

ტეოფილ გოტიეს ეკუთვნის ცნობილი სკეპტიკური ფრაზა ხელოვნებაში გონების როლის შესახებ: „გონება, რომელიც შეშლილობის მემუარებს წერს მისივე კარნახით“.

ეს სიტყვები თავის დროზე სიურრეალისტების დევიზად იქცა.

მაგრამ მათი ავტორი თავისი სულიერი წყობით მაინც ჭეშმარიტი ფრანგი იყო, იმ ერის ღვიძლი შვილი, რომელმაც, პირველმა ევროპელ ხალხთა შორის, ნამდვილი კულტი შეუქმნა ადამიანის ძლევამოსილ ინტელექტს.

შემთხვევითი არ არის, რომ გოტიესთან „გონება“ მაინც ფრაზის დასაწყისში დგას.

გონება განუყოფელი ნაწილია ადამიანის შინაგანი, სუბიექტური სინამდვილისა, რომლის რთულ ხვეულებში გზის გაკვლევა ახალი დროის პოეზიამ თავის მთავარ, უპირველეს ამოცანად დაისახა.

გონება უანგარო რაინდია ჰარმონიისა, მისი პირველი მეკვლე და ერთადერთი მძევალი ამქვეყნად და, ამავე დროს, სწორედ გონება ამიშვლებს მოვლენათა ფარულ დრამატიზმს.

თუ არ ვცდები, სწორედ პიკასო, რომლის ავტორიტეტს დღეს თითქმის ყველა ახალი მოძღვრების ქურუმი მიმართავს, სწორედ ჩვენი საუკუნის ეს უდიდესი ხელოვანი ამბობდა, რომ მისთვის უცხოა აბსტრაქციონისტებისა და სხვა ულტრათანამედროვე მხატვრების შემოქმედება, რადგან მათ ტილოებში იგი ვერ გრძნობს თანამედროვე ყოფიერების ნამდვილ შინაგან დრამატიზმს.

ჭეშმარიტი დრამატიზმი ხელოვნებაში არათუ არ აუქმებს, პირიქით, ყოველთვის გულისხმობს ჰარმონიას, რადგან მისი სათავე და საფუძველი სწორედ ჰარმონიის ის დაუოკებელი წყურვილია, რაც ოდითგან მოსდგამს ყოველ დიდ შემოქმედს...

დავუბრუნდეთ ჩვენი კამათის მთავრ თემას:

პოეზია და მკითხველი...

„მკითხველი“ მეტად ფართო ცნებაა. ვინრო გაგებით ის საერთოდ არ არსებობს. არ არსებობს ასეთი ხელობა.

ამ სიტყვის უკან ჩვენ ხშირად გველანდება რაღაც ნახევრად ველური არსება, რომელიც ან უნდა მოვაშინაუროთ, ან საერთოდ უგულვებელვყოთ.

მაგრამ მკითხველი ფართო გაგებით იგივეა, რაც ადამიანი, ხალხი, კაცობრიობა.

სჭირდება თუ არა საერთოდ პოეტს მკითხველი?

ეს სქოლასტიკური კითხვაა.

სჭირდება თუ არა თანამედროვე ადამიანს პოეზია?

ასეთი კითხვა ბუნებრივია და აქტუალურიც.

ხოლო პასუხი გამომდინარეობს არა მხოლოდ იმ სრულიად რეალური უეჭველობიდან, რომ იქ, სადაც ნამდვილი პოეზია ცარიელ ადგილს ტოვებს, იგი უმაღლვე ივსება სუროგატით, რომ დღევანდელი მკითხველი, სადაც უნდა იმყოფებოდეს იგი – ლათინურ კვარტალში თუ ენგურჰესის მშენებლობაზე – თუკი მან ნამდვილ საზრდოზე თქვა უარი, ხარბად ეტანება თანამედროვე ბულვარშინის იაფფასიან ნაწარმს, სულ ერთია, „კომიკსები“ იქნება ეს თუ „ინდუსტრიული შაირები“.

მთავარი მაინც სხვაა.

შესაძლოა, ადამიანს სწორედ დღეს, ისე როგორც არასდროს, სჭირდება პოეზიის დახმარება.

რეალურად მოახლოებული კატასტროფის წინაშე, ყოველი მხრიდან მომდგარი რღვევისა და შეშფოთების აჩრდილთა პირისპირ, ბრმა მატერიის გამძვინვარებულ ციკლოპთან უკანასკნელი შეჭიდების წინ ის უნდა სავსებით დარწმუნებული იყოს თავისი სულის მთავარ საყრდენთა სიმტკიცეში. ადამიანს უნდა სჯეროდეს, რომ მისთვის ჩაბარებული სამყაროს იდუმალებათა გასაღები, მისი თანდაყოლილი ლტოლვა ჰარმონიისა და სინათლისკენ ამაო ნიჭი არ არის.

არ შეიძლება ადამიანის მიტოვება ამ უთანაბრო ბრძოლაში.

როგორც ერთგული ავთანდილი, პოეზია მუდამ გზას უნდა ადგეს, მუდამ ესწრაფოდეს აღთქმულ შეხვედრას სიმარტოვით სასონარკვეთილ მეგობართან, რომ ბრძენი აქიმის მსგავსად იმედის სხვიით დააურვოს მისი შემფოთებული სული.

როგორც ქურასთან დღედაღამ მდგარი ლალი ზიგფრიდი, პოეზია მარად და მარად უნდა აწრთობდეს თავის იარაღს „მხურვალე სულის, ცივი გონების“ დიდ სამჭედლოში, ვიდრე თვით მიმე – მზაკვრული იჭვით აღმშფოთი სული – სამუდამოდ არ განირთხმება შთაგონების მაღალი გრდემლის ქვეშ.

*(სიტყვის დამთავრებისთანავე ავტორმა თარჯიმნებს მიაშურა, რათა იტალიელების მოულოდნელი ჟესტის მნიშვნელობა გაეგო. აღმოჩნდა, რომ ყველაფერი ტექნიკური მიზეზით იყო გამოწვეული: რადიობატარეა, რომელიც იტალიელებს თარჯიმნის ხმას გადასცემდა, მოულოდნელად დაიცალა...*

*ავტორი დამშვიდდა, მაგრამ სიმპოზიუმის დამთავრების შემდეგ მას მიუახლოვდა ახალგაზრდა რუსი ლიტერატორი მ.ველიკოვსკი.*

*– თქვენ, თუ არ ვცდები, გ.დ.-ს ასპირანტი იყავით.*

*– დიალ, – თავაზიანად ვუპასუხე, – თქვენც?*

*– არა... ჭირის დღესავით მეჯავრება გ.დ.-ს ყველა ასპირანტი. მათი აზროვნება ძველმოდურია და სქემატური. ევროპელები სიცილით კვდებიან მათ „შეხედულებებზე“. ცხადია, ეს თქვენს გამოსვლას უშუალოდ არ ეხება, მაგრამ...).*

#### **IV ძალიან მოკლე დიალოგი**

##### **– „საუბარი ლირიკაზე“**

ზღვისპირი. ნვიმა. პატარა ყავახანა. პლაჟისკენ მიმავალ ახალგაზრდებს აქ შეუფარებიან თავი. დაბალ მაგიდას უსხედან. შუაში წარმოუდგენლად ლამაზი ქერა ქალიშვილი ზის. როგორც ჩანს, მთელი საუბარი მისი აქ ყოფნით არის შთაგონებული.

პირველი ახალგაზრდა: ადამიანს, რაც ის ადამიანი გახდა, ერთი შეუსაბამობა ანუხებს ყველაზე მეტად. ეს არის, ერთი მხრივ, მისი სულის თითქოს ამკარად უსასრულობისთვის გაანგარიშებული შინაგანი პოტენცია – მარადისობის ცხოველი განცდა, რაც განსაკუთრებით შემოქმედების აქტში იჩენს თავს, ხოლო, მეორე მხრივ, ადამიანის ფიზიკური არსებობის მკაცრად ზღვარდებული არე...

სწორედ ამან და არა რაიმე კლერიკალურმა შარლატანობამ წარმოშვა უკვდავების ილუზია. იგივე მიზეზი უდევს საფუძვლად პოეზიის აღმოცენებასაც.

ბორის პასტერნაკი წერდა:

«Метафоризм естественное следствие недолговечности человека и надолго задуманной огромности его задач. При таком несоответствии он вынужден смотреть на вещи по орлиному зорко и объясняться мгновенными и сразу понятными озарениями. Эта и есть поэзия».

მეორე ახალგაზრდა: საკვირველია, რომ ხშირად მკითხველისთვის პოეზიაში გაუგებარი რჩება სწორედ ის ადგილები, რომლებიც პოეტის წამიერი ნათელხილვის შედეგს წარმოადგენენ.

მესამე ახალგაზრდა: ის, რაც ჩვეულებრივი მკითხველისთვის გაუგებარია, ჭეშმარიტი პოეზიის გარეშე დგას! არ არსებობს მიზანი, რომელიც ხელოვნებას ადამიანის ამქვეყნიურ ამოცანებზე მაღლა აყენებდეს.

პოეზია იარაღია – ბრძოლის, სინათლის, სიკეთის, სამართლიანობის იარაღი!..

პირველი ახალგაზრდა: პოეზია ხშირად გამოუყენებიათ როგორც იარაღი. უფრო მეტიც, იყო ისტორიული მომენტები, როდესაც ის მოქალაქეობრივი ბრძოლის ერთადერთ საშუალებას წარმოადგენდა.

მაგრამ ამას არავითარი კავშირი არა აქვს პოეზიის არსთან, იმ განსაკუთრებულ სულიერ მოთხოვნილებასთან, რომელმაც იგი წარმოშვა. რაც შეეხება „გაუგებრობას“, საკვირველია, როდესაც, მაგალითად, ლირიკას ხელოვნების სხვა სახეობათაგან განსხვავებულ მოთხოვნებს უყენებენ.

ვინაც გაიგებს ჩუქურთმას ქართულს,  
ის პოეზიას ჩემსას გაიგებს. –

წერდა გალაკტიონი.

ლამაზი ორნამენტი ყველას ხიბლავს თავისი ამოუხსნელი საიდუმლოებით. პოეზიაში კი ჩვეულებრივი ადამიანი კიდევ რაღაცა სხვას ეძებს.

მესამე ახალგაზრდა: დიდი პოეზია არ არსებობს დიდი აზრების გარეშე.

პირველი ახალგაზრდა: პოეზია თვალსა და ხელსშუა ქრება, როგორც კი მას ფხიზელი აზრის არტახებში მოქცევას დაუპირებენ.

იღუპება ის, რაც მთავარია პოეზიაში – იღუმალი მუსიკა...

ყველაზე ნათლად ამას სიმბოლისტები მიხვდნენ. ფუტურისტების მოძღვრება ე.წ. ზაუმზეც სწორედ ამ მიხვედრით იყო ჩაგონებული.

თუ ხლებნიკოვი მაინც არ უარყოფდა სემანტიკურ ელემენტს, იტალიელი ნეოავანგარდისტების ახლანდელი მეთაური სანგვინეტი საერთოდ უსიტყვებოდ წერს ცალკეული ბგერების ნებისმიერი ნაერთით. ამბობენ, რომ ეს ფანტასტიკურ შთაბეჭდილებას ახდენს მსმენელზე.

მეორე ახალგაზრდა: პოეზიაში მთავარია ქვეცნობიერი მიახლოება სამყაროს ირაციონალურ ნაპირებთან...

მეოთხე ახალგაზრდა: მგონი, თქვენ ყველანი რაღაცას ართულებთ.

ერთ ჩემს მეგობარს, რომელიც ცოცხალი აღარ არის, ძალიან უყვარდა პოეზია... ბრწყინვალე განათლებამ, აზროვნების სიფართოვემ, მხატვრული ინტუიციის უტყუარმა ნიჭმა მას ჩვენს წრეში თავისებური ინტელექტუალური არბიტრის მდგომარეობა მოუპოვა.

ერთხელ ხუმრობით ვთხოვე, მისთვის ყველაზე საყვარელი ლექსი ეთქვა: ქალაქგარეთ ვიყავით. რკინიგზის პატარა სადგურთან ახლოს, ტყის პირას, პირდაპირ ბალახზე გვექონდა გაშლილი მეგობრული სუფრა. რატომღაც დაიმორცხვა. უხერხულობისგან იცინოდა. სიტყვას ბანზე მიგდებდა.

ბოლოს მაინც დამითმო და ბორძიკით, დაფასთან გამოყვანილი მონაფესავით აღელვებულმა მითხრა თავისი უსაყვარლესი ლექსი:

Счастлив тем, что целовал я женщин,

Мял цветы, валялся на траве.

Изверье, как братьев наших меньших,

Никогда не бил по голове.

ამ დროს წვიმამ გადაიღო. ქერა ქალიშვილმა აღტაცებით ტაში შემოჰკრა, ყველანი წამოიძალნენ. ყავახანა სწრაფად დაცარიელდა. მხოლოდ მეხუთე ახალგაზრდა დარჩა მაგიდასთან. ნელ-ნელა სვამდა ყავას და რაღაც ჩემთვის უცნობ მელოდიას უსტვენდა. ქერა ქალიშვილი კარებში შემობრუნდა:

– ვატო, არ მოდიხარ?

ვატომ შავი სათვალის ზემოდან ახედა ქერა ქალიშვილს და თითი დაუქნია. ქალი მორჩილად მიუახლოვდა მაგიდას.

– მე დემურის ნომერში ვიქნები, – დაბალი ხმით უთხრა ვატომ, – ეს ახვრები მოიშორე და დროზე ამოდი. კარები ღია დაგხვდება.

## **უბის ნიგნაკიდან**

### **გიორგი ლეონიძე:**

გალაკტიონ ტაბიძემ ქართულ პოეზიაში შემოიტანა თრთოლვა, ცახცახი: „ნიავივით“... – ის, რაც არც ერთ ჩვენგანს არა აქვს.

1960 წ. აპრილი

ლიტერატურის ინსტიტუტი.

### **სიმონ ჩიქოვანი:**

გალაკტიონთან დაკავშირებით სიტყვა „თრთოლვა“ პირველად ვალერიან გაფრინდაშვილმა იხმარა – „Это новый трепет грузинской поэзии“. ვალერიანმა გაიმეორა ჰიუგოს სიტყვები მიუსეს შესახებ – „ის ფრანგული პოეზიის ახალი თრთოლვაა“.

1961 წ. 14. III

იმავე საღამოს სიმონმა მოიგონა შეხვედრა სომხეთში, სადაც ცოლაკმა გალაკტიონს შესთავაზა ისააკიანის თარგმნა. „ამ საღამოს საერთოდ იყო მჭევრმეტყველთა შეჯიბრი“...

უცებ ტიცციანმა წამჩურჩულა: – ახლა შენ უთხარი სიტყვა სარიანს, მერე მე გამომაცხადე და ნახავ, ყველას ვაჯობებო. მე ვთქვი სიტყვა და გამოვაცხადე ტიცციანი, რომელმაც მიმართა ისააკიანს საოცარი სიტყვით. ბოლოს ასე დაამთავრა: – მე ვინვევ ყველა ქართველ პოეტს ისააკიანის თარგმნაში. ყველანი წამოიშალნენ და კოცნა დაუნყეს ტიცციანს.

სიმონ ჩიქოვანი: როდესაც გალაკტიონს სახალხო პოეტის წოდება მიანიჭეს, მან დიდი ბანკეტი გამართა. რამდენიმე პოეტმა თავის სადღეგრძელოში ის ბარათაშვილს შეადარა. ამ ბანკეტზე მეც ვთქვი სიტყვა, რომელიც ასე დავასრულე: – ჩემი რწმენით, თქვენ უფრო აკაკის ტრადიციის პოეტი ბრძანდებით, ვიდრე ბარათაშვილის.

გალაკტიონმა ჩუმად გაიღიმა. არაფერი უპასუხებია. მხოლოდ ბანკეტის ბოლოს სამადლობელო სიტყვაში სხვათაშორის თქვა: – ნიცშეს უყვარდა ვაგნერი, სანამ ბიზეს მოისმენდა. მოგვიანებით ბიზე მან არჩია ვაგნერს, როგორც სიცოცხლე – გონებას.

## **V დიალოგი**

გ.ლ. – ქართველი კაცი ვერა და ვერ ურიგდება სიკვდილს. სიკვდილი მისთვის გაუგებარია და ამის გამო ყოველთვის შემზარავი.

ი.ო. – ეს მხოლოდ ნაწილობრივ არის მართალი. ხევსურები სიკვდილს არაფრად აგდებენ. უმრავლესობას შიშის ინსტინქტი საერთოდ ატროფირებული აქვს. რამდენიმე შემთხვევა ვიცი, როდესაც მცირეწლოვან ხევსურ ბიჭებს თავი მოუკლავთ შელახული თავმოყვარეობის ნიშნად. მათი პროტესტი გამონწვეული იყო მშობლების მოქმედებით, რომელთაც ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს მათ.

ვაჟა-ფშაველა სიკვდილს უბრალოდ უყურებდა: „ერთხელც იქნება მოვკვდები, გარდავიქცევი მინადა“...

გ.ლ. – ვაჟას სიტყვებში შეკავებული სევდის კივილია.

ქართულ პოეზიაში დრამატიზმის გრძნობა, ჩვეულებრივ, სიკვდილთან არის დაკავშირებული და არა სინამდვილის კონფლიქტურ განცდასთან. გამონაკლისს მხოლოდ ერთეულები წარმოადგენენ. მათ შორის ბარათაშვილი.

ი.ო. – ბარათაშვილი ქართულ პოეზიაში უცხო სხეულია... ამიტომ მოხდა, რომ XIX საუკუნის მწერლობაში მას მემკვიდრეები არ დარჩენია. არც წინამორბედი ჰყავდა.

გ.ლ. – ამას წინათ ტელევიზიით გურამ რჩეულიშვილის ერთი მოთხრობის ინსცენირება გადმოსცეს.

ამ მოთხრობაში მოქმედება სწორედ ხევსურეთში მიმდინარეობს. ავტორი და მისი მეგობარი გაოცებულნი არიან გერმანელი მწერლის უდრტვიწველი დამოკიდებულებით ახლობელი ადამიანის სიკვდილისადმი. „ჩვენ ჩვენს სიმცირეს მივტირით“ – ასკვნის მოთხრობის გმირი. შეიძლება მთავარი მართლა ეს არი...

თ.ლ. (მხატვარი ქალი) – ადამიანი ასე არ უნდა კვდებოდეს. პანაშვიდები, კუბო, ბალზამი... სიმახინჯეა. როცა სიკვდილის დრო მოვა, შენი ახლობელი ადამიანი სადგურზე უნდა გავიდეს, ვაგონის კიბეზე უნდა დადგეს და მერე, ვიდრე მატარებელი თვალს არ მიეფარება, გაღიმებული სახით უნდა გიქნოს ხელი.

გ.ლ. – ბარათაშვილს არასოდეს არ უფიქრია სიკვდილზე. თითქოს გრძნობდა თავის უკვდავებას.

მას უფრო მეტად აწვალებდა იმ განსაკუთრებული შინაგანი ძალის შეგრძნება, რისთვისაც სახელიც კი ვერ მოეძებნა: „ნუთუ ამ სულის წადილსაც, ჰრქვა სიყვარული სხვათაებრ?..“.

ბარათაშვილის სულიერ ტკივილში გამოიხატა იდეის, წმინდა გონების ძველისძველი დრამა სინამდვილესთან.

ეს იყო მტკივნეული განცდა შიგნიდან მოზავებული, კოლოსალური, ტიტანური ენერჯისა, რაც ამაოდ ეძებდა თავის პრაქტიკულ გამოსავალს. ბარათაშვილის მიერ შექმნილ პოეტურ სამყაროში, რომლის შინაგან პათოსს არსებული რეალობის უარყოფა წარმოადგენს, გამოიხატა პოეტის ოცნება უკეთეს, იდეალურ სინამდვილეზე. მაგრამ, როგორც ადამიანი, ბარათაშვილი გამუდმებით ეძებდა თავის მინიერ მოწოდებასაც, თავისი პიროვნების ობიექტურ, ემპირიულ დამკვიდრებას.

Ведь я страдаю от фантастического, а потому и люблю ваш земной реализм, ეუბნება ეშმაკი ივანე კარამაზოვს. – Я здесь все наши привычки принимаю... Я в баню торговую люблю ходить... Моя мечта это воплотиться».

ბარათაშვილი ქალაქში ოინბაზად იყო ცნობილი, ოხუნჯად, სკანდალისტად, მოქეიფედ. ქალებს მისი ენის ცეცხლივით ეშინოდათ. არც ერთი ახალი ქორი არ გამოეპარებოდა. თათრის აბანოების ხშირი სტუმარიც იყო, სათარას ბაიათების მოყვარულიც. პირველი რომანი ფრანგი მეფუნთუშის ქალთან გააბა. როგორც ჩინოვნიკი, სამაგალითო „გერმანული“ სიბეჯითით გამოირჩეოდა. – „Баратов на моем месте сидеть будет!“.

თქვა ერთხელ მისი პუნქტუალობით აღტაცებულმა პალატის უფროსმა...

ი.ო. – იცით, ყველაზე მეტად ვისი პიროვნება აწუხებდა ბარათაშვილს? ილია ორბელიანის. იგი პოეტის დედის – ეფემიას უმცროსი ძმა იყო. ილია და ნიკო ერთად იზრდებოდნენ.

შამილთან ბრძოლაში ილია ორბელიანმა ლეგენდარული გმირის სახელი მოიხვეჭა არა მხოლოდ რუს სარდლობაში, დაღესტნელთა შორისაც. ალექსანდრე დიუმას თავის „მოგზაურობაში“ აღწერილი აქვს, როგორი პატივით მიიღო ილიას დატყვევებული ქვრივი შამილმა, როდესაც მისი ვინაობა გამოირკვა.

ამ კაცს მართლა გმირული ბიოგრაფია ჰქონდა და ბოლოს, როგორც ნამდვილმა მეომარმა, ბრძოლის ველზე დალია სული.

როგორც ცნობილია, „მერანის“ შექმნა ბარათაშვილს სწორედ ილია ორბელიანის ტყვეობის ამბავმა ჩააგონა.

მაგრამ, აი, რას სწერს პოეტი თავის უფროს ბიძას გრ.ორბელიანს ერთი წლის შემდეგ:

„ილია კარგად არის, პარუჩიკობა გაიკრა, ას თუმნამდინ თავისი ჯამაგირი გამოუვიდა... ამისი საქმე თავში ბოსტანია“...<sup>1</sup>

სწორედ ილია ორბელიანს მოუწყო ბარათაშვილმა თავის ამხანაგებთან ერთად ერთი იმ შეურაცხმყოფელ ოინთაგანი, რომლის მსგავსი ხრიკებითაც ერთ დროს ლერმონტოვი აცოფებდა თავის ბედუკუდმართ მკვლელს.

ეს ინციდენტი ბიძისა და ძმისწულის მისტიფიცირებული დუელით დამთავრდა და აქაც, ბარათაშვილის გეგმით, კავკასიის სახელგანთქმული გმირი სასტიკად გაამასხრეს.

ბარათაშვილისათვის ილია ორბელიანი აღტაცების საგანიც იყო და, ამავე დროს, მკვეთრად ანტიპოდური პიროვნებაც. ის, რაც პოეტის სულში ჩაიღველფა ბუნებრივი გამოსავლის უპოვნელად, ეს თანდაყოლილი, დაუოკებელი სურვილი პრაქტიკული მოქმედებისა თითქოს სრულიად უბრალოდ იყო განხორციელებული სახელმძღვანელო მეომრის პიროვნებაში.

ბარათაშვილის სულიერი ტრაგედია იყო ტრაგედია დიდი ცხოვრებისათვის, დიდი მოქმედებისათვის დაბადებული პიროვნებისა, რომელსაც დრომ ფაქტობრივი უმოქმედობა მიუსაჯა.

არა მხოლოდ იმიტომ, რომ სიყმანვილეში ორივე ფეხი მოიტეხა და ჯარისკაცის საოცნებო კარიერაზე უარის თქმა მოუხდა ან იმის გამო, რომ გაკოტრებულმა მეღიგონ ბარათაშვილმა უმაღლეს სასწავლებელში ვერ გააგზავნა თავისი ერთადერთი ვაჟიშვილი.

ბარათაშვილის დროინდელ საქართველოში (1832 წლის შემდეგ) ყოველი პრაქტიკულად შესაძლებელი მოქმედება, თავისი ობიექტური შინაარსით, იყო აუცილებელი გაყალბება იმ მაღალი იდეალებისა, რომელთაც პოეტის სულიერი სწრაფვა განსაზღვრეს.

ასეთ ყალბ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ, კერძოდ, პოეტის ბიძები – გრიგოლ, ზაქარია და ილია ორბელიანები, მეფის სამსახურში დანინაურებული, კავკასიის ომში სახელგანთქმული ბრწყინვალე ოფიცრები.

ი.ო – ქრესტომათიული ბარათაშვილის კრედიო გახსნილია ცნობილ სიტყვებში:

„მაგრამ რადგანაც კაცნი გვექვიან, შვილნი სოფლისა, უნდა კიდევაც მივსდიოთ მას“...

გ.ლ. – მაგრამ ეს ხომ მხოლოდ პოსტსკრიპტუმია სრულიად სხვა შინაარსის შემცველი ლექსისა, მხოლოდ ნაწილობრივი, იძულებითი კომპრომისი. სინამდვილეში, მოქმედების ის სარბიელი, რომელიც აქ იგულისხმება, უცხო და მიუღებელი იყო პოეტისათვის.

ბარათაშვილი არ გასდევნებია იმ გზას, რომლითაც მისი ბიძები წავიდნენ.

პოეტის ნამდვილი რწმენა გამოიხატა არა ამ კომპრომისულ მინაწერში, არამედ „მერანში“, სადაც ბრძოლა, მოქმედება სავსებით გათავისუფლებულია პრაქტიკული შესაძლებლობის ვინრო ჩარჩოებისაგან და თავისი წმინდა, იდეალური სახით წარმოგვიდგება, როგორც ზღვარდაუდებელი სულიერი აქტივობის ნადილი.

<sup>1</sup> ილია ორბელიანი სხვა თვისებებთან ერთად თბილისში მეზოსტნეობის დიდი სიყვარულითაც იყო ცნობილი. გრ.ორბელიანი თავის მხრივ დაღესტნიდან გამოგზავნილ წერილებში ხშირად კითხულობს ილიას „კიტრებისა“ და „ხახვის“ ამბავს.

„გასწი, გაფრინდი, ჩემო მერანო,  
გარდამატარე ბედის სამძღვარი“.

ეს არის ოცნება ჭეშმარიტ მოქმედებაზე, სულდიდი ქმნილების უნივერსალური ამბოხი, როგორც ბედისწერის, ისე ბრმა აუცილებლობით ზღვარდებული სოფლის უგუნური წესის მიმართაც.

ასეთი იყო მსოფლმხედველობრივი საყრდენი იმ განწყობილებისა, რაც საფუძვლად დაედო ქართული რომანტიზმის აღმოცენებას.

## VI. დიალოგი მწერალთა კავშირის სადარბაზო შესასვლელთან

მწერალი და მკითხველი კიბეებზე დგანან. სიღრმეში მოჩანს თანამედროვე მხატვრის მიერ რუსთაველის ახლად შესრულებული გამოსახულება მოზაიკური ფრესკის სტილში.

მკითხველი: – რისი დამტკიცება გვსურდა ჩვენ კულტურული სამყაროსათვის რუსთაველის დღეებში?

მწერალი: – უპირველეს ყოვლისა იმის, რომ საქართველო არის არა მეთაბარისხოვანი, ჩამორჩენილი ქვეყანა, არამედ დიდი მატერიალური და სულიერი კულტურის სამშობლო, რომ მან ჯერ კიდევ შუა საუკუნეებში წარმოშვა პიროვნება, რომელიც თავისი უნივერსალური გენიით არათუ მხარს უსწორებდა, არამედ, გარკვეული თვალსაზრისით, წინ უსწრებდა კიდევაც თავისი ეპოქის მხატვრულ და ინტელექტუალურ დონეს.

ეს იყო იუბილეს მთავარი მიზანი და იგი ძირითადად მიღწეულია. ბუნებრივია, რომ ეს ეროვნული სიამაყის გრძნობას იწვევს ჩვენში.

მკითხველი: – მაგრამ ამ გარემოებას აქვს მეორე მხარეც... რუსთაველის სახელი განსაკუთრებულ მოთხოვნას აღძრავს იმ კულტურის დღევანდელ წარმომადგენელთა მიმართ, რომლის წიაღშიც „ვეფხისტყაოსნის“ უკვდავი სახეები აღმოცენდნენ. აი, დამთავრდა დღესასწაული და ჩვენ ვალდებულნი ვართ სხვაგვარი კითხვაც დავუსვათ ჩვენივე თავს.

კვლავ დგას თუ არა თანამედროვე ქართული მწერლობა თავისი დროის სულიერ მონაპოვართა დონეზე? რასაკვირველია, მე შემოქმედებითი ნიჭიერების მასშტაბებს არ ვგულისხმობ – რუსთაველის მსგავსი ტიტანები ერის ცხოვრებაში იშვიათად იბადებიან. მხედველობაში მაქვს ლიტერატურული ცხოვრების საერთო იერი, ე.ი. – რამდენად შეესაბამება ჩვენი მწერლობის შინაარსი, მისი მსოფლმხედველობრივი და მხატვრული ინტერესების რკალი იმ საფეხურს, რომელზეც თანამედროვე კაცობრიობის სულიერი განვითარება იმყოფება.

ცხადია, ასეთი კითხვა მნიშვნელოვნად ანელებს ჩვენს საზეიმო განწყობილებას.

ამ მხრივ, მე მგონი, დიდი მნიშვნელობა არა აქვს, რას ეტყვი თქვენ – ლიტერატურისმცოდნეები თუ კრიტიკოსები ქართველ მკითხველს, რადგან თანამედროვე მკითხველი ხშირად უფრო ფხიზლად მსჯელობს, უფრო კრიტიკულია თავის შეფასებაში, ვიდრე ზოგიერთი პროფესიონალი ლიტერატორი. ნუ დაგავინწყდებათ, რომ მას ამჟამად შედარების დიდი საშუალება აქვს და ეს შედარება ხშირად ძალზე არასახარბიელოა ქართული მწერლობისთვის.

მწერალი: – ჩვენი ვალდებულებაა შეძლებისამებრ ავხსნათ მიზეზები.

როგორ მოხდა, მაგალითად, რომ მწერალთა სასახლის შესასვლელში დღეს ამ ფრესკის სახით ჩვენ თვალწინაა მდარე სტილიზაციის, უგემოვნობის აშკარა ნიმუში, როგორ მოხდა, რომ ჩვენს დროში, როდესაც ადამიანის ცნობიერების, შემოქმედების, მხატვრული აზროვნების წინაშე ახალი, მანამდე თითქმის უცნობი სიღრმეები გაიხსნა, ქართული მწერლობის უმნიშვნელოვანესი ნაწილი ჯერ კიდევ



ვერ გასცილება მოვლენათა ზედაპირულ ფენებს. რომ რუსთაველის ქვეყანაში დღეს ჭეშმარიტი შთაგონების ყოველ მისხალზე ზერელე ხელოსნობის მთელი ზღვა მოდის?

ამის ერთ-ერთი მიზეზი დაკავშირებულია ჩვენი წარსულის ცნობილ მოვლენებთან.

ქართულმა კულტურამ თავის ისტორიაში გამოტოვა განვითარების რამდენიმე აუცილებელი საფეხური. გამანადგურებელ საუკუნეებს უკვალოდ არ ჩაუვლიათ. რენესანსი, რომლის დასაწყისსაც რუსთაველის შემოქმედება მოასწავებდა, ხელოვნურად ჩაკვდა შემდგომ ეპოქაში. XVII-XVIII საუკუნეები ევროპაში აზროვნებისა და მხატვრული შემოქმედების ახალი საყოველთაო აყვავებით აღინიშნა. ჩვენთან კი ეს იყო უკიდურესი მატერიალური სიღატაკის დრო, რამაც სულიერ ცხოვრებასაც დააჩნია თავისი დაღი. ქართული „აღორძინება“ მხოლოდ მკრთალი ანარეკლია ოქროს ხანიდან მოღწეული დიდი სინათლისა. ლიტერატურული აზროვნება ამ დროს ძირითადად ეპიგონობის ფარგლებში დარჩა. მხოლოდ ერთეულებმა შეძლეს ამ შემზღვეველი მიჯნის გადალახვა.

XIX საუკუნე ჩვენს მწერლობაში იყო თავგანწირული ცდა წინა ეპოქების მანძილზე შთანთქმული, უკვალოდ დაკარგული დროის ანაზღაურებისა.

ცხადია, დანაკარგი მხოლოდ ნაწილობრივ შეივსო.

მკითხველი: – თქვენ ძალიან შორიდან დაინყეთ. არსებობს ბევრად უფრო ახლობელი მიზეზები... დროა, ყოველმა ჩვენგანმა ნათლად შეიგნოს, თუ რა ღრმა გავლენა მოახდინა ჩვენს საზოგადოებრივ და სულიერ ყოფაზე ფსიქოლოგიური პირობების იმ რთულმა კომპლექსმა, რომელიც ბევრად უფრო ახლო წარსულში მოქმედებდა. საჭიროა საბოლოოდ წარიშალოს იმ წლების კვალი, როდესაც, პოეტის სიტყვით, „საქართველოზე კაენის სულის აღზევებამ გადისრიალა“.

თქვენ რატომღაც ერიდებით ამ მტკივნეულ საკითხზე ლაპარაკს...

ლიტერატურის ნორმალური განვითარება თავის წინაპირობად გულისხმობს ადამიანის სულიერი ცხოვრების სრულ შინაგან ემანსიპაციას, აზროვნების დამოუკიდებლობას, უკომპრომისო ზნეობრივ პრინციპებს. ჩვენი მწერლობის ერთ ნაწილს კი დღემდე ვერ გადაულახავს ის საბედისწერო ფსიქოლოგიური ბარიერი, რომელიც მის წინაშე ათეული წლების მანძილზე იყო წამომართული.

ამით აიხსნება, კერძოდ, თანამედროვე ქართული კრიტიკული აზრის ჩამორჩენა – არა მხოლოდ კრიტიკის, როგორც განკერძოებული ლიტერატურული ჟანრის – არამედ საერთოდ კრიტიკული აზროვნებისა, რომელიც აუცილებელია ყოველი ჭეშმარიტი ხელოვნებისთვის არსებული სინამდვილის გასაცნობიერებლად.

მწერალი: – მე მგონი, მთავარი მიზეზი უფრო ღრმად დევს, მთავარია ტრადიციების სფერო, ე.ი. ლიტერატურული ფუძე, საძირკველი, რომლის გარეშე შეუძლებელია ახლის შენება.

როდესაც ქართული მწერლობის მდიდარ ტრადიციებზე ვლაპარაკობთ, ამან გულუბრყვილო ილუზიამდე არ უნდა მიგვიყვანოს. არ უნდა დაგვაგინყდეს, როგორ ხევდა უკან საუკუნეების მანძილზე ჩვენს კულტურას – კერძოდ, ინტელექტუალური ძიების, მხატვრული განზოგადების კულტურას – ჩვენი ცხოვრების ისტორიული ბედუკუდმართობა. განსაკუთრებით ეს ქართული პროზის განვითარებას ეხება.

მე თანაგრძნობით ვადევნებ თვალყურს ჩვენს მწერლობაში ზოგიერთი ახლად მოსული ავტორის შემოქმედებას, მხატვრული აზროვნების იმ წესთან მიახლოების გაბედულ ცდას, რომელიც თანამედროვე პროზის კორიფეებმა გამოიმუშავეს და, მე მგონია, რომ მათ მხოლოდ სასწაულმა შეიძლება უშველოს, რადგან დღევანდელ ქართულ პროზას ამ ახალ მიჯნასთან მისაახლოებლად აკლია ნამდვილი ფუძე – ფსიქოლოგიური რეალიზმის უმაღლეს საფეხურამდე

განვითარებული ტრადიცია, – კლასიკური რეალისტური რომანი, რაც წინ უძღოდა უახლესი ევროპული მწერლობის მიერ გადადგმულ ყოველ ახალ ნაბიჯს.

მკითხველი: – მწერლის ტალანტი თავისთავად უდიდესი სასწაულია, ასე რომ, ადვილად შესაძლებელია, ერთ მშვენიერ დღეს თქვენი ეჭვი უკვალოდ გაიფანტოს.

მწერალი: – ახალი ევროპული პროზის აღმოცენება შესაძლებელი იყო მხოლოდ იმ ნიადაგზე, რომელიც მთელი წინა ორი საუკუნის მანძილზე ნაყოფიერდებოდა შესაბამისი მხატვრული გამოცდილებით.

გერმანელი ლიტერატორი ე.კურციუსი წერს: „რა განვიცადეთ ჩვენ მარსელ პრუსტის წიგნებთან პირველი შეხებისთანავე? განცვიფრების მძაფრი გრძნობა იმის გამო, რომ ვეზიარეთ რალაც უცნობ სფეროს, რომ ხელი შევახეთ ახალ ნივთიერებას, რომლის აღნაგობაც გაუგებარი რჩებოდა ჩვენთვის. ჩვენ გზასაცდენილი კაცის გრძნობა გაგვიჩნდა, რადგან იძულებული გავხდით, ისეთ განსაზღვრებათათვის მიგვემართა, რისთვისაც ჩვენი გონების არც ერთი ჩვევით არ ვიყავით მომზადებულნი“.

ალბათ დაახლოებით ასეთი გრძნობა უნდა განეცადათ იმ ადამიანებს, რომელთაც თავის დროს პირველად მოუხდათ მსჯელობა ნიკოლოზ ბარათაშვილისა და გალაკტიონ ტაბიძის შესახებ.

არსებობენ მწერლები, რომლებიც თავისი შემოქმედების წინასწარდასახულ მიზნად სწორედ ამგვარი ეფექტის მოხდენას ირჩევენ.

მაგრამ სასწაულები ლიტერატურის ისტორიაში ძალზე იშვიათად ხდება.

გერმანელი ლიტერატორის მოსაზრება მხოლოდ ნაწილობრივ არის სწორი.

მარსელ პრუსტის რომანი ევროპული მწერლობის ისტორიაში მომზადებული იყო არა მხოლოდ მისი უშუალო წინამორბედების, კერძოდ, გასული საუკუნის დამლევის ფრანგ ლირიკოსთა შემოქმედებით, არამედ დიდი ხნით ადრეც, კლასიკური პროზის ისეთი ქმნილებებითაც, როგორც იყო, მაგალითად, რუსოს „აღსარება“, ლოურენს სტერნის „ტრისტრამ შენდი“, სტენდალის „ანრი ბრიულარი“ და „ეგოტისტის ჩანაწერები“.

ეროვნულ ტრადიციას ლიტერატურის განვითარებაში ბევრად უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს, ვიდრე ჩვენ ამას, ჩვეულებრივ, ვითვალისწინებთ.

საერთოდ, ე.წ. ახალი რომანი, ანტირომანი და სხვ. ევროპულ (უპირველეს ყოვლისა, ფრანგულ და ინგლისურ) მწერლობაში მხოლოდ მას შემდეგ აღმოცენდა, რაც XIX საუკუნის რეალიზმმა საბოლოოდ დაასრულა თავისი საქმე.

ვიდრე ადამიანის რთული ქვეცნობიერი სამყაროს კვლევას შეუდგებოდა, დასავლეთის დიდ პროზას ფუნდამენტურად უნდა შეესწავლა მისი ცნობიერების ზედაპირული შრეები, ზნეობრივი იერი, სოციალური ფსიქოლოგია.

XIX საუკუნის ქართულ მწერლობაში კი ევროპული ტიპის ფსიქოლოგიური რომანის თითქმის ერთადერთ ნიმუშს (ამ სიტყვის მკაცრი გაგებით) ალ.ყაზბეგის „განკიცხული“ წარმოადგენს.

შემთხვევითი არ არის, რომ ამ რომანს თავის დროს განსაკუთრებული აღტაცებით შეხვდა დ.კლდიაშვილი, როგორც ყაზბეგისა და, საერთოდ, ქართული პროზის უნიკალურ ნაწარმოებს, მაგრამ თქვენ თვითონ განსაჯეთ, რამდენად საკმარისია ლიტერატურულ ტრადიციაზე მსჯელობისათვის ერთი ნაწარმოები, თუგინდ მხატვრული თვალსაზრისით უფრო სრულქმნილიც, ვიდრე ეს „განკიცხულის“ შესახებ შეიძლება ითქვას.

არსებობს ერთი, ჩემი აზრით, მეტად საგულისხმო მაგალითი თანამედროვე ევროპული მწერლობის ისტორიიდან.

როგორც ცნობილია, XIX საუკუნის გერმანულ პროზაში რეალიზმის განვითარებას არ მიუღწევია იმ მწვერვალებამდე, რომელიც ფრანგებმა და ინგლისელებმა დაიპყრეს და, ვიდრე „დოქტორ ფაუსტუსს“ დანერდა, თომას მანმა თვითონვე რამდენიმე ათეული წლით ადრე შექმნა „ბუდენბროკები“ – კლასიკური რეალისტური რომანის ბრწყინვალე ნიმუში.

მკითხველი: – მე მგონი, თქვენი მსჯელობა ადვილად შეიძლება გამოდგეს ჩვეულებრივი ლიტერატურული კონსერვატიზმის გასამართლებლად. თუმცა ვგრძნობ, რომ რასაც თქვენ ამტკიცებთ, უფრო გულისტკივილით არის ნაკარნახევი, ვიდრე რაიმე პროპაგანდისტული ტენდენციით.

მე, როგორც მკითხველს, მაინც მჯერა სასწაულის, რადგან ხელოვნება თავისუფლების სფეროა და მისი განვითარების კანონზომიერება მხოლოდ ნაწილობრივ ემორჩილება აუცილებლობის მკაცრ ფორმულებს.

ჩემი აზრით, ლიტერატურული პროცესი ჩვენს დროში უნივერსალურ ხასიათს ატარებს და ამის გამო თანამედროვე მხატვრისათვის ტრადიციების სფერო არამც და არამც არ არის ზღვარდებული ეროვნული კულტურის ისტორიით.

გარდა ამისა, ქართულმა პროზამ უახლეს დროში მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა წინ: დავით კლდიაშვილი, ნიკო ლორთქიფანიძე, ვასილ ბარნოვი, მიხეილ ჯავახიშვილი, ლეო ქიაჩელი, კონსტანტინე გამსახურდია, დემნა შენგელაია, სერგო კლდიაშვილი – თითქმის ყოველი მათგანის შემოქმედებაში არის ისეთი რამ, რაც შეიძლება ოსტატობის ნამდვილ გაკვეთილად იქცეს მომდევნო თაობის მწერლობისათვის. მათი გამოცდილება უკვე აღარ იძლევა უკან დახევის საშუალებას!

მწერალი: – სამწუხაროდ, სინამდვილემ სხვა სურათი მოგვცა უკანასკნელი 30 წლის მანძილზე. ჩვენს პროზას, მიუხედავად ცალკეული ნარმატებებისა, ერთგვარი დაქვეითების ნიშნები დაეცყო.

ამან ძველი ოსტატების შემოქმედებაშიც იჩინა თავი.

„სანავარდოსა“ და „ბათა ქექიას“ გვერდით „ნითელი ყაყაჩო“ და თვით „განძიც“, რომელზეც ბევრი კარგი სიტყვა ითქვა, რასაკვირველია, ძალზე მკრთალად გამოიყურება.

ხოლო „ვაზის ყვავილობა“, „დიდოსტატის მარჯვენასთან“ შედარებით, გაცილებით დაბალი ხარისხის ლიტერატურაა.

უკანასკნელ დროსაც კი, როდესაც ქართულ პროზაში ჩვენი კრიტიკის მიერ თითქმის ერთსულოვნად აღიარებული გამოცოცხლება დაიწყო, როდესაც ამ ჟანრში ძველ ოსტატებთან ერთად ლიტერატურული ახალგაზრდობის საიმედო ძალებმა მოიყარეს თავი – მათი დღევანდელი მხატვრული პრაქტიკა ჯერ კიდევ ვერ გაუთანაბრდა იმ დონეს, რომელიც 20-იანი და 30-იანი წლების ქართულმა პროზამ მოიპოვა.

თუმცა ის, რაც დღეს ამ ჟანრის ჩარჩოებში ხდება, ნამდვილად კეთილი იმედის მომცემია. ამის საფუძველს პირველ რიგში მხატვრული მიდრეკილებების მრავალფეროვნება იძლევა. ქართულ პროზაში ამჟამად ნამდვილად არის რამდენიმე თითქმის საპირისპირო, ყოველ შემთხვევაში, მკვეთრად განსხვავებული ნაკადი.

კ.ლორთქიფანიძის, გ.შატერაშვილის, ა.ბელიაშვილის, გ.ნატროშვილის, მ.მრევლიშვილის მოთხრობებს, უფრო გვიან ო. ჩხეიძეს, რ.ჯაფარიძეს, ე.ყიფიანს, რ.ინანიშვილს თვალსაჩინო ღვაწლი მიუძღვით იმ უჩუმარ, მაგრამ საკმაოდ დაძაბულ ბრძოლაში, რომელიც წლების მანძილზე მიმდინარეობდა ჩვენს მწერლობაში რეალიზმის დასამკვიდრებლად.

დღეს, როდესაც საგრძნობლად გაფართოვდა თვით ამ ცნების ფარგლები, ქართულ პროზას სულ უფრო აშკარად ეტყობა გამოხატვის ახალ საშუალებათა ძიება, ჯერ კიდევ საბოლოოდ ჩამოუყალიბებელი, მაგრამ მაინც ძალუმი სწრაფვა მხატვრული აზროვნების ახალი ფორმებისკენ.

და მაინც, ჩემი ფიქრით, ახალი თაობის ქართველ პროზაიკოსთა შორის ყველაზე მყარ მაჩვენებლებს ჯერჯერობით იმ მწერლებმა მიაღწიეს, რომლებიც თავიანთი შემოქმედების დასაწყისში, თუ შეიძლება ასე ითქვას, გამოცდილების „პირველადი დაგროვების“ გზას გაჰყვნენ. ეს გახლავთ, უპირველეს ყოვლისა,

იმავე რეალიზმის – ერთგვარი მხატვრული დოკუმენტალიზმის და, ნურც ამ სიტყვის შეგვემინდება, ნატურალიზმის გზა.

ნატურალიზმი, არა როგორც ლიტერატურული მოძღვრება, არამედ, როგორც გარკვეული სტადია მხატვრული დაოსტატების გზაზე, სანაგვე ყუთში გადასაგდები სიტყვა არ არის! მწერლის მიერ სინამდვილის ემპირიული შესწავლა, მოვლენათა ფხიზელი, დაკვირვებული კვლევა, ჯიუტი სიყვარული ცხოვრებისეული ფაქტისადმი ან, როგორც გასულ საუკუნეში ამბობდნენ, „ნატურის ერთგულება“, აუცილებელი საფეხურია დიდი პროზისკენ მიმავალ გზაზე.

ამას თითქოს გუმანით ხვდებოდა ჩვენგან უდროოდ წასული სრულიად ახალგაზრდა მწერალი გურამ რჩეულიშვილი, როდესაც, მიუხედავად თავისი არაჩვეულებრივი შემოქმედებითი ტემპერამენტისა, ასე ხაზგასმით მიმართავდა ნარკვევის, მხატვრული რეპორტაჟის, დოკუმენტური ესკიზის მკაცრ ფორმას. უნივერსალურ ფსიქოლოგიურ ტილოებს რუსეთსა და ევროპაში ხშირად წინ უძღოდა წმინდა დოკუმენტური ლიტერატურა, ე.წ. ფიზიოლოგიური ნარკვევი, სოციალური ეტიუდები, ჩანახატები ნატურიდან და სხვ.

შემთხვევითი არ არის, რომ თანამედროვე ქართულ ბელეტრისტიკაში დღეს ესოდენ ვრცელ ნაკადად შემოიჭრა ე.წ. ავტობიოგრაფიული თემა.

პირადი გამოცდილება მწერლისათვის ყველაზე უტყუარი მასალაა სამყაროს საკუთარი მხატვრული მოდელის ასაგებად. ყველა სხვა გზა სქემატიზმის ათასი ცდუნებით არის სავსე.

სხვა საკითხია, თუ რამდენად მდიდარია ეს გამოცდილება, რამდენად საკმარისია იგი მწერლისთვის ნამდვილად დიდმნიშვნელოვანი დასკვნების გასაკეთებლად.

მკითხველი: – ლიტერატურაში არსებობს ერთი საზომი, რომელიც მკითხველს ქვეცნობიერად იზიდავს ან აშორებს მწერლისგან.

ეს არის სტილის ორგანულობა. გამონახატვის ფორმა უეჭველობის, აუცილებლობის სრულ ილუზიას უნდა ინვევედეს ჩვენში. როგორც კი ეს პირობა დაირღვევა, მკითხველი შინაგან ნდობას კარგავს მწერლისადმი.

სტილის ორგანულობა ყველაზე იოლად მისაღწევი ამოცანაა, როცა ნაწარმოებს საფუძვლად უდევს ჩვეულებრივი, მართალი ამბავი, ემპირიული სინამდვილის ცოცხალი ნამსხვრევი.

როდესაც ხელოვნება არაჩვეულებრივის სფეროში გადადის, აქ მხოლოდ ერთეულებს შესწევთ ძალა უეჭველობის ილუზიის შესანარჩუნებლად.

დამახასიათებელია, რომ ამ მხრივ ახალგაზრდა ქართველი პროზაიკოსებიდან ყველაზე მეტად უჭირთ იმათ, ვინც ქართული მწერლობისთვის უჩვეულო მხატვრული აზროვნების ფორმებს მიმართავს.

გურამ რჩეულიშვილმა მეთასედიც კი ვერ გააკეთა იმისა, რისი გაკეთებაც შეეძლო. და მაინც, თავისი წასვლით საგრძნობი სიცარიელე დაგვიტოვა. რადგან სწორედ მის უჩვეულო ნიჭს, შემოქმედის ჯიუტ, შეუპოვარ ვნებას შეეძლო უეჭველობად ექცია ის, რაც ჩვენს მკითხველს დღეს ყველაზე უცხო და საეჭვოდ ეჩვენება ქართულ ლიტერატურაში.

გურამ რჩეულიშვილის თანატოლი მწერლობაში, დაახლოებით მასთან ერთად მოსული ახალგაზრდა პროზაიკოსი გურამ გეგეშიძე ბევრად უფრო რთულ მდგომარეობაში მოექცა. მისი გზა ქართულ მწერლობაში ყვავილებით არ ყოფილა მოფენილი.

უკანასკნელ დროს გამოქვეყნებულ მოთხრობებშიც მწერლის ნიჭი და ოსტატობა ძალზე არათანაბრად მჟღავნდება. მაგალითად, „მზეა, თბილა“ (ასე ეწოდება მისი მოთხრობების უკანასკნელ კრებულს) მეტად უღიმღამო შთაბეჭდილებას ტოვებს. წერის მანერა აქ აშკარად ზერელეა და ამის გამო მანერულობის ელფერი დაჰკრავს.

სამაგიეროდ „ეშმაკის მოსახვევი“ გურამ გეგეშიძის ნამდვილი წარმატებაა და, მე მგონი, ამისი ერთ-ერთი მიზეზი ისიც არის, რომ სწორედ ამ მოთხრობაში შეძლო ახალგაზრდა პროზაიკოსმა გამოხატვის ორგანულ ფორმებთან მიახლოება.

არჩილ სულაკაურმა უკვე გაიარა თავისი შემოქმედებითი ბიოგრაფიის ყველაზე სახიფათო მონაკვეთი. ამ გზაზე იყო მნიშვნელოვანი გამარჯვებებიც და არანაკლებ ნიშანდობლივი ჩავარდნებიც, რაც მწერალს ჩვეულებრივ თან სდევს საკუთარი ფორმის ძიებისას. მხატვრის ცხოვრებაში ეს ძიება არასოდეს არ მთავრდება.

მე ვფიქრობ, რომ მხატვრული აზროვნების ის თავისებური, სიმბოლიკური ფორმა, რომელიც განსაკუთრებით მკაფიოდ და შთამბეჭდავად არჩილ სულაკაურის პირველ მოთხრობაში („ტალღები ნაპირისკენ მიისწრაფიან“) გამოიქვანდა, შემთხვევითი გატაცების ნაყოფი არ იყო და ამის გამო უთუოდ გარკვეულ ზემოქმედებას მოახდენს მწერლის შემდგომ მუშაობაზე. თუმცა ამჟამად, განსაკუთრებით უკანასკნელ რომანში („ოქროს თევზი“) არჩილ სულაკაური პირველ რიგში წმინდა რეალისტურ ამოცანებს ისახავს და უფრო სტაბილური ფორმით კმაყოფილდება.

ახალი თაობის ქართველი პროზაიკოსებიდან „ფორმის ორგანულობას“ შედარებით სწრაფად მერაბ ელიოზიშვილმა და რეზო ჭეიშვილმა მიაღწიეს (უკანასკნელმა განსაკუთრებით ბოლოდროინდელ მოთხრობებში, რომლებშიც, გარდა ამ თვისებისა, უკვე მკაფიოდ გამოკვეთილი დამოუკიდებელი სტილიც უნდა აღინიშნოს).

თამაზ ჭილაძე ამ მხრივ ორიგინალური გზით მიდის, მაგრამ მისი მოძრაობის მიმართულება ზოგჯერ პირდაპირ საწინააღმდეგოა მიზნისა. მიდრეკილება დიდი მხატვრული განზომილებებით აზროვნებისკენ, წმინდა ლიტერატურული განყენების, თუ გაუცხოების მძაფრი სურვილი ძალიან ხშირად ექცევა წინააღმდეგობაში ჩვეულებრივ მოვლენათა თითქმის ზუსტად გადმოღებულ ასლებთან, უფერულ ყოფაცხოვრებით დეტალებთან. ამ ხერხს მწერალი შეგნებულად მიმართავს, მაგრამ თანამედროვე მკითხველის თვალში ეს ჯერჯერობით ხელოვნური, არაკანონზომიერი მთლიანობის შთაბეჭდილებას ტოვებს. შესაძლოა იმ შინაარსს, რომელსაც თ.ჭილაძე გამოხატავს, უფრო ბასრი, უფრო გამახვილებული კონტურები ესაჭიროება, ან პირიქით, იქნებ ის მასალა, რომელიც მწერალს იზიდავს, თავისი ბუნებით წინააღმდეგია ყოველგვარი ძალდატანებისა, რაც კი წმინდა იმპრესიონისტული ხატვის ფარგლებს სცილდება. ცხადია, ამ კითხვაზე მხოლოდ თვითონ მწერალს შეუძლია პასუხის გაცემა.

ფორმისა და შინაარსის მყარ მთლიანობას ახალი თაობის ქართველ პროზაიკოსთა შორის ყველაზე უბრალოდ მაინც ნოდარ დუმბაძემ მიაღწია. მან სრულიად უბრალოდ, თითქოს პირველივე სიტყვიდანვე დაარწმუნა მკითხველი მის მიერ დახატული სინამდვილის რეალობაში. ამაში, ცხადია, ერთდროულად მონაწილეობდა როგორც მწერლის თანდაყოლილი ნიჭი, ისე თავისებური ოსტატობაც.

მწერალი: – ნოდარ დუმბაძის წარმატება მხოლოდ ამით არ არის გამოწვეული. „მე, ბებია, ილიკო და ილარიონის“ ავტორმა სულ რამდენიმე წელში დაიპყრო ქართველი მკითხველი. ახლა მას ჩვენი ქვეყნის გარეთაც აღიარებენ. ეს უბრალო ამბავი არ არის. როგორც ჩანს, ადამიანებს, ყოველ შემთხვევაში, თანამედროვე მკითხველი მასის მნიშვნელოვან ნაწილს, დღეს განსაკუთრებით იზიდავს ის, რაც ძალდაუტანებლად გამომდინარეობს ცოცხალი ადამიანის სადა, უბრალო, ადამიანური ბუნებიდან.

ეს იმასაც ნიშნავს, რომ ფანატიზმმა ჩვენს დროში საბოლოოდ გაიტეხა სახელი არა მხოლოდ ფილოსოფოსთა წრეებში, არამედ უბრალო ადამიანთა თვალშიც.

დემაგოგიის ძონძებში გახვეული ფანატიზმის საზიზღარ სახეს საბოლოოდ აეხადა ნილაბი უკანასკნელი ომის დროს, როდესაც ცივილიზაციის გადასარჩენად მოვლენილი „რაინდები“ გაზის კამერებში გუდავდნენ თოთო ბავშვებს. მისი შემზარავი აჩრდილი დღეს თავს ადგას შვიდას მილიონიან ქვეყანას და ყოველ წუთში მზად არის, დამლუპველ ქაოსად აქციოს ბრმა სიძულვილით გამძვინვარებული მასა.

მე მინდა დავუჯერო ნოდარ დუმბაძეს და ვინამო, რომ თანამედროვე ახალგაზრდა ქართველი კაცი ასე საღია თავისი შეგნებით, ასეთი რწმენით უყურებს მომავალს, რომ მან არ დაკარგა სიცოცხლის გემო და ხალისი, არ დაივიწყა თავისი ქართველობა.

საქართველო მარტო დედაქალაქის სათბურებში გაზრდილი ახალგაზრდობის იმედით ვერ იარსებებს. მისი მომავალი სტუდენტურ საერთო საცხოვრებლებშია, ქვეყნის წიაღიდან მოსულ თოხს მონყვეტილ გულუბრყვილო ბიჭებში. ეს არის ჩვენი ეროვნული ცხოვრების ხვალისდელი დღე და მას განსაკუთრებით უნდა გავუფრთხილდეთ.

სინამდვილე, რომელსაც ნ.დუმბაძე ხატავს, დღევანდელი საქართველოს ნათელი სახეა – ცოტა იდეალიზებული, რასაკვირველია, მაგრამ მიმზიდველი თავისი ზნეობრივი სინამდვილით.

„გაუმარჯოს ზურიკელას!“, გაუმარჯოს ახალგაზრდა ქართველ ადამიანს, თუ ის მართლა ასე მშვენიერია, ასე მრთელია, ასე მხნე და იმედიანი!

ნოდარ დუმბაძე მე სერიოზულ მწერლად მიმაჩნია, ისეთ მწერლად, რომელმაც დროთა განმავლობაში ხელუხლებელ ზოგიერთ მტკივნეულ თემასაც შეახო ხელი და ამის გამო არ შემოძლია ერთი ეჭვი არ გამოვთქვა.

აქვს თუ არა დღევანდელ ქართველ მწერალს, მიუხედავად მისი ბუნებრივი ნიჭის რაგინდ-რაგვარი თავისებურებისა, ოდნავ მაინც შეარბილოს, გაამარტივოს ის მწვავე საკითხები, რომლებიც სწორედ დღეს ასე მტკივნეულად ამოტივტივდა მის თანამედროვეთა შეგნებაში.

სიმართლის, ორგანულობის, შინაგანი სინრფელის ილუზია ნ.დუმბაძის შემოქმედებაში თითქმის მთლიანია. მაგრამ არის თუ არა ჭეშმარიტი რეალობა, თუ ისევ მხოლოდ ნახევარი სიმართლეა, მშვიდი სიამის მომგვრელი, შემსუბუქებული სინამდვილე?

ნოდარ დუმბაძის გმირი მის ბოლო რომანში მთელი თაობის სახელით გვანდობს თავისი ცხოვრების ამბავს. ეს ბიჭი ჩვენ თვალწინ დავაჟაკადა, ჩვენ თვალწინ ისწავლა წერა-კითხვა, მეგობრობა, სიყვარული, ტკბილი ოცნება. ოდესმე ის ალბათ ნამდვილ ფიქრსაც ისწავლის.

მკითხველი: – სიმართლე ჰაერივით სჭირდება დღევანდელ ქართულ მწერლობას. სიყალბემ, ხელოვნურობამ, ცრუ პათეტიკამ თითქოს სამუდამოდ ამონურა თავისი თავი. ამას ახლა ე.წ. პლაკატური სტილის ზოგიერთი გუშინდელი მქადაგებლებიც კი აღიარებენ.

ინერციის ძალა მეტად დიდი ძალაა ხელოვნებაში. მაგრამ დროს მაინც თავისი გააქვს. ამაში ჩვენ ყოველდღე გვარწმუნებს ჩვენი ცხოვრების, შესაძლოა, ჯერ კიდევ ზერელე, მაგრამ მაინც ნიშანდობლივი ფაქტები.

ამის ნიშანს იძლევა, კერძოდ, ჩვენი თეატრისა და კინოს დღევანდელი ყოფა. მაგალითად, ის, რაც დღევანდელი რუსთაველის თეატრში ხდება, „მართალი ინტონაციისათვის“, ბუნებრივი რეალისტური სტილის დამკვიდრებისთვის ჯიუტი ბრძოლაა.

მწერალი: – ზოგს ვერ გაუგია, რომ ამ თეატრმა – ე.ი. ცოცხალი ადამიანებისგან შემდგარმა დასმა და არა აბსტრაქტულმა წარმოდგენამ რუსთაველის თეატრზე, როგორც ტრადიციების რალაც უცვლელ კომპლექსზე – უარყო არა ე.წ. ჰეროიკულ-რომანტიკული სტილი, რომელიც თავის დროს ასევე ცოცხალმა ადამიანებმა შექმნეს თავისი ნიჭისა და ტემპერამენტის მიხედვით,

არამედ ამ სტილის ეპიგონური პროფანაცია, ის აუტანელი სიყალბე, რომელშიც ეს სტილი დროთა მანძილზე გადაიზარდა.

რუსთაველის ახლანდელ თეატრს ჰყავს თავისი მონინააღმდეგეები, რომლებიც ზოგჯერ თეატრის სერიოზულ ჩავარდნებში თავიანთი პრინციპული პოზიციის გამართლებას ხედავენ, მაგრამ მას ჰყავს ერთი ძლევამოსილი მოკავშირე. ეს არის დრო, თანამედროვე მაყურებლის ბუნებრივი მოთხოვნილება, რითაც ამ თეატრის ახალი მიმართულება განისაზღვრა და რამაც, წესით, ნამდვილ გამარჯვებამდე უნდა მიიყვანოს იგი.

მკითხველი: – სიმართლეს, ერთგული მეგობრების გარდა, დაუძინებელი მტრებიც ჰყავს. ზოგიერთებს სიმართლის მოთხოვნილება ადამიანის რალაც საეჭვო თვისებადაც მიაჩნიათ. არსებობს სხვადასხვა დროს შემუშავებული ათასნაირი თვალსაზრისი იმის შესახებ, თუ როგორ „ვნებს“ სიმართლე ადამიანს, მის საზოგადოებრივ ინტერესებს და ა.შ. არსებობს ამ სიტყვის დასამცირებლად გამოგონილი მრავალი ეპითეტი: „პატარა“ სიმართლე, „წვრილმანი“ სიმართლე, „უმიზნო“ სიმართლე და სხვ.

ერთმა რუსმა პოეტმა ამას წინათ მოულოდნელი ბრალდება ესროლა თავის კოლეგებს:

Эка  
Правдолюбцами рядятся,  
На поклон идут к врагам страны.  
Власовцы духовные родятся!  
Мужики  
Об этом знать должны.

ამ სიტყვებში ყველაზე სიმპტომატურია ფსიქოლოგიური ქვეტექსტი. როგორც ჩანს, საბჭოთა მწერლობაში კიდევ დარჩნენ ადამიანები, რომელთაც სიმართლის ერთგულება მოღალატეობის სინონიმად მიაჩნიათ.

ახალგაზრდა რუსი კრიტიკოსი ლ.ანინსკი სამართლიანად შენიშნავს ამ ლექსთან დაკავშირებით რუსულ „ლიტერატურულ გაზეთში“:

«Отвечать на подобные определения – значит самому унижаться до их языка, и слава богу, наше время позволяет игнорировать подобные наскоки – все это вне поэзии»!..

დიალ, საბედნიეროდ, ყოველივე ეს უკვე პოეზიის, საერთოდ, მწერლობის გარეშე დგას. ლიტერატურის გარეშევე რჩება ჩვენს დროში ყველაფერი, რაც დემაგოგიის ან ფსევდოპრინციპულობის საშუალებებით ცდილობს იმის გადარჩენას, რაც საღად მოაზროვნე ადამიანთა თვალში კარგა ხანია აშკარა სიყალბედ და ანაქრონიზმად იქცა.

სიმართლე ცოცხალ, უტყუარ საბუთებს მოითხოვს. შემთხვევითი არ არის, რომ დღეს სულ უფრო ძნელი ხდება თანამედროვე აუდიტორიის წინაშე მსჯელობის აქსიომატური სტილის შენარჩუნება. რკინაბეტონისებური ფრაზეოლოგია უკვე ვალარ უძლებს ცოცხალი აზრის მოძალებას და მის ყრუ კედლებში სულ უფრო ღრმა ბზარები ჩნდება.

არსებობს მოვლენები, დროის მანიშნებელი ფაქტები, მისწრაფებები, რომელთა შეჩერება თითქმის შეუძლებელია.

ჩვენ ვერც კი ვამჩნევთ, როგორ შეიცვალა უკანასკნელი წლების მანძილზე არა მხოლოდ ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების, არამედ ყოველდღიური ყოფის იერიც.

არის დეტალები, რომლებიც ჩვენმა თვალმა და შეგნებამ უკვე შეითვისა, ისინი თითქოს ჩვენი ყოფა-ცხოვრების განუყოფელ ნიშნებად იქცნენ.

ის, რომ, მაგალითად, თბილისის მშვენიერ ბაღებს შემოანგრის მძიმე ქვის კედლები, რომლებიც ათეული წლების მანძილზე ფარავდნენ ამ მშვენიერ სანახაობას „უბრალო მოკვდავთა“ თვალთაგან, ის, რომ ჩვენს ქალაქურ შენობებს მძიმე ალაყაფის კარების ნაცვლად შუშის მსუბუქი, გამჭვირვალე შესასვლელები გაუკეთდა, ის, რომ საზეიმოდ განყობილ სცენაზე დღეს სულ უფრო იშვიათად შეხვდებით ნაფტალინის სუნით გაჟღენთილ ხავერდსა თუ ფარჩებში ჩაფლულ უშველებელ მაგიდებსა და პომპეზურ ტრიბუნებს – ყოველივე ეს შემთხვევითი ნვრილმანები არ არის.

ეს ჩვენი სულიერი ყოფის, მისი ბუნებრივი მიმართულების თავისებური ანარეკლია და თავის მხრივ უკუზემოქმედებასაც ახდენს ადამიანთა შეგნებაზე. ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრებას თანდათან სცილდება პატრიარქალური კარჩაკეტილობის იერი, თითქოს დღითი დღე შიშვლდება, თავისუფლდება იმ უსარგებლო ჯავშნისაგან, რომელიც ატავიზმის ძალით არსებობდა დროთა განმავლობაში, როგორც გადაულახავი ჯებირი ცოცხალ ადამიანთა, ერთი და იმავე საზოგადოების სწორუფლებიან წევრთა შორის.

როდესაც დღეს ჩვენ ახლო წარსულის ამ უიმედოდ დრომოჭმულ ატრიბუტებს ვაბარებთ მიწას, ჩვენ მათ მხიარული პროცესით მივაცილებთ უკანასკნელ გზაზე. თუმცა, რა დასამალია, ზოგიერთის თვალზე მდულარე ცრემლების ნაშთსაც ვამჩნევთ. მათი სინანული მხოლოდ და მხოლოდ აორკეცებს ჩვენს იმედებს!

მწერალი: – ადამიანს გაკვირვების გრძნობა აკლია ყველაზე მეტად. ჩვენ ხშირად ვერ ვგრძნობთ, რომ როცა დღეს ქართველი კაცი ქართულ კულტურაზე, ქართული მწერლობის ანმეოსა და მომავალზე მსჯელობს, ეს თითქმის სასწაულს უდრის.

ზოგიერთი ჩვენგანი ძალზე შეეჩვია წუნუნს რაღაც დაუძლეველ ობიექტურ პირობებზე. წუნუნის პოზიცია მეტად მოსახერხებელია საკუთარი უმწეობის დასაფარავად და ჩვენ ზოგჯერ ვერ ვხვდებით, რა დიდი პასუხისგება დაგვაკისრა ჩვენმა დრომ.

განა არ არის უდიდესი ბედნიერება, რომ XX საუკუნის 60-იან წლებში კიდევ არსებობს ისტორიის მიერ ასე უწყალოდ ნაგვემი, საუკუნეების მანძილზე უიმედოდ განწირული, დაქსაქსული, გზადაკარგული, სვედანყევლილი პატარა ერი, რომ მან შეინახა არა მხოლოდ თავისი ეროვნული ორგანიზმი, არამედ სულიერი თვითმყოფობაც.

რომ არ ახდა ჩვენი საუკუნის დასაწყისში მოხუცი მგოსნის მიერ ნათქვამი საშინელი სიტყვები:

შენც მიდიხარ, მეც მივდივარ,  
გეთხოვები, საქართველო!..

არსებობს არა მხოლოდ ქართველობა, არა მხოლოდ ქართული სიტყვა, არამედ ქართული მწერლობაც და ახალ საქართველოს, რომლის ცხოვრებასაც ეს მწერლობა გამოხატავს, მალე ნახევარი საუკუნე შეუსრულდება.

ჩვენ ამ ახალი ქვეყნის ღვიძლი შვილები ვართ და ჩვენი ვალია დავამტკიცოთ, რომ ის არსებობის ღირსია, რომ ქართული მწერლობა ფიქცია არ არის, რომ ამ სიტყვებში არის ღრმა შინაარსი და ვისაც მართლა სწამს მისი, ის მთელი თავისი არსებით აგებს პასუხს ყველაფერზე, რასაც ეს სიტყვები ნიშნავს.

წუნუნის პოზიცია მხდლების პოზიციაა, რადგან იგი, ისევე როგორც ბრიყვული თვითკმაყოფილების გრძნობა, ნებისყოფას გვიდუნებს და ხელს გვიშლის მაქსიმალურად გამოვიყენოთ ყველა ობიექტურად არსებული საშუალება გადარჩენილის შესანარჩუნებლად, ჩვენი ეროვნული არსებობის უმნიშვნელოვანესი საყრდენების განსამტკიცებლად.



ჩვენ ვცხოვრობთ სამოციან წლებში. ლიტერატურა, რომელიც დღეს იქმნება, ქართული მწერლობის ისტორიაში შევა, როგორც მისი განვითარების გარკვეული პერიოდი, როგორც სამოციანი წლების ქართული ლიტერატურა. ასე წლის წინ დიდმა ქართველმა სამოციანელებმა ჩვენს მწერლობაში შემოიტანეს ბასრი, უკომპრომისო სიმართლის სუნთქვა. ქართველ ხალხს მათ უთხრეს ბევრი მწარე ჭეშმარიტება, გააღვიძეს მისი მოდუნებული შეგნება და ნებისყოფა, სამუდამოდ დაამსხვრიეს მისი ცრურწმენები და შინზრდილი ილუზიები.

მას შემდეგ ბევრი რამ შეიცვალა ჩვენს ცხოვრებაში, საშინელება იქნებოდა ტრადიცია დოგმად გვექცია. მაგრამ ილიას მიერ დამკვიდრებული სიმართლის დიდი სკოლა კვლავ შთამაგონებელ მაგალითად რჩება ქართული მწერლობისთვის და სრულ აღორძინებას მოელის ჩვენს დროში.

შეიძლება ერთმა თაობამ ვერ შეძლოს ამ საპატიო მისიის ასრულება, შეიძლება მან მხოლოდ ნაგავი მოუმზადოს მომავალს. მაგრამ ესეც ხომ დიდი საქმეა.

მე მინდა, ჩემი სიტყვა ოპტიმისტური ნატვრით დავამთავრო. მინდა იმედი გამოვთქვა, რომ მთავარი გეზი, რომელიც სამოციანი წლების ქართულმა ლიტერატურამ აიღო, არ გამრუდდება, რომ სამოციანი წლების დასასრულს ჩვენი მწერლობა მიაღწევს იმ დონეს, როდესაც ყოველი ყალბი სიტყვა, ყოველგვარი ლიტერატურული ფარისევლობა ყურისმომჭრელ დისონანსად მოხვდება მკითხველის სმენას, როდესაც სიტყვა „რეალიზმი“, რომელიც ჩვენი მწერლობის ძირითად მხატვრულ მეთოდად არის აღიარებული, წარმოითქმება მხოლოდ თავისი რეალური მნიშვნელობით.

1967 წ.

### სამი საღამო დემნა შენგელაიასთან

სექტემბრის დამლევადან სასწაულებრივი ამინდი დგას თბილისში, ირგვლივ ყველაფერი მზით და მზისადმი უსაზღვრო ნდობითაა სავსე, ყველაფერი კრთის, ციმციმებს, ალერსად იღვრება.

მაგრამ საკმარისია ერთი ზენა ქარი და შემკრთალ ქალაქს მშიერი ურჩხულებივით წაადგებიან დიდი ღრუბლები, ერთ დღეს წაადრევად მოსაღამოვდება, უჩვეულო მწუხრი დაისადგურებს ქუჩებში და მაშინვე იგრძნობ, რომ ზაფხული უკვე გათავდა.

ხვალ შეიძლება ისევ დათბეს, ყველაფერი თავიდან აელვარდეს, კვლავ ალერსიანი შუქით აენთოს, მაგრამ ზაფხული უკვე გათავდა... და მარჯანიშვილის ქუჩაზე ჩამწკრივებული ჭადრის ხეები, რომელთა მზერას მოულოდნელი სიმკაცრე დაეცყო, საავდრო ფიქრებისთვის ემზადებიან.

ასეთ საღამოს კარგია ძველ მეგობართან მისვლა.

ხოლო თუ ის შენი საყვარელი თანამოსაუბრეა, რომლისგანაც ათას, შენთვის მუდამ დაუძველებელ ამბავს მოელი, მაშინ უამინდობაც მაღლიერების გრძნობით აგავსებს.

...კარი თვითონ მასპინძელმა გამიღო. დერეფნის ბინდბუნდში ოპერაციის მერე დაზიანებული თვალებით თითქმის ვერაფერს ხედავს. სადღაც ჩემ ზემოთ იყურება, ერთი წამით შევცბი. გული მეკუმშება... მაგრამ ჩემი მასპინძელი რას დაგაცლის! არავითარი ჩივილი – ბებრული ინტონაციის ნასახიც... თქვენც ხომ კარგად მოგეხსენებათ! თითქოს ნახევარი საათის წინ შეგვეწყვიტოს მხიარული საუბარი. მეც გადამდო თავისი მოუსვენარი, ხალისიანი განწყობილება.

უკვე ოთახში ვართ.

იცის, რომ „სპეციალურად“ მოვედი და ცოტა ირონიულად მათვალისწინებ. მე, რაც უნდა დარბაისლურად მოვიქცე, მისთვის მაინც გუშინდელი ბიჭი ვარ. ამის

გამო არც ვცდილობ. საერთოდ, სიღარბაისლე ის სიტყვა არ არის, რომელიც აქაურობას შეეფერება. აქ უფრო გულითადობას და მახვილ სიტყვას აფასებენ.

გადავწყვიტე, ოთახს მოვავლო თვალი.

დემნა შენგელაიასთან გასაუბრება რედაქციამ დამავალა. მე ამ ჟანრში დებიუტანტი ვარ და საუბარი, ცხადია, არ გამოდის. ვერაფრით ვერ მოვაქციე ჩემთვის საჭირო კალაპოტში. ლიტერატურული ინციდენტებიდან პოლიტიკაზე გადავვდივით. ერთი უსიამოვნო შემთხვევის გამო მინდა ვუთხრა, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ბატონ დემნას ყველა თავისი „მტერი“ შეუმუსრავს, სათითაოდ ბღღვირი უდენია და ახლა, მგონი, ცოტათი ებრალება კიდეც.

შურისძიების წყურვილი მინელდება და ვმშვიდდები.

პოლიტიკაზე საკუთარი აზრები აქვს, საკმაოდ კატეგორიული, მაგრამ ეს ჩემი თემა არ არის...

ბეჯითად ვსწავლობ ოთახს (გამიგონია, რომ ასეთ დროს ეს აუცილებელია). აქ ბევრი საინტერესო ნივთი მეგულება, უმთავრესად ძველი, „ანტიკვარული“, არა მხოლოდ გემოვნებით, თავისებური გულისხმიერებითაც შერჩეული: ...ფერწერა, გრაფიურები, ინკრუსტაცია.

მაგრამ ახლა ჩემს ყურადღებას ორი უბრალო ფოტო იპყრობს: ლევ ტოლსტოი და ალბერტ აინშტაინი (ჩვენთვის, რასაკვირველია, „ეინშტეინი“).

– მოგნონს, არა? – მეუბნება ბატონი დემნა, – ხო იცი, როდის არის გადაღებული, ამერიკაში რომ ჩავიდა პირველად, ევროპიდან გამოქცეული. მთელი ქალაქი ფეხზე დგას, ეს კი ბაღში გამოპარულა და მოჩანჩურობს თავისთვის.

მართლა „მოჩანჩურობს“ ეს ბებერი ემმა (ამ სურათში ტყუპისცალივით ჰგავს პავლე ანტოკოლსკის), ძველებურ ლაბადაში გახვეული, რომელიც ტომარასავით ჰკიდია მხრებზე. მართლა რა ემმაკური გამომეტყველება აქვს! თითქოს ეს ნუთია ზედ ეშაფოტიდან დაუძვრა ჯალათებს.

ბატონი დემნა კიდეც უფრო გამხიარულდა. მთელი სახე უცინის და – ისევე როგორც მოგვიანებით ჩეხოვზე – თითქოს თავის ახლობელზე ჰყვებაო, ცოცხალი თანაგრძნობით მაუწყებს ამ ამბის დეტალებს. ბოლოს ეს მხიარულება აღფრთოვანებაში გადადის.

– რა დიდი ხალხი მოდიოდა მე-20 საუკუნეში! რა აღმავლობა იყო მეცნიერებაში, მუსიკაში... ვინ შეაჩერა? მე მგონი, პირველ რიგში, ჰიტლერმა, თუმცა სხვებსაც არ დაუკლიათ ხელი.

ბოლოს მაინც ვცაადე, ჩემი გავიტანო.

– ბატონო დემნა, მოგეხსენებათ, ამ ბოლო დროს „ლიტერატურნაია გაზეტას“ ფურცლებზე დიდი დავაა თანამედროვე პროზის შესახებ. ჩემი აზრით, საინტერესო დისკუსია მიმდინარეობს. კერძოდ, ლაპარაკია ე.წ. ლირიკული პროზის შესახებ. ეს საკითხი ახლა ყველას ანუხებს. მე მგონი, ქართულ მწერლობაშიც საკმაოდ მწვავედ დგას ლირიკული პროზის პრობლემა. კარგი იქნება, თუ ჩვენი საუბრის რდოს ამ საგანსაც შევეხებით...

ბატონი დემნა თვალებს წკურავს, რაც იმას ნიშნავს, რომ სერიოზული საუბარი გადაწყვიტა.

– იცი, რა უნდა გითხრა. მეც ვიფიქრე ამაზე (შენ ხომ იცი, ხანდახან მეც ვფიქრობ!). იმდენი მტკივნეული პრობლემაა დღევანდელ სამყაროში, რომ ეპიკა ველარ ახერხებს მათზე პასუხის გაცემას.

მოვლენებიც... რა არ ხდება ყოველ ნუთს ჩვენში, ჩვენ ირგვლივ. რა ამბებია, რამხელა მოვლენები! ისინი რომ ეპიკურად აღწერო, ტომები არ გეყოფა. ლირიკული პროზა ჩვენი საუკუნის ღვიძლი პირმშოა. ისეთმა დიდმა ეპიკოსმაც კი, როგორც ლევ ტოლსტოი იყო, ბოლოს ლირიკულ პროზას მიმართა (ატყობს, რომ გამიკვირდა). «Крейцерева соната» ამაზე უფრო ლირიკული პროზა არ წამიკითხავს.

ვგრძნობ, რომ უნდა შევეკამათო (ასეთია ჩემი როლი), მაგრამ ახლა მისი მიმიკა და მსჯელობის სტილი უფრო მაინტერესებს, ვიდრე სიტყვების შინაარსი.

უფრო გვიან მაგონდება ლოურენს სტერნი, რომელმაც თავისი „სენტიმენტალური მოგზაურობა“ (ლირიკული პროზის ქრესტომათიული ნიმუში) XVIII საუკუნეში დაწერა და კოლუმბიელი მწერალი გაბრიელ გარსია მარკესი, რომლის სახელი ჩვენს დროში სწორედ კლასიკური ეპიკის („მარტოობის ასი წელი“) მეოხებით გახმაურდა. აი, ჩემი შეხედულების დედააზრი:

– ახლა ერების გამოფხიზლებისა და თვითგამორკვევის ეპოქაა, ეროვნული თვითშეგნება განსაკუთრებით გამძაფრებულია. ეს ინვესს ეროვნული ეპოპეის შექმნის აუცილებლობას. ცხადია, იგი განსხვავებულია ანტიკური და შუასაუკუნეობრივი ეპოსისაგან, მაგრამ არსებითად ესეც ეპიკაა...

აღმოჩნდა, რომ ბატონ დემნას ნაკითხული არა აქვს მარკესი. ამაში იგი უმაღვე მიტყდება და მე სინდისის ქენჯნას ვგრძნობ, რადგან უფრო ადრე, როდესაც ის თავისი ბავშვობის საყვარელ მწერლებზე მელაპარაკებოდა, ზოგიერთი უცნობი ან ყურმოკრული სახელის გაგონებისას ღრმააზროვანი დუმილი ვარჩიე.

მარკესის ბიოგრაფიამ უცებ ააღელვა და აი, რას მეუბნება:

– ხომ იცი, მე მგონია, ერთ ჩვენს ახალგაზრდა ავტორსაც ასეთი რამ შეიძლება მოუვიდეს. იმდენს წვალობს, რომ შეიძლება ბოლოს მაგანაც მიაგნოს თავის თემას („ოქროს ძარღვს“) და ყველანი განგვაცვიფროს. შენ წარმოიდგინე, მე სწორედ ასე ვფიქრობ.

ჰო, მარკესი... მითხარი, მითხარი, რომელ ნომრებშია დაბეჭდილი. მართლა, ბიჭო? (მე ვეუბნები, რომ დიდი სიამოვნება მოელის) უჰ, უჰ! აუცილებლად წავიკითხავ, თუმცა მიჭირს, ძალიან მიჭირს კითხვა. აი, ბუნინს ხშირად ვკითხულობ, იმიტომ რომ მსხვილი შრიფტითაა აწყობილი.

ცოტა დაეჭვებულია. მაგრამ მომავალი სიამოვნების მოლოდინი აშკარად აღაფრთოვანებს. სხვა დროს უთქვამს: რა ჯობია კარგი წიგნის ნაკითხვას? – ჩემს ასაკში – არაფერი!

– ჩვენ რომ უფროსი კლასის მონაფეები ვიყავით, მთელი იმდროინდელი მსოფლიო ლიტერატურის კურსში ვახერხებდით ყოფნას (აი, აქ ასახელებს ავტორებს, რომლებიც ჩვენში მოგვიანებით აღარ გამოცემულან და ჩემი თაობისთვის, არსებითად, ხელმიუწვდომელი გახდნენ). ბევრი რამ ხელნაწერებიდანვე ითარგმნებოდა რუსულად. ჩვენ თითქმის ყველაფერი ვიცოდით, რითაც იმდროინდელი მსოფლიო სუნთქავდა. სამწუხაროდ, დღევანდელ ლიტერატურულ ახალგაზრდობას ეს თვისება აკლია. უფრო ადვილად წერენ, ვიდრე კითხულობენ. ზოგმა მარტო წერა იცის, კითხვა კი დაავიწყდა ან საერთოდ არ უსწავლია.

მე აქ შევნიშნავ, რომ ჩვენმა ახალგაზრდობამ ახლა გაცილებით მეტი იცის უცხოეთის თანატოლ მწერლებზე, ვიდრე წინა თაობის ქართველმა ლიტერატორებმა იცოდნენ თავიანთი ასაკის საზღვარგარეთელი ავტორების შესახებ.

– შენ ვერ გამიგე, – მეუბნება ბატონი დემნა.

– უცხოელებიდან ჩვეულებრივ მხოლოდ თანამედროვე მწერლებს ეტანებიან, მოდურ ან მოდერნულ ლიტერატურას. კლასიკური ფუნდამენტი არ გააჩნაით, აი, რა! ამის გარეშე კი ყველაფერი ჰაერში გამოკიდებული რჩება. აპდაიკი! ვინ არის აპდაიკი? არ მესმის, რას ჩააცვიდნენ. ჯერ ხეირიანად არც კი მოჩიტიებულა... თუ თანამედროვე პროზაიკოსმა კლასიკური პროზა არ იცის, შორს ვერ წავა.

მე ვითომ ვერ ვამჩნევ, როგორ შეიცვალა ახალგაზრდობის „მხილების“ რაკურსი და მორჩილად კვერს ვუკრავ. მე თვითონაც ხშირად გავუკვირვებოვარ ამ გარემოებას (ნაკითხობის ცალმხრივობას). ზოგ ახალგაზრდა მწერალს, რომელმაც ზედმინევით იცის აპდაიკის, ფრიშის ან სელინჯერის შემოქმედება, მეტად ბუნდოვანი წარმოდგენა აქვს ფილდინგზე, რაბლეზე, დიკენსზე.

ვთანხმდებით, რომ ახალგაზრდა პროზაიკოსისთვის ოსტატობის პირველი სკოლა კლასიკური პროზა უნდა იყოს.

– სტენდალი და ზოლა არ იციან, ბიჭო, წარმოგიდგენია?!

მერე სინანულით დასძენს, რომ იმ დროს, როცა მისი თაობა დასავლურ ლიტერატურას დაეწინაურდა, სტენდალი ნაკლებად იყო თარგმნილი.

უცებ მობეზრდა ეს თემა და გადანყვიტა აქეთ შემომიტიოს:

– შენ რას აკეთებ, ბიჭო? რას წერ? რას აპირებ? ხომ იცი, ქართული ლიტერატურის ისტორია ჯერ არ დაწერილა (XIX საუკუნეს გულისხმობს) ერთი კრიტიკოსი გვყავდა მხოლოდ. ისიც ისე... თავადიშვილურად, როცა მოეპრიანებოდა, მაშინ წერდა (კიტა აბაშიძის „ერთადერთობაზე“ გიორგი ლეონიძისგანაც მსმენია). ახლა როგორ წერენ ლიტერატურის ისტორიას!!! ვერ გაიგებ, რა იყო მთავარი და რა მეორეხარისხოვანი.

პირადად მე ილია ჭავჭავაძის პროზიდან მხოლოდ ორი ნაწარმოები მხიბლავს – „სარჩობელაზედ“ და „კაცია-ადამიანი?!“. პირველი – საოცარი „გლახური“ ჰუმანიზმის გამო, მეორე კი... ეჰ! ვერავის ვერ გაუგია, რომ ლუარსაბ თათქარიძე გენიალური კაცია. მე მგონი, თვითონ ილიასაც! კეთილი, უვნებელი... თავისი სიყვარული აქვს, თავისი მათემატიკა – ბუზებს რომ ითვლის! ერთი მითხარი, რითი განსხვავდება ბოლოს და ბოლოს მაგისი მათემატიკა ეინშტეინისაგან?! არ ვიცი პირდაპირ, რას ერჩიან, ვის რას უშავებს? – თავისი კოსმოგონიაც! ეს წინათაც უთქვამს, თვითონაც იცის, რომ უმონყალოდ აჭარბებს. მაგრამ ძალიან მოსწონს ეს აზრი. გადაუჭარბებლად, ყველაფერი კვაზიმეცნიერულ სიმდარედ იქცევა! –ესეც, მგონი, მისი სიტყვებია.

ასეა თუ ისე – ერთადერთი ადამიანია, რომელმაც ასე ცხადად დაინახა ლუარსაბის „სიმპათიურობა“, ის ფარული თანაგრძნობა, რომელიც მას ავტორისგან ხვდა წილად. დაინახა ის, რომ ლუარსაბი მხოლოდ კონკრეტული სოციალური წოდების გამომსახველი ტიპი კი არ არის, საერთოდ ადამიანიცაა და, ამდენად, ყველა მისი ნაკლი ადამიანურია. დაინახა ილიას ნიჭის უნივერსალური თვისება. და მე მაგონდება, როგორ მწარედ ვიტყვებ ბავშვობისას, როდესაც ლუარსაბის სიკვდილის ამბავი ნავიკითხე.

– აი, ამ ორ მოთხრობაზე ვგიჟდები. „გლახის ნაამბობი“ ნაკლებად მიზიდავს.

მე ვეუბნები, რომ ნიკო ნიკოლაძეც შედარებით დაბალი აზრის იყო „გლახის ნაამბობზე“. ამის გამო ნიკო ნიკოლაძე „უჭკვიანესი კაცის“ ეპითეტს იმსახურებს ბატონი დემნასგან.

მორცხვად ვუმხელ, რომ არ ვეთანხმები „გლახის ნაამბობის“ შეფასებაში, რომ ეს უაღრესად კეთილშობილური ნაწარმოებია, რომ ახალგაზრდობამ 14-15 წლის ასაკში სწორედ ეს მოთხრობა უნდა ნაიკითხოს, რომ ამის ნამკითხველი კაცს აღარ მოკლავს, არ გაბოროტდება, უმსგავსობას აღარ ჩაიდენს.

– რასაკვირველია, დიდად კეთილშობილური, გეთანხმები. მე მხოლოდ „შესრულება“ მქონდა მხედველობაში.

მე მაინც არ ვუთმობ: „გლახის ნაამბობი“ ისეა დაწერილი, როგორც უნდა დაწერილიყო, მსუბუქად, სადად, გამჭვირვალედ. ყველანაირ მკითხველს გაიტაცებს („მსუბუქად“ სიმონ ჩიქოვანის სიტყვაა. მახსოვს, ერთხელ ძალიან მიქო ილიას ეს მოთხრობა: „რა მსუბუქადაა დაწერილიო“. ჩვეულებისამებრ რამდენჯერმე გაიმეორა ეს სიტყვები).

ბატონ დემნას ხელჩართული პაექრობა არ უყვარს. თუ დაუჯერე, ხომ კარგი, თუ არა და, ყურდება. მოინწყენს კიდეც.

დღევანდელი საუბარი ამონურულია...

ორი დღის შემდეგ უფრო „მომზადებული“ მივდივარ. თავის სანერ მაგიდასთან ზის და მელოდება. რაღაც ხელნაწერს ჩაჰკირკიტებს. შევამჩნიე: ოთხკუთხედუჯრედებიან დიდ ფურცლებზე წერს ძალიან წვრილად. ფართო

აშეებს ტოვებს. მთელი აზრები გადააქვს და გადმოაქვს. ფურცლები მთლიანად აჭრელებულია შესწორებებით.

პირდაპირ საქმეზე გადავდივარ:

– ბატონო დემნა, თქვენი ავტობიოგრაფია თუ არსებობს სადმე დაბეჭდილი?

– არა, არასოდეს არ დამინერია.

– ერთი კითხვა მაქვს თქვენთან, უფრო სწორად – რამდენიმე ერთდროულად, როგორ მოხვედით მწერლობაში? როდის დაიწყეთ წერა? ვინ იყვნენ თქვენი პირველი მასწავლებლები? რომელი მწერლები გიყვართ დღემდე განსაკუთრებით?

– მე, ხომ იცი, მხატვარი უნდა გამოვსულიყავი. ჩემი პირველი მასწავლებელი ალექსანდრე მრევლიშვილი იყო, ცნობილი მხატვარი. თბილისის ქართულ გიმნაზიაში ის გვასწავლიდა ხატვას. სხვათა შორის, მუსიკას ზაქარია ფალიაშვილი გვასწავლიდა. მეხუთე კლასში რომ ვიყავი, მოსკოვში მიპირებდნენ გაგზავნას ხატვის სასწავლებლად.

მამაჩემს არ უნდოდა ჩემი მხატვრობა. აბა, რა შეეძლო იმ დროს მხატვარს? მასწავლებლად თუ მოეწყობოდა სადმე... და აი, ამ დროს მწერლობამ გამიტაცა. ვკითხულობდი უამრავს და მე თვითონაც ვწერდი. ადრე დავიწყე წერა. პირველი მოთხრობა 1915 წელს დავბეჭდე გაზეთ „თემში“. 18 წლის ვიყავი. მოთხრობას „ნირვანა“ ერქვა. შენ თვითონაც მიხვდები, რა შინაარსი ექნებოდა, მაშინ სიმბოლისტები მიტაცებდნენ: ვიაჩესლავ ივანოვი, ბალმონტი...

1917 წლის ივნისში მოსკოვს გავემგზავრე სწავლის გასაგრძელებლად, მაგრამ დიდხანს არ გავჩერებულვარ. ოქტომბრამდე დავბრუნდი საქართველოში.

1919 წელს გამოვაქვეყნე რამდენიმე „სიმბოლისტური“ მოთხრობა. 1924 წ. ჟურნალ „მნათობში“ დაიბეჭდა „სანავარდოც“. ცნობილი მწერალი გავხდი! „ცისფერყანწელებს“ განსაკუთრებით მოვწონდი. ერთი მათგანი ხშირად ამბობდა ჩემს მოთხრობებზე: „ხილვაა აქ!“. „რა იხილა, ბატონო?“ – განგებ აღიზიანებდა ტიცციანი.

ვგრძნობდი, რომ მისტიციზმში ვიყავი გადავარდნილი: მეტის გაძლება აღარ შემიძლო და გადავწყვიტე, ამ განცხრომიდან იუმორის საშუალებით ამოვსულიყავი. ვკითხულობდი სერვანტესს, კოსტერს.

რუსულ პროზაში მაშინ „ცემენტის“ დრო იყო. ეს სტილი ჩემთვის მიუღებელი აღმოჩნდა. მე ვწერდი „ლაფშას“ და სხვანაირად წერა არ შემიძლო. 1931 წელს დავბეჭდე „ბათა ქექია“ და თითქოს სული მოვითქვი.

აი, ამ დროს გადავწყვიტე თავი დამენებებინა მწერლობისთვის. რატომ? იმიტომ, რომ რწმენა მაკლდა. ჩემი თავის რწმენა. საერთოდ, უნდა გითხრა, რომ არც ახლა მნამს ბოლომდე ჩემი მწერლობის. ასეთი კაცი ვარ. სხვებისაც არ მნამს, მაგრამ ამას არ ვამხელ.

ჯერ „ზიფს“-ში ვსწავლობდი, მერე გეოლოგიის ინსტიტუტში გადავედი და 5 წლის კურსი 3 წელიწადში ჩავაბარე. ქეთო, ჩემი მეუღლე, მაშინ ასპირანტი იყო. ის მეხმარებოდა ქიმიკში. მე თან ვსწავლობდი, თან ვეარშიყებოდი (გულიანად გაიცინა). ასე შეიქმნა ჩემი ოჯახი. მათემატიკისადმი მიდრეკილება ბავშვობიდანვე მქონდა. ჩემი ძმა ლეო მათემატიკოსად იყო დაბადებული. მასზე დიდ იმედებს ამყარებდნენ. სამწუხაროდ, ამ გზას არ გაჰყვა. 1934 წელს, როცა დიპლომი უნდა დამეცვა (ყველა გამოცდა ჩაბარებული მქონდა), „ძალით“ დამაბრუნეს მწერლობაში, დავიწყე მუშობა „მნათობში“, ირაკლი აბაშიძე მაშინ პოეზიის განყოფილების გამგე იყო. ლევანი – მამაშენი – პასუხისმგებელი მდივანი. მე პროზის განყოფილება ჩამაბარეს.

ამ დროს დავწერე „ფიცი“, რომლის შემდეგ „ფავორში“ აღმოვჩნდი, მერე შენ თვითონ იცი...

– ბატონო დემნა, მოდით, ცოტა უკან დავიხიოთ. ერთი გარემოება მაკვირვებდა ყოველთვის. მახსოვს, რამდენიმე წლის წინ მწერალთა კავშირში

გამოსვლისას ერთ ცნობილ მწერალზე ბრძანეთ, დეკადენტი იყო. ხალხი აღშფოთდა. მაშინ თქვენ დაუმატეთ: რა მოხდა, დეკადენტობა თქვენ სალანძღავი სიტყვა ხომ არ გგონიათ, მე თვითონაც დეკადენტი ვარო. სიტყვა „ყოფილი“, ცხადია, განგებ გამოტოვეთ – მეტი ეფექტისთვის. აი, ახლა მინდა გკითხოთ, რა გიზიდავდათ სიმბოლიზმში? რა მოგცათ სიმბოლიზმმა? რატომ განუდექით სიმბოლისტებს?

– შენ შეიძლება იცი, რომ როცა ჩვენში ლიტერატურული ჯგუფები შეიქმნა (20-იან წლებში), მე მიუხედავად ცისფერყანწელების სურვილისა და ბუნებრივი მოლოდინისა, მათ ჯგუფს არ მივმხრობივარ. მემარცხენეობა ვარჩიე. ამ ნაბიჯს სხვა მიზეზებიც ჰქონდა. მაგრამ მთავარი მაინც ერთი გარემოება იყო: მართალია, მე ახალგაზრდობაში თაყვანს ვსცემდი ფრანგული და რუსული სიმბოლიზმის კორიფეებს და ბევრად დავალებულიც ვიყავი, კერძოდ, სიმბოლისტური პროზისგან – სიმბოლისტების იდეალიზმი არასოდეს გამიზიარებია, რადგან ბუნებით ყოველთვის მატერიალისტი ვიყავი. აქ უთუოდ მამაჩემის სოციალ-დემოკრატიზმამაც ითამაშა როლი, მე მუშებში ვიყავი გაზრდილი, ნაძალადევში – იმდროინდელი თბილისის ყველაზე პატრიოტულ უბანში. ამას არ შეეძლო დალი არ დაემჩნია მთელ ჩემს ცხოვრებაზე, მსოფლმხედველობაზე.

სხვათა შორის, იდეალიზმს ვერ ეგუებოდა ჩემი გიმნაზიელი მეგობარი კოტე ბაქრაძეც. ისიც ბუნებით მატერიალისტი იყო, მაგრამ ვულგარულ სოციოლოგიზმს ვერ შეეწყო და ამის გამო ლოგიკაში მონახა საფარი.

შენ ადრე მასწავლებლებზე მკითხე, ვინ იყვნენ ჩემი პირველი მასწავლებლები? რომელი მწერლები მიყვარს დღემდე ყველაზე მეტად?

როგორ გითხრა...

სხვათა შორის, უნდა იცოდე, რომ მე ლერმონტოვი უფრო მიყვარდა, ვიდრე პუშკინი. პუშკინი შედარებით გვიან შემიყვარდა. მაგრამ ეს სხვა ამბავია...

როდესაც ლაპარაკი იყო ორ თეატრზე და ამბობდნენ:

„В театре два Карла – Карло Гоцци и Карло Гольдони“.

მე რასაკვირველია, გოცის ვაძლევდი უპირატესობას. მაგრამ არც ეს არის მთავარი...

მე მუდამ მაგიჟებდა გოგოლი. აი, ჩემი პირველი მასწავლებელი და უსაყვარლესი მწერალი!

მახსოვს, როგორ გამიხარდა, როდესაც წავიკითხე, რომ ანდრეი ბელიმ ის თავის მასწავლებლად აღიარა. ბელი ხომ მაშინ ჩვენი კერპი იყო. მე გოგოლის ერთგული თაყვანისმცემელი ვიყავი ყოველთვის, მაშინაც, როცა მას ჩქმალავდნენ.

ის, რასაც გოგოლი აკეთებს, უფრო ღრმავა, ვიდრე ჩვეულებრივი რეალიზმი. გოგოლის გმირები... განა ეს ნამდვილი ხალხია? მაგრამ ეს ნამდვილზე უფრო ნამდვილია!

ასევე შეყვარებული ვიყავი ნორვეგიულ ლიტერატურაზე.

იბსენში განსაკუთრებით მხიბლავდა ის, რაც ნორვეგიული ეპოსიდან მოდის. რა ჰქვია, ბიჭო, იმ ქალს? ჰო, სოლვეიგ, სოლვეიგ! რა მშვენიერია! მე მგონი, სწორედ ეს იყო ჩემი სიყვარულის მიზეზი (თუმცა „ნორა“ და „გედა გაბლერიც“ მომწონდა).

სხვათა შორის, ჩემი პირველი მოთხრობაც ფოლკლორზე იყო დაფუძნებული.

მე ვეუბნები, რომ ხალხური სული განსაკუთრებით ძლიერად „ბათა ქექიასში“ იგრძნობა, ვუმხელ, რომ გადანყვეტილი მქონდა დამენერა წერილი სათაურით „ქებათა ქება ბათა ქექიას“.

ისე ეცინება, თითქოს მის ცოტა უღირსს, მაგრამ საყვარელ ნათესავზე ვლაპარაკობდეთ. იცინის, თვალეზე ცრემლები ადგება და უცებ თითქმის სერიოზული გაგულისებით ამბობს:

– იცი, ამ ბათამ სიცოცხლე გამიმწარა! ყველაფერი მინდა ვათქმევინო, ამას კი არ შეუძლია! ენა არ უტრიალდება. ჩემ მაგივრად ხომ არ ვალაპარაკებ? შევანჯღრევ, ძალას ვატან. თბილისში ჩამოვიყვანე, ხუცესს წიგნები მივაცემინე, რომ ცოტა გონს მოეგოს. მაინც არაფერი გამოდის. კინალამ გადამრია!

აქ მე ფრთხილად ვეკითხები, მოთხრობის დასაწყისში რომ „გადამთიელ დურგალს“ ახსენებს ბათა, კოლა ბრუნეონი იგულისხმება თუ არა.

– ჰო, რასაკვირველია, ბრუნეონია. მაგრამ, რა მექნა, პირდაპირ ხომ არ ვათქმევინებდი.

მინდა იცოდე: ეს ბათა ჩემს ოჯახში ტრიალებდა, სხვა პერსონაჟებიც: მაგალითად, ხუცესის პროტოტიპი ერთი ჩვენი ახლობელი მღვდელი იყო, გვარად ქავთარაძე, მისი ძმა ერთ დროს ლენინის მდივანი იყო. იტალიაში დაიღუპა.

ბათა ჩემი სულიდან ამოვჭერი. მაგრამ ნამდვილად სისხლი გამიშრო.

ახლა რას გეტყვი კიდევ, ამ „განძზე“ შემომიჩნდნენ. სტეინბეკი გამიხსენეს. რა გახსენება უნდა, მე თვითონ არ ვიცი? სტეინბეკზე ადრე ჯეკ ლონდონს აქვს ეს სიუჟეტი:

თუ გახსოვს?

კაცო, ამათ არ ესმით, რომ სიუჟეტები საერთოდ აღარ იშოვება. ამოიწურა! ჯერ კიდევ, ჰეი, როდის! ერთადერთი ახალი სიუჟეტის გამოგონება დოსტოევსკიმ შეძლო „კარამაზოვებში“, როცა ინსპირაციაზე ააგო თავისი რომანი. მე რა მინდოდა: მენახა, როგორ გაიშლებოდა ჯეკ ლონდონის და სტეინბეკის კონფლიქტი ჩვენს სინამდვილეში. არ ვიცი, რას მივალწიე, მაგრამ ჩემი მიზანი ეს იყო.

ეჰ, ამათ ბევრი რამ არ ესმით, მაგრამ რას იზამ!

ამას მეუბნება და თან ცოტა ეჭვის თვალთ მიყურებს, მგონი, არც შენ გესმის ბოლომდე და სხვას რა მოვთხოვო.

ამის შემდეგ საუბარი ჩვენი დროის პროზაზე გადაგვაქვს.

ჩემს კითხვაზე, თუ რა მოეწონა უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში ნაკითხულიდან, პირველ რიგში, პლატონოვს ასახელებს.

– Река Потудань... Река Потудань... – იმეორებს რამდენჯერმე.

– ბულგაკოვი ძალიან მომეწონა, ოღონდ, მე მგონი, ოდნავ ხელოვნურია.

ახალგაზრდობაზე ვეკითხები.

– აქსიონოვმა კარგად დაიწყო, ბოლო დროს კი ცოტა ზერელედ წერს.

მოულოდნელად თაროდან რამდენიმე ადგილას ქალაქით ჩანიშნული წიგნი გადმოიღო.

– აი, ჩემი საყვარელი წიგნი!

გადაშალა და მიკითხავს ბუნინის „ცივ შემოდგომას“ (1970 წ. გამოცემულ რჩეულში).

ხედავ, რა სისუფთავეა!

მე არა ვარ ასეთი მწერალი. Нагроможденный я писатель, нервный...

რა ვქნა, ვეღარ გამოვიცვლები.

ყოველგვარი შურისა და გულისტკივილის გარეშე ამბობს ამას და მე მხოლოდ ზრდილობისთვის შევნიშნავ, რომ ყველა მწერალს თავისი ბუნება აქვს და ამ ბუნების შესაფერისი სტილი.

ამის შემდეგ თანამედროვე საზღვარგარეთულ მწერლობას მივადექით. სილიტოუ, სელინჯერი, ბიოლი, რემარკი – ამათ თვითონ იგონებს. როცა თომას მანს ვუხსენებ, ხელებს შლის – რასაკვირველია, ყველაზე მაღლა დგასო. მაგრამ ყველაზე გულითადი ინტონაციით მაინც ჰემინგუეიზე ლაპარაკობს.

„იცი, რა მაგიჟებს ჰემინგუეიში? კითხულობ, კითხულობ, გგონია უბრალო ნარკვევია („ოჩერკია“) და ამ დროს ისეთ ამბებს შემოგაპარებს, ისეთ სიმდიდრეს დაახვავებს, სუნთქვა შეგეკვრება“.

მე ვახსენებ ფოლკნერის ცნობილ სიტყვებს ჰემინგუეიზე, რომ ამ უკანასკნელს არც შეეძლო და, მისგან განსხვავებით, არც უცდია თავის თავზე მალლა ამხტარიყო.

– სხვათა შორის, ბატონო დემნა, ეს ამას წინათაც გამახსენდა, როცა თქვენი „ბათა“ გადავიკითხე. ერთ ადგილას წერთ: „...ჭკუა ის როდია, რომ თავი ჭკვიან ვინმედ მოგქონდეს. ჭკუა ის არის, – იყო ის, რაც ხარ და თავზე მალლა არ ხტოდე“. ცხადია, თქვენ აქ სულ სხვა, კერძო აზრს ამახვილებთ, ჩვენებური კუდაბზიკობა გაქვთ მხედველობაში. მაგრამ მაინც... „თავზე მალლა ახტომა“ სხვა რამესაც ნიშნავს, და მე უნებურად გამახსენდა ფოლკნერი, რომლის სიტყვებში უთუოდ არის სიბრძნის მარცვალი.

დაფიქრდა.

– ჰო, რასაკვირველია, ლიტერატურა მაინც მუნდირის შეკვრაა, თუმცა ზოგს ისე აქვს შემოჭერილი, წელში წყდება.

მაინც სანამ მკითხველს ეჩვენები, პირი უნდა გაიპარსო. ტოლსტოი და დოსტოევსკი ზოგჯერ არ იპარსავენ. სამაგიეროდ ჩეხოვი...

Он всегда изящен!

და უცებ თბილი სხივი ჩაუდგა თვალბში.

– რა ლამაზი კაცი იყო ეს ჩეხოვი! გახსოვს, ერთხელ „მხატის“ მსახიობებმა დაბადების დღეს რომ ოქროს კალამი აჩუქეს, რა თქვა?

«Какая пошлость дарить писателю перо! Никакой фантазии. Вот мышеловка была бы гораздо оригинальней. И, кстати, она мне очень нужна».

ერთხელ სიცილით დაბრუნდა შინ, იცინის, – ტკბილი სიცილი იცოდა, – ასე მგონია, ჩემი ყურით გამეგონოს! – და იცი, რას ეუბნება თავისიანებს:

«Иду от великого (ტოლსტოის ასე ეძახდა), знаете, что он мне сказал: «Не люблю я, не люблю твои пьесы. Что это твои герои от чулана до дивана ходят и говорят разные глупости...». ამაზე ერთი ამბავი მახსენდება: ახალგაზრდობაში ერთხელ თბილისიდან სოფელში ჩავედი. ნანეიშვილის ქალი იყო ჩვენი ახლობელი, საკმაოდ განათლებული ძველ ყაიდაზე. მეკითხება, ქალაქში რა ამბავიაო. სხვათა შორის, თეატრის ამბავიც აინტერესებდა. მე გავბუქე: „გადაჭრილი მუხა“ დადგეს-მეთქი. დიდი პათოსით ავუნერე წარმოდგენა. ამხედ-დამხედა:

– უჰ, რას მეუბნები, – გადაბელილი ბჟოლა ხომ არ დაუდგამთო, „გამიპუსტიაკა“ მთელი ჩემი ქალაქელობა და აპლომბი.

ჭირის დღესავით მეჯავრება ყველაფერი პრეტენზიული. ვერასოდეს ვერ ვეგუებოდი... როცა ჩეხოვისნაირ მწერლებზე ვფიქრობ, სული მინათდება. პრანჭიაობა მხოლოდ კაცუნების თვისებაა. სამწუხაროდ, ნიჭიერ მწერალთა შორისაც არიან კაცუნები. როგორ შეიძლება ნამდვილი მწერალი პატივმოყვარეობამ დააბრმავოს?

იცი, რა მოხდა? მენშევიკების დროს ვიდაც ჭკუათმყოფელმა მოინდომა ერეკლე მეორის სკოლისთვის შიო არაგვისპირელის სახელის დარქმევა. კინაღამ გაგიჟდა შიო. საშინელი წერილი მისწერა მთავრობას.

მე აღარ მახსოვს, ვისი სახელი დაარქვეს...

– ბატონო დემნა, ალბათ უკვე დაგღალეთ, მხოლოდ ერთ კითხვას მოგცემთ კიდევ და დღეს ამით დავამთავროთ.

– რა აკლია, თქვენი აზრით, დღევანდელ პროზას?

უმალვე მპასუხობს:

– ღრმა რწმენა, ქადაგება!

ცხადია, ბატონი დემნა არ დადლილა. მაგრამ უკვე გვიანია, ღამის პირველი საათი სრულდება და მე უფლება არა მაქვს, ამაზე მეტხანს შევანუხო.

უკვე დერეფანში მეუბნება:

რასაკვირველია, არა ვინრო გაგებით. მე თვითონ ვერ ვიტან პუბლიცისტიკას, მაგრამ ქადაგების გარეშე მწერლობას ფასი არა აქვს.



კიდევ ერთს გეტყვი: მწერალმა, განსაკუთრებით პროზაიკოსმა, ბევრი რამ უნდა იცოდეს. მარტო ლიტერატურის ცოდნა არ არის საკმარისი. მხატვრობა, მუსიკა! საერთოდ ყველაფერი, რაც ადამიანის სულიერ კულტურას შეადგენს. ამაზე კიდევ მოგვიხდება საუბარი...

მესამე საღამოს წინ უძლოდა რამდენიმე ჩაშლილი შეხვედრა. ისეთი ეჭვი მეზადება, რომ ბატონ დემნას, რომელსაც ყოველთვის უხაროდა ჩემთან შეხვედრა, ახლა ცოტა ეშინია ჩემი. მაგრამ საუბარი მაინც შედგა.

ისევ მის საწერ მაგიდას ვუსხედვართ. მე ცოტას ვჩქარობ (რედაქციაში უკვე ელოდებიან მასალას), ვცდილობ, ხელიდან არ გამისხლტეს საუბრის მთავარი ძაფი და სწორედ ამის გამო სულ უფრო ხშირად მიქრება თითებშუა. ჩემი თანამოსაუბრე აშკარად ვერ იტანს ძალადობას, თავისას ქსოვს და მეც სიამოვნებით ვეხვევი ამ აბლაბუდაში.

მაინც მოვახერხე და ლიტერატურულ ტრადიციაზე შევაპარე სიტყვა.

ბატონმა დემნამ ხელები გაასავსავა:

– ამისი არაფერი ვიცი. უბრალოდ არ მესმის და ამიტომ ვერაფერს გეტყვი შენთვის საინტერესოს, საერთოდ, მე მგონია, რომ იქ, სადაც ბევრს ლაპარაკობენ ტრადიციებზე, ლიტერატურა აღარაა!

ვგრძნობ, რომ რაღაც აირია და საკითხავს სხვაგვარად ვაბრუნებ:

– რა უნდა შევინარჩუნოთ წარსულისგან, ძველი ქართული კლასიკური ლიტერატურისაგან?

– ჰო, ეს სხვა საქმეა. ენა, ენისადმი დამოკიდებულება, პირველ რიგში... და პატრიოტიზმი...

გაჩუმდა, თითქოს სხვა სიტყვას ეძებს, მაგრამ საჭიროდ არ ჩათვალა და გაიმეორა – პატრიოტიზმი.

– საიდან ისწავლეთ, ბატონო დემნა, ქართული ენა, თქვენი ენა, იმ ენაზე მოგახსენებთ, რომლითაც „ბათაა“ დანერვილი, ვისგან ხართ ყველაზე მეტად დავალებული?

– ვისგან?.. სხვათა შორის, მე თავიდან კარგად არ ვიცოდი ქართული. ლაპარაკი ახლაც მიჭირს. მხოლოდ წერა ვიცი, მაგრამ ნუ დაგავინწყდება, ქართულ გიმნაზიაში ვსწავლობდი! უმცროს კლასებში ლუარსაბ ბოცვაძე მასწავლიდა მშობლიურ ლიტერატურას, უფროს კლასებში – პეტრე მირიანაშვილი. იმათ, იცოცხლე, კარგად იცოდნენ ქართული.

ზაფხულობით იმერეთში დავდიოდი, საჭილაოში, მარანში, დედაჩემი, დონდუას ქალი, იქაური იყო. შეიძლება ითქვას, იქ გავიზარდე. ჩემი გიმნაზიელი მეგობრები ქართლები და კახელები იყვნენ. დაყვებოდი კავთისხევში, მეტეხში, ჭადიჯვარში.

გარდა ამისა, როცა ლიტერატურამ გამიტაცა, ბევრს ვთარგმნიდი. ამას დიდი მნიშვნელობა აქვს ენის გასატეხად.

სხვათა შორის, მე შედგენილი მაქვს ჩემი ლექსიკონი. ისეთი სიტყვებია შიგ, არსად სხვაგან არ შეგვხვდება. შოთა ძიძიგურს ჰკითხე, გაგიჟდა, რომ ნაიკითხა.

ენა უმთავრესად ხალხში ვისწავლე, სოფელში...

უცებ შემომხედა და დაყვავებით (რომ არ მეწყინოს) მითხრა: – შენ არ იცი საქართველო, გურამ!

იცი, რა იყო ამ ორმოცდაათი წლის წინ თბილისი?

ქართულს რომ გაიგონებდი ქუჩაში, უსათუოდ შებრუნდებოდი, ისე, როგორც ახლა შემობრუნდები ტვერსკოი ბულვარზე.

ქართულად მხოლოდ ნაძალადევში და დიდუბეში თუ ლაპარაკობდნენ მუშები.

სოფლური ლიტერატურააო, რომ ამბობენ XIX საუკუნის მწერლობაზე, სოფლური იქნებოდა, აბა რა, საქართველო მაშინ სოფელში იყო.

ერთი სიტყვით, ენა სოფელში ვისწავლე, ქართლში და იმერეთში. სხვათა შორის, „კალმასობას“ როცა ვკითხულობდი, ერთ გარემოებას მივაქციე ყურადღება, სპეციალისტი რომ ვიყო, ამაზე უსათუოდ დავწერდი: XVIII საუკუნეში ქართლში და იმერეთში თითქმის ერთნაირად ლაპარაკობდნენ. დიფერენციაცია შედარებით გვიან მოხდა, გასულ საუკუნეში. ეს „მამნონს“, „შაგვჭამეს“ და სხვ. უფრო მოგვიანებით უნდა იყოს შეტანილი ქართულ დიალექტში, ჩემი აზრით, ქალაქიდან.

საერთოდ, უნდა გამოგიტყდე, ენის გრძნობა თან მაქვს დაყოლილი. თუმცა ენის შესწავლას შრომაც მოვანდომე, დიდი შრომა. რალაცნაირი ყნოსვა მაქვს ენის. ნამდვილად მაქვს. და ახლა ერთი საიდუმლო უნდა გაგანდო: ძალიან მიშლის ენის ცოდნა! სიტყვის ფენომენი ზოგჯერ მიტაცებს, თითქოს თავისი მორევისკენ მიმაქანებს და სხვას მათქმევინებს.

ეს კი არ ვარგა. გახსოვს, რას ამბობდა ანატოლ ფრანსი:

„ერიდეთ ლამაზ ფრაზებს. ისინი უნანავებენ ჩვენს სმენას და ბოლოს გვაძინებენ“.

ერთი რამ მინდა კიდევ გითხრა თანამედროვე ქართულ ენაზე. სამოციანელებმა უმაგალითო რევოლუცია მოახდინეს ენის სფეროში. მე მგონი, ასეთი რამ არსად არ მომხდარა.

ეს იყო უბედურება.

დიახ, უბედურება და, რასაკვირველია, დიდი ბედნიერებაც.

რა ქნეს სამოციანელებმა? მათ ერთი ხელის მოსმით დაშალეს 15 საუკუნის მანძილზე გამომუშავებული ენა, 15 საუკუნის მანძილზე დადგენილი ნორმები და კანონები, რომელთა შემწეობით ჩვენი სალიტერატურო მეტყველება ჰარმონიაში იყო მოყვანილი.

მართალია, მათ ბევრი რამ ნამდვილად მოძველებულიც გადაყარეს, მაგრამ ამას ზოგი რამ აუცილებელიც გადააყოლეს. სხვათა შორის, გადააყოლეს იოტაც, რომელიც ჩვენ ძალიან გვჭირდება და რომელიც მას შემდეგ ვერაფრით ვერ აღვადგინეთ. და აი, წამოვიდა ენის სტიქიური ნიაღვარი, ყველაფერი აირია, აქამდე ვალაგებთ ჩვენს ენას, ვალაგებთ და ვერ დაგვილაგებია.

სამაგიეროდ, ეს არის ცოცხალი ორგანიზმი და აი, რაა ჩვენი დიდი ბედნიერება! ცოცხალი, გაფორმების, დადუღების, დადგენის პროცესში მყოფი ენა. ცოცხალ არსებასავით, ადამიანივით სუნთქავს. XIX საუკუნის მეორე ნახევრის ქართული მწერლობა სწორედ ამ აღრევის პერიოდში მოჰყვა და ეს მაშინ, როცა რუსული სალიტერატურო ენა უკვე დამდგარი იყო, უკვე დაწერილი იყო „პიკის ქალი“!

არ ვიცი, შეგიძინე თუ არა – ილია ჭავჭავაძე, რომელმაც მთელი ეს რევოლუცია წამოიწყო, სხვა სამოციანელებთან შედარებით თვითონ ყველაზე უფრო ძველი, „დაუშლელი“ ენით მეტყველებს.

აკაკის დავა ვაჟასთან ისე უბრალო არ არის, როგორც ზოგს ჰგონია.

აკაკი ცენტრალიზებული ენის მომხრე იყო, ის შეძლებისამებრ ერიდებოდა დიალექტიზმებს (კერძოდ, იმერიზმებს) და სხვებისგანაც ამას მოითხოვდა. ამ მხრივ, ის სამაგალითო სიმკაცრეს იჩენდა, სამაგალითო თანმიმდევრულობას.

ვაჟა კი რას წერს? „ყალივანი სწრავს პირშია“.

უფ, რა კარგია!.. დაირღვა ყველაფერი, გათავდა.

ცხადია, აკაკი მართალი იყო თავისი თვალსაზრისით. პოეტიკის თვალსაზრისით კი უთუოდ ვაჟა იყო მართალი. აბა, გადანერე მისი ლექსები სხვა ენით, რა შეგრჩება?!

ასეა საერთოდ: სიმართლე ყოველთვის თვალსაზრისზეა დამოკიდებული, ამიტომაც ეს საკითხი ასე რთული, პირადად ჩემთვის კი, დღემდე გადაუჭრელი.

რა ექნა, მე მოკლებული ვარ ნიჭს, სხვებისავით იოლად გადაუჭრა ეს საკითხები. დრომ უნდა გაარკვიოს.

ჩვენ ბარბარიზმების წინააღმდეგნი ვართ და ამაზე ბევრს ვხმაურობთ, როცა ახალ ქართულ ენაზეა ლაპარაკი. მაგრამ ავიღოთ ძველი ქართული საეკლესიო ენა, რომელსაც ზოგიერთნი ენის სინმინდის ნიმუშად აცხადებენ. ეს ხომ ხელოვნური ენაა და, რაც მთავარია, სწორედ ქართულის სინმინდის თვალსაზრისით, დიდად და დიდად „შელახული“.

ჯერ კიდევ ლ.არდაზიანი წერდა, ძველ ქართულში „ნახევარი გრეციზმებიაო“. სხვანაირად არც შეიძლებოდა, ქართული „სახარებისა“ და ჰაგიოგრაფიული ძეგლების ენა თავისებურად უთუოდ სრულყოფილია, მაგრამ მის სინმინდზე ლაპარაკი გულუბრყვილობაა.

ბერძნულის გავლენა აქ აშკარად ჩანს, როგორც ლექსიკაში, ისე სტრუქტურაში.

ნამდვილი ქართული ენა ხალხმა შემოინახა!

ჩვენი საუბარი დასასრულს უახლოვდება (დრო ამოიწურა) და მე მხოლოდ ახლა ვგრძნობ, რომ დიალოგი, არსებითად, არ შემდგარა, თანამოსაუბრემ მთლიანად დამიმორჩილა – სასმენად განმანყო და ამას უკვე აღარაფერი ეშველება. უკვე კარგა ხანია, მხოლოდ კითხვებს ვუსვამ.

აი, ახლაც ქართულ კლასიკურ ლიტერატურაზე ჩამოვუგდე სიტყვა.

– მე უდიდეს პატივს ვსცემ გასული საუკუნის ქართულ ლიტერატურას.

ბევრი ახლა ვერ გრძნობს, რამხელა ოსტატი იყო აკაკი, რამხელა ნოვატორი, – „სულმნათო“, „მივეხმატკბილე“... ამას ხომ თქმა უნდოდა!

ილია და აკაკი სხვადასხვანაირად აგებენ ლექსს, საერთოდ ლიტერატურულ ნაწარმოებს. ორივეს თავისი ძლიერი მხარეები აქვს და, რაც მთავარია, თავისი მანერა.

აკაკი იონიკაა, ილია – დორიკა.

ძველი ქართული პროზიდან ჩემი საყვარელი ნაწარმოებებია „შუშანიკის წამება“ და „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება“. „ვისრამიანის“ ქართულად მთარგმნელი, უბრალოდ, გენიოსი იყო.

საბა, საბა კინალამ დამავეინცა!

ბრწყინვალე წიგნია „კალმასობა“...

ჩვენი საუკუნის პროზაიკოსებიდან ჩემთვის განსაკუთრებით ძვირფასია ჭოლა ლომთათიძე და ნიკო ლორთქიფანიძე.

XIX საუკუნის პროზიდან მაინც ილიას მივაკუთვნებდი პირველ ადგილს.

გიორგი წერეთლის პროზას ხშირად აკლია ოსტატის დახვეწილი ხელი. სამაგიეროდ, ის იყო ერთადერთი ქართველი მწერალი, რომელმაც გასულ საუკუნეში რომანის დანერა შეძლო.

აქ მე ვახსენებ ალ.ყაზბეგის „განკიცხულს“ და ახალგაზრდა დავით კლდიაშვილის აღფრთოვანებულ წერილს ყაზბეგისადმი ამ ნაწარმოების გამო.

– მართალი ხარ, – მეუბნება ბატონი დემნა, – „პირველი ნაბიჯი“, „გულქანი“, „განკიცხული“ – აი, XIX საუკუნეში დანერგილი სამი ქართული ნაწარმოები, რომელთაც შეიძლება რომანი ეწოდოს, ამ სიტყვის ახალი, „ჩვენებური“ გაგებით. სხვა ყველაფერი მხოლოდ მოთხრობებია.

– ერთი ტრადიციული შეკითხვა, ბატონო დემნა... თქვენი უახლოესი გეგმები?

– ჩემი გეგმა ასეთია: დავასრულებ ამ „ფიროსმანს“ და მერე საიქიოს გზას გავეუდგები. დროა უკვე... ა?

ორივენი ვიცინით. ალბათ იმიტომ, რომ სიტყვა „საიქიო“ მეტისმეტად უდარდელი ინტონაციითაა ნათქვამი, თითქოს საქმე რაღაც ტურისტული მოგზაურობის მსგავს განზრახვას ეხებოდეს.

– ასეთ ინფორმაციას ქართველ მკითხველს მე ვერ მივანვდი.

– მიაწოდე, მიაწოდე, აუცილებლად! არ მენწყინება.

– რომელი თქვენი ნაწარმოები გიყვართ ყველაზე მეტად?

– არც ერთი. არც ერთის ნაკითხვა არ შემიძლია. მრცხვენია, რომ ვკითხულობ. ამას, თუ გინდა, ნუ დანერ... თუმცა არც ეს მენყინება. ვერ წარმოიდგენ, როგორ მშურს იმ ავტორებისა, რომლებიც ყოველ თავის სტრიქონში არიან შეყვარებულნი.

უკანასკნელ ცდას მივმართავ:

– იქნებ თქვენი გამიზნობიდან მაინც გიყვართ რომელიმე გამორჩევით?

დაფიქრდა:

– იცი, რას გეტყვი: ისინი ჩემგან წავიდნენ...

მერე, ალბათ, იმისათვის, რომ გულის ამაჩუყებელი ნოტა ჩაახშოს, მარჯვენა ხელი აიქნია მსუბუქად, მოსხლეტილად. იმ გადმოუცემელი მოძრაობით, რომელიც ჩვენებურ „ჰერიჰას“ აღნიშნავს:

– ასე რომ ვსდიო მაგათ, სად წავალ?! არა, მართლა არ შემიძლია. ახალს ვერაფერს დავნერ. მე სიცოცხლე მიყვარს, ცხოვრება, მხოლოდ ის, რაც ცხოვრებასთან არის დაკავშირებული უშუალოდ, რაც ცოცხლობს, იცვლება, ვითარდება.

ლიტერატურის მთავარი საგანი ცხოვრებაა – უფრო ზუსტად: ცხოვრების ცვალებადობა. ყველაზე დიდი ნაწარმოებები სწორედ ამ ცვლილებებს გამოსატყვენ.

აი, იაკობ ცურტაველი... ჩემი ფიქრით, „მუშანიკის ნამებაში“ მთავარია სწორედ ის, რაც V საუკუნის ქართველი კაცის ცხოვრებაში მომხდარ კარდინალურ გარდატეხას გამოსატყვს. და რამხელა გარდატეხას! აბა, წარმოიდგინე, პაპაშენი რომ წარმართი ყოფილიყო!

ჩვენს დროშიც მოხდა ასეთი ფანტასტიკური ცვლილებები. 75 წელი არც ისე ცოტა დროა. ბევრი რამ ვნახე. ბევრმა საგანმა იცვალა ფერი ჩემ თვალწინ. ზოგს თვალი მოსჭრა ფერისცვალების სურათმა, შეაკრთო, ცხოვრების ხალისი დააკარგვინა სამუდამოდ.

მე ახლაც მიტაცებს სიცოცხლე, მართობს, ხალისით მავსებს. მიკვირს ზოგიერთი მწერლის: ისე წერენ, არ უხარიათ. მე ჩემი მკითხველებისათვის სიცოცხლის სიყვარული მინდოდა გამელვივებინა. თუ სიცოცხლე არ გიხარია, ვერაფერს მნიშვნელოვანს ვერ შექმნი.

საკვირველია: უკანასკნელ სიტყვებს სევდანარევი ინტონაციით წარმოთქვამს, თითქოს რაღაც ფიქრს იგერიებდეს, რაღაც ამ სიტყვებზე უფრო მნიშვნელოვანს ტოვებდეს უთქმელად და უცებ ისე ჩუმდება, რომ მე ვგრძნობ – ეს მორიგი პაუზა აღარ არის.

რაღაც ისეთს მივადექით, რასაც ჩვენი საუბარი ვეღარ განვდება.

ჩუმად ვსხვევართ ოთახში მე და ჩემი ძვირფასი მასპინძელი – 75 წლის ბატონი დემნა, „სანავარდოს“ და „ბათა ქექიას“ ავტორი, ჩვენი საუკუნის ქართული მწერლობის ცოცხალი კლასიკოსი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, ქართული სიტყვის უბერებელი ჯადოქარი.

ლამის პირველი საათია. სიჩუმეა ოთახში... გოჩა შენგელაიას თეთრი ბიუსტი მთელი საღამოა დაგვცქერის ზემოდან, თავისებურად შეუკრავს წარბები. თითქოს რ ალაცას გვემდურის, მაგრამ მე კარგად ვიცი, რომ ჭკვიანი წარბების ქვეშ პატარა ბიჭის ეშმაკური ღიმილი იმალება.

მეორე ოთახში კი ოქროსთმიან თამრიკოს სძინავს...

ყველა საკითხი „ამონურულია“ და ჩვენ წუთით ყურს ვუგდებთ სიჩუმეს. ცოტა გვერიდება ერთმანეთის იმ პატარა სპექტაკლის გამო, რომელშიც ახლახან მივიღეთ მონაწილეობა.

ყველა საკითხი „ამონურულია“, და მაინც, მთავარი უთქმელი დარჩა...

ოთახში ჩამონოლილი სიჩუმის იდუმალეობა მხოლოდ ორიოდე წუთით გვიმორჩილებს, მხოლოდ ორიოდე წუთით, თითქოს იმისთვის, რომ ორი წუთის შემდეგ დერეფანში უფრო მკვეთრად გაისმას მხიარული სიცილი, გამჭირდავი,

წამქეზებელი, ერთდროულად ირონიული და დამყვავებელი ხმა („Бойся гостя стоящего“ ... „გზაში არავინ მოგიტაცოს“... და სხვ.).

ნახვამდის ბატონო დემნა!

მე თქვენს საიდუმლოებას არ გავცემ. რა უფლება მაქვს?!

შევეცდები მხოლოდ, თქვენ მიერ განდობილი ზოგიერთი აზრის შინაარსი აღვადგინო რაც შეიძლება ზუსტად.

ჯობდა, ალბათ, სხვა ფორმა მომეძებნა. მაგრამ ამაზე ფიქრი უკვე გვიანაა და მე მხოლოდ ასე შემიძლია მოგილოცოთ თქვენი პირველი იუბილე, რომლის გადახდაზეც, ბოლოს და ბოლოს, მგონი, მაინც დათანხმდით.

1971 წ.